# არსენალი

1425
2012

20 (167) 28 სექტემბერი - 11 ოქტომბერი, 2012 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი ფასი 2 ლარი



## არ გაბედოთ არმიით მომიტინგეების დარბევა!

## პატიმრების წამება NATO-სგან კიდევ უფრო დაგვაშორებს

## კატარღები 1992-93 წლების აფხაზეთის ომში

## ახალი რუბრიკა — დაიცავი თავი

## როგორ უნდა მოიგერიო ხელკეტიანი თავდამსხმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეცდომა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტში 8



აფხაზი ჯარისკაცის მიზანი 13



კოპიტნარიდან NATO-ს ბაზები უნდა დაებომბათ 48



„ურთიერთქმედება 2012"-ის მიზნები და შედეგები 11



795-ე ქართული ბატალიონი ამერიკელების წინააღმდეგ 45



ყველაზე მოხერხებული „ბულპაპი" 53

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**საფრთხე**

7 არ გაბედოთ არმიით მომიტინგეების დარბევა!

**შეცდომა**

8 აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტში გაპარული უზუსტობები

**სისასტიკე**

9 პატიმრების წამება NATO-სგან კიდევ უფრო დაგვაშორებს

**პერსპექტივა**

10 რამდენად ეფექტური იქნება ამერიკული სამხედრო დახმარება?

**სწავლებები**

11 „ურთიერთქმედება 2012“-ის მიზნები და შედეგები

**ენგურსგაღმა**

13 აფხაზურ ჯარგამოვლილი ჯარისკაცის მიზანი — „მინდა რუსულ სპეცრაზმში მოვხვდე“

**ექსპოზიცია**

15 ILA 2012

**სპეცსამსახურების არქივიდან**

17 არქივარიუსი, რომელმაც კა-გე-ბეს საიდუმლო ოპერაციებს ახადა ფარდა

**რეგიონი**

20 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

**100 დიდი მხედართმთავარი**

22 უილიამ III ორანელი

**კონფლიქტები, კრიზისები**

24 აღმოსავლეთი თურქესტანი — ჩინეთის უმნიშვნელოვანესი პრობლემა

**მეომრები**

30 500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

**ფლოტი**

34 კატარღები 1992-93 წლების აფხაზეთის ომში

**ლოკალური ომები**

37 „ინოვაციების ომი“

**დაიცავი თავი**

40 ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა და ქუჩური ჩხუბის ელემენტები

**ორი სტიქიის მბრძანებლები**

42 საგემბანო ავიაცია

**ქართული ფორმირებები**

45 795-ე ბატალიონი ნორმანდიისთვის ბრძოლებში

**სამხედრო ისტორიები**

48 კოპიტნარიდან NATO-ს ბაზები უნდა დაებომბათ

**იარაღის მაღაზია**

53 ყველაზე მოხერხებული „ბულპაპი“


გარეკანზე: ჩინეთის საზღვაო ქვეითთა დანაყოფი ტაქტიკური სწავლების დროს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

## რედაქციისგან

„არსენალის“ ეს ნომერი 28 სექტემბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოდის; იმ საპარლამენტო არჩევნებისა, რომელმაც უკიდურესად დაძაბა სიტუაცია საქართველოში და ერთმანეთს დააპირისპირა საზოგადოების დიდი ნაწილი. ამ არჩევნებში, დახურულ უბნებში სამხედრო მოსამსახურეებიც მისცემენ ხმას. შემდეგ დახურული უბნიდან ხმამიცემული კონვერტები ძირითად უბანში შეერევა სხვა კონვერტებს. სამხედროებს არ უნდა ჰქონდეთ იმის შიში, რომ ვინმე შეძლებს მათი არჩევანის დაფიქსირებას და შემდეგ პასუხს მოსთხოვს. მათ სრული შეგნებითა და პასუხისგებით ისეთი არჩევანი უნდა გააკეთონ, რომელიც უკეთესი საქართველოსკენ წაგვიყვანს.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
24.09.2012

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თალიბებმა პრინც ჰარიზე ნადირობა გამოაცხადეს



ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ უსაფრთხოების მიზნით ავღანეთში, ჰილმენდის პროვინციაში მდებარე NATO-ს სამხედრო ბაზა „კემპ ბასტიონი“ მას შემდეგ დატოვა, რაც თალიბები დაესხნენ თავს.

თალიბებმა სამხედრო ბაზაზე იერიში ღამით, ყუმბარსატყორცნებითა და ავტომატური იარაღით მიიტანეს. დაიღუპა ორი ამერიკელი სამხედრო, ხუთი კი დაიჭრა.

რაც შეეხება ელისაბედ II-ის შვილიშვილ პრინც ჰარის, რომელიც ავღანეთში შვეულმფრენ „აპაჩის“ პილოტად მსახურობს, უვნებელი გადარჩა.

არადა, „თალიბანის“ წარმომადგენლის თქმით, ბაზაზე თავდასხმის მიზანი სწორედ 28 წლის პრინცის მოკვლა ან ხელში ჩაგდება იყო, ხოლო საბაბი კი სკანდალური ანტიისლამური ფილმი „ისლამის უცოდველობა“ გახდა.

ბრიტანეთის პრინცი ავღანეთში სამხედრო სამსახურს მეორედ გადის. პირველად ჰარი იქ 2007-08 წლებშიც მსახურობდა, მაგრამ მაშინ ცხელ წერტილს ვადაზე 10 კვირით ადრე იმის გამო გამოარიდეს, რომ პრესაში მისი ადგილსამყოფელი გაცხადდა.

## ჩინეთმა კიდევ ერთი სტელს-გამანადგურებელი შექმნა?

სავარაუდოდ, ჩინეთმა ნაკლებად შემჩნევადი ტექნოლოგიებით კიდევ ერთი გამანადგურებელი შექმნა. ასეთი ეჭვის საფუძველს ქალაქ შენიანის მახლობლად გადაღებული ფოტოსურათები იძლევა.

ფორმით ჩინური თვითმფრინავი Lockheed Martin F-22A Raptor-ს ჰგავს და სავარაუდოდ, კომპანია Shenyang Aircraft Corporation-ის შექმნილი გამანადგურებელი F-60 უნდა იყოს, რომლის გამოყენებასაც ჩინელები მომავლის ავიამზიდებზე იმედოვნებენ.

შეგახსენებთ, რომ აქამდე მსგავსი აჟიოტაჟი სტელს-ტექნოლოგიით შექმნილი ჩინური თვითმფრინავის J-20-ის ფოტოსურათების ინტერნეტში გამოჩენას მოჰყვა.




## უპილოტო-კამიკაძე — მსუბუქი და საშიში

აშშ-ის არმია 2016 წლისთვის მინიატიურული უპილოტო-კამიკაძეს მიღებას ელის, რომელსაც მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის განადგურება შეეძლება. Lethal Miniature Aerial Munition System (LMAMS)-ის პროგრამით შექმნილი ამ საბრძოლო საშუალების ფრენის სიშორე 10 კმ და წონა 2,2 კგ-ია.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი მებრძოლი შეძლებს ასეთი მაღალი სიზუსტის წყვილი საბრძოლო საშუალების ზურგჩანთით ტარებას, ხოლო LMAMS-ებით აღჭურვილი ქვედანაყოფი უსაფრთხო ადგილიდან სატანკო ბატალიონთან გამკლავებასაც მოახერხებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საცეცხლე შესაძლებლობა ქვეითებს აქამდე არასდროს ჰქონიათ.

წინასწარი გათვლებით LMAMS-ის მფლობელი მებრძოლი მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილის აღმოჩენის შემდეგ, სტარტისთვის უპილოტო-კამიკაძეს 2 წუთში მოამზადებს და მიზნისკენ წარმართავს. მას შემდეგ კი, რაც უპილოტოს კამერის მეშვეობით ოპერატორი დარწმუნდება, რომ სამიზნე სწორად შეარჩია, განადგურების ბრძანებას გასცემს.

## ბუნდესვერი მოზარდებზე გათვლილი სარეკლამო კამპანიისთვის გააკრიტიკეს




გერმანელ სამხედროებს ახალგაზრდულ ჟურნალ „ბრავოსთან“ ერთად წამოწყებული სარეკლამო კამპანიისთვის, რომელშიც ვიდეორგოლიც შედის, თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ. ბუნდესვერმა 12-იდან 19 წლამდე ასაკის მოზარდებზე გამიზნული ჟურნალით ახალგაზრდების დაინტერესება თავისი სპორტული ბანაკით გადაწყვიტა, სადაც ისინი თითქოს ჯარისკაცურ ცხოვრებასაც გაეცნობიან. რეკლამაში ბუნდესვერი 16-იდან 21 წლამდე ახალგაზრდებს გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაში ერთი კვირით სპორტულ ღონისძიებებსა და მხიარული საღამოების გატარებას ჰპირდება. აქციის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მსგავსი აგიტაცია მოზარდებს თავგზას უბნევს და შთაბეჭდილებას უქმნის, რომ არმიაში სამსახური გასართობი თავგადასავალია. ბავშვთა უფლებების დამცველმა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრს უკვე მოუწოდა, სასწრაფოდ შეწყდეს სარეკლამო კამპანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკელ სამხედროებს სწავლებებზე „ზომბი-აპოკალიპსისს“ მოუწყობენ



ამერიკელ სამხედროებს, პოლიციელებს, მედიკოსებსა და რიგ სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულ პირებს ზომბებისგან მომდინარე ტერორისტულ საფრთხეებთან გამკლავებაში ავარჯიშებენ, — ასეთი იდეა მოუვიდათ თავში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ფორუმის ორგანიზატორებს.

პროექტზე მომუშავე კომპანია HALO Corp-ი ნოუ-ჰაუს დეტალებს არ ახმაურებს, თუმცა, დასძენს, რომ ამერიკელები ყველაფრისთვის მზად უნდა იყვნენ, მათ შორის დაუჯერებელი საფრთხეებისთვისაც.

თემა რომ დაცინვის ობიექტი არ გახდეს, იდეის ავტორები გვახსენებენ, რომ სინამდვილეში ზომბები არ არსებობენ და მათი სასწავლო კურსი კი გაცილებით სერიოზულ მეცადინეობებს მოიცავს. ცნობილია, რომ სწავლებაში გათვალისწინებულია სცენარი, რომელიც დედამიწაზე ადამიანის ტვინის დამზიანებელი ვირუსის გავრცელებას ითვალისწინებს. სწორედ ასეთ პირობებში პანდემიასთან ბრძოლის თავისებურებებს დაეუფლებიან სამხედროები, პოლიციელები და მედიკოსები.

# სოლიდური იარაღი მხოლოდ სოლიდური მონადირეებისთვის

არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში სანადირო იარაღისა და აღჭურვილობის გამოფენა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია და გასაკვირი არ არის, რომ ის მთელი ახლო აღმოსავლეთიდან ნადირობის მოტრფიალეებს იზიდავს. იქ კი, როგორც ამბობენ, იციან კარგი იარაღის ფასი.

ტრადიციული გამოფენა არც ახლა უჩიოდა ექსპონატებისა თუ ჯიბესქელი სტუმრების სიმცირეს, რომლებსაც მიმზიდველი ნიმუშის ნებისმიერ ფასად შეძენა შეუძლიათ.

სხვა საქმეა, წარმოდგენილი მოდელები რამდენად შეიძლება მივაკუთვნოთ სანადირო იარაღის კატეგორიას. ალბათ, უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ დიდი სურვილის შემთხვევაში მათი სანადიროდ გამოყენებაც შეიძლება.




# ოთხფეხა რობოტი გაცილებით უხმაუროა

ამერიკული კომპანია Boston Dynamics-ი ოთხფეხა რობოტების შექმნაზე 2009 წლიდან მუშაობს და ახლახან ახალი მოდელი AlphaDog-ი წარმოადგინა.

წინამორბედი BigDog-ისგან განსხვავებით, რომელიც ხმაურით გადაადგილდებოდა, ახალი რობოტი გაცილებით „ჩუმია“.

ოთხფეხა რობოტის დანიშნულება ქვეითთა დანაყოფების მძიმე ტვირთის ტრანსპორტირებაა. მისი ტვირთამწეობა 180 კგ-ია, სამოქმედო არეალი კი 35 კმ. რაც მთავარია, სატრანსპორტო რობოტი კიდურების წყალობით, რთულ რელიეფზეც ახერხებს გადაადგილებას.

რობოტის მომდევნო მოდიფიკაცია უკვე ხმოვანი მართვის ბლოკს მიიღებს და მის მართვას ოპერატორთან ერთად ქვედანაყოფში მყოფი ნებისმიერი მებრძოლი შეძლებს. საამისოდ რობოტის მეხსიერებაში თითოეული ქვეითის ხმის ნიმუშს წინასწარ შეიყვანენ.

# იაპონელებმა მომავლის რობოტი-მეომარი შექმნეს




იაპონელმა მეცნიერებმა უზარმაზარი, ადამიანის მსგავსი საბრძოლო რობოტი წარმოადგინეს. ერთადერთი, რაც მას „ადამიანურობამდე“ აკლია, მოსიარულე კიდურებია. რობოტი ბორბლებით დადის და დიზელის ძრავით 10 კმ/სთ-მდე სიჩქარეს ავითარებს.

სხვა მხრივ, რობოტ Kuratas-ს თამამად შეგვიძლია მომავლის ჯარისკაცი ვუწოდოთ. მისი სიმაღლე 4 მეტრი, წონა კი 4,5 ტონაა. გიგანტურ რობოტს კონსტრუქციაში ჩამონტაჟებული კაბინიდან ოპერატორი მართავს. თუმცა, „ადამიანისმაგვარ საბრძოლო რობოტს“ მოქმედება ოპერატორის გარეშეც, დისტანციურად გადაცემული ბრძანებებითაც შეუძლია.

რაც შეეხება რობოტის შეიარაღებას, ჯერჯერობით ის ჰიდროქვემეხითაა აღჭურვილი და წყლით დატენილ პლასტიკის ბალონებს ისვრის. რაც ყველაზე თვალში საცემია, რობოტის ძალზე მაღალი ღირებულებაა — იაპონელი ინჟინრები დაკვეთით მის აწყობაში, სავარაუდოდ, მილიონ-ნახევარ დოლარს მოითხოვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალბანეთში სამხედრო ბუნკერებს მინისასტუმროებად გადააკეთებენ



ალბანეთის ტერიტორიაზე კომუნისტური ეპოქის დროინდელი 750 ათასამდე ბუნკერია შემონახული. გასული საუკუნის 40-80-იან წლებში აგებულ თავშესაფრებს ყველგან, — ქალაქების ქუჩებში, მთებსა თუ ტყეებში მრავლად ნახავთ. მათი უმეტესობა მიტოვებული და გაჩანაგებულია, მხოლოდ რამდენიმე მათგანია კაფედ, საწყობად ან სხვა დანიშნულების ნაგებობად გადაკეთებული.

და აი, ახლახან ქვეყანაში გადაწყვიტეს, გამოუსადეგარი ბუნკერები ტურისტულ ცენტრებად გადააკეთონ. პროექტის განხორციელებაში ადგილობრივ ენთუზიასტებს გერმანელმა სტუდენტებმა და მათმა პროფესორებმაც აუბეს მხარი.

საწყის ეტაპზე რამდენიმე ბუნკერის ოტელად გადაკეთება იგეგმება. უკვე მზადაა 7 „ბუნკერი-მინისასტუმროს" პროექტიც, სადაც ერთი ღამის გათევა 8 ევრო ეღირება.

## პირველ ატომურ სარაკეტო კრეისერს ჯართისთვის იმეტებენ

ამერიკელები მსოფლიოში პირველ ატომურ სარაკეტო კრეისერ „ლონგ-ბიჩს" ჯართისთვის იმეტებენ, რომელიც აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაში 1961-დან 1995 წლამდე იყო. ფოლადის, ალუმინის, სპილენძისა და სხვა ლითონების გამოყენებით აგებული ხომალდი 15 ათას ტონამდე იწონის და აუქციონზე 2012 წლის ზაფხულში გაიყიდა. გარიგების ზუსტი ფასი არ სახელდება, სავარაუდოდ, ის 900 ათას დოლარამდეა. კრეისერი „ლონგ-ბიჩი" საგანგებოდ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ავიამზიდ „ენტერპრაიზთან" ერთობლივად მოქმედებისთვის აიგო. 1964 წელს ხომალდმა დედამიწის გარშემოც იმოგზაურა, რითაც თავისი ატომური ენერგეტიკული დანადგარის ეფექტიანობა გამოცადა. ექსპლუატაციის წლებში „ლონგ-ბიჩმა" ვიეტნამის ომსა და ლათინურამერიკელ ნარკომოვაჭრეებთან ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა.

## ახალი კასეტური ბომბი ომის დასრულების შემდეგ საშიში აღარ იქნება

კომპანია Textron Defense Systems-ი ახალი ტიპის კასეტური საბრძოლო საშუალება CLAW-ის სერტიფიცირებას ასრულებს, რომელიც ტრადიციული კასეტური საშუალებების მაღალტექნოლოგიური ალტერნატივაა.

კასეტური საბრძოლო საშუალებები რამდენადაც ეფექტიანია საბრძოლო მოქმედებების დროს, იმდენად სახიფათოა მშვიდობიანი მოსახლეობისთვის და განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის, რომლებიც „ბრჭყვიალა სათამაშოს" უმალ ეტანებიან.

ახალი მართვადი კასეტური ბომბი კი სხვადასხვა ელექტროსისტემით არის აღჭურვილი, რაც უდანაშაულო მსხვერპლის რისკს ამცირებს. ის აღჭურვილია GPS-ის დამიზნების ზეზუსტი სისტემით, რაც ბომბის დასახლებულ ადგილებში მოხვედრის ალბათობას შეამცირებს. ამასთან, გარკვეულ ტერიტორიაზე მიმოფანტული ბომბის კასეტური ელემენტები თვითგანადგურება-თვითგაუვნებლების მექანიზმითაა აღჭურვილი.

## ექსპერტები აშშ-ს ირანთან ომის დაწყებას არ ურჩევენ

ამერიკელმა თადარიგის გენერლებმა, დიპლომატებმა, მზვერავებმა და ჩინოვნიკებმა ანგარიში მოამზადეს, რომელიც აშშ-სა და ირანს შორის შესაძლო ომის შედეგები იწინასწარმეტყველეს.

ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ირანის ბირთვულ და სამხედრო ობიექტებზე დარტყმები მნიშვნელოვნად კი შეაფერხებს ქვეყნის ბირთვული სფეროს განვითარებას, მაგრამ სრულად მის შეჩერებას ვერ შეძლებს. უფრო ზუსტად კი, ბირთვული იარაღის შექმნის პროცესი დაახლოებით ოთხი წლით შეყოვნდება, სამაგიეროდ, ირანელები ამის შემდეგ უფრო დიდი მოტივაციით შეეცდებიან მის შექმნას.

ექსპერტების ანგარიშს თუ ვენდობით, მასშტაბური სამხედრო ოპერაცია ირანში შეასუსტებს ადგილობრივი ხელისუფლების პოზიციებს, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება რეჟიმის შესაცვლელად. ამასთან, დოკუმენტის ავტორების ვარაუდით, საომარი მოქმედებები მთელ მუსლიმანურ სამყაროში ანტიამერიკულ განწყობას მკვეთრად გაზრდის. რაც შეეხება ირანის შეიარაღებულ ძალებს, მართალია, ამერიკელებთან ბრძოლაში მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდიან, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას მაინც შეძლებენ, ხოლო შედეგის წინასწარ განჭვრეტა კი ძალიან რთულია.



# არ გაბედოთ არმიით მომიტინგეების დარბევა!

## პოლიტიზებული არმია მტერთან საბრძოლველად აღარ გამოდგება...







საპარლამენტო არჩევნების წინ ვითარება უკიდურესად დაიძაბა და ამ დაპირისპირებაში შეიარაღებული ძალების ჩართვის ნიშნებიც გამოჩნდა.

რა თქმა უნდა, სამხედრო მოსამსახურე ჩვეულებრივი მოქალაქეა და მას არჩევნის გაკეთების სრული უფლება აქვს, თუმცა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის აშკარად მხარის დაჭერა, ისევე როგორც მისი წევრობა.

ეს დემოკრატიული ქვეყნების ძირითადი მოთხოვნაა, ისევე როგორც შეიარაღებული ძალების ჩარევა მიტინგების დაშლაში.

არადა, 24 სექტემბერს მესტიაში მოხდა ძალზე საშიში პრეცედენტი — საქართველოს შეიარაღებული ძალების დანაყოფით ხელისუფლება მომიტინგეებს დაუპირისპირდა.

მესტიელები აპროტესტებდნენ ოპოზიციონერ კახა ჟორჟოლიანის მანქანით წაყვანას ზუგდიდში და პოლიციის მანქანას დაძვრას არ ანებებდნენ. საპასუხოდ ხელისუფლებამ მობილიზება გაუკეთა იქვე ტყის მასივში ორიოდე თვით ადრე დაბანაკებულ უცნობ სამხედრო დანაყოფს. შეიარაღებული პირები ინციდენტის ადგილას „ლენდროვერის“ ორი პიკაპითა და „კრაზის“ ტიპის სატვირთო ავტომობილებით მივიდნენ. საქართველოს შეიარაღებული ძალების კამუფლირებულ ფორმებში გამოწყობილი სამხედროები მეთაურის ბრძანების თანახმად ცდილობდნენ მომიტინგეების დაშლას.

მიუხედავად იმისა, რომ მეთაურის ბრძანებით მათ ფორმიდან მოიხსნეს სამხედრო დანაყოფისა და გვარების აღმნიშვნელი საიდენტიფიკაციო ნიშნები, ზოგიერთს ფორმაზე მაინც დარჩა ნიშანი „შეიარაღებული ძალები“, რაც უტყუარად მიანიშნებს მათ კუთვნილობაზე.

ყველაზე საგანგაშო კი ის გახლავთ, რომ ხელისუფლების ბრძანებით მოქალაქეების დასაშლელად გამოყვანილი ამ სამხედრო დანაყოფის ძირითადი ნაწილი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული პირტიტველა ბიჭები იყვნენ.

ეს აძლიერებს ეჭვს, რომ არჩევნების პერიოდში და მის შემდეგაც ხელისუფლებამ შეიძლება უფრო აქტიურად გამოიყენოს შეიარაღებული ძალების დანაყოფები მშვიდობიანი მომიტინგეების დასაშლელად და შეიძლება უკვე არა მარტო ცარიელი ხელებით, როგორც მესტიაში. თუკი ხელისუფლება მაინც გაბედავს არმიის დანაყოფებით მიტინგების დაშლას, მაშინ ეს საბოლოოდ დაასამარებს ქართული არმიის იმიჯს საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილში და დაასამარებს ასევე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების იმედსაც კი.

**ირაკლი ალადაშვილი**

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტში გაპარული უზუსტობები



სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით მოდერნიზებული კატარღა P-109 „ფაზისი“

ინგლისურ Jane's Fighting Ships-ში, ამერიკულ Combat Fleets of the World-ში, ფრანგულ Flottes de combat-სა და სხვა გამოცემებში რეგულარულად აისახება მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამხედრო ფლოტისა თუ ფლოტილიის სახომალდო შემადგენლობასა და საზღვაო შეიარაღებასთან დაკავშირებული მონაცემები.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო და სანაპირო დაცვის ძალები ამ ცნობარებში შექმნის დღიდან არიან წარმოდგენილი და თავიდან გაუგებრობა-შეცდომებიც არ აკლდა.

ახლა უზუსტობები, ასე თუ ისე, გამოსწორებულია, თუმცა, ერთი სერიოზული შეცდომა ცოტა ხნის წინ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის 1-ელი აპრილით დათარიღებულ მოხსენებაში გამოჩნდა, რომელიც საქართველოს სანაპირო ზოლის უსაფრთხოების მონიტორინგის პროექტთან არის დაკავშირებული.



Modernization of GRIF to be completed in May 2012

მოხსენება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით „ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების“ პროგრამით საქართველოს სანაპირო დაცვის კატარღების მოდერნიზაციას შეეხება.

მოხსენებაში მაგალითებად მოყვანილია საპატრულო კატარღა P-102 „გენერალ მაზნიაშვილის“ რემონტი და „გრიფის“ ტიპის საპატრულო კატარღა P-105-ის მოდერნიზაცია.

მოხსენების ავტორებმა ფოტოდოკუმენტად ესტონეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფილი საპატრულო კატარღა „გრიფი“ P-401-ის სურათი გამოიყენეს, რომელიც ესტონელებმა კარგა ხნის წინ ჩამოწერეს და ამჟამად სამხედრო-საზღვაო მუზეუმის კუთვნილებაა.

ესტონური „გრიფის“ კორპუსი სამხედრო კატარღისთვის დამახასიათებელ ნაცრისფერ-შავად არის შეღებილი, როცა ქართული სანაპირო დაცვის ყველა კატარღა მხოლოდ თეთრია და ორივე ბორტზე დიდი ასოებით ქართულად „სანაპირო დაცვა“ და ინგლისურად Coast Guard აწერია.

რაც შეეხება P-105-ს, ის „გრიფი“ არ არის და ამ ნომერს ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში აგებული „ტორნადოს“ (პროექტი 18629) ტიპის კატარღა ატარებს. ამერიკული პროგრამით მოდერნიზებული „გრიფის“ ტიპის კატარღა კი P-109 „ფაზისია“.

რაც მეტად გასაკვირია, აშშ-ს მსოფლიოში უდიდესი და მრავალრიცხოვანი ფლოტი ჰყავს და სხვა ქვეყნების საზღვაო ფლოტების მცოდნე სპეციალისტთა ნაკლებობასაც არ უნდა განიცდიდეს.

მოხსენებაში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა — 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომი რატომღაც კონფლიქტად არის მოხსენიებული, რასაც ნამდვილად ვერ დავეთანხმებით.

**თემურ ჩაჩანიძე**



ესტონეთის ფლოტის ყოფილი საპატრულო კატარღა „გრიფი“ P-401

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პატიმრების წამება NATO-სგან კიდევ უფრო დაგვაშორებს

გლდანის ციხეში პატიმრების წამების ამსახველმა ვიდეოფირებმა ძალზე შელახა საქართველოს ხელისუფლების საერთაშორისო იმიჯი. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველო-NATO-ს ურთიერთობაზე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მარტო სამხედრო გაერთიანება როდია, იგი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია, რომელშიც გაწევრებულ ქვეყნებში დემოკრატიის ელემენტარული წესები მაინც უნდა იყოს დაცული.

მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება გამუდმებით ზრდის ქართულ სამხედრო კონტინგენტს ავღანეთში, ISAF-ის ოპერაციაში, და ამას იმით ამართლებს, რომ დაჩქარდება საქართველოს NATO-ში გაწევრება, ფაქტობრივად, ატყუებს ქართველ საზოგადოებას.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივანს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანსა და სხვა დასავლელ პოლიტიკოსებს არაერთხელ უთქვამთ, — ჩვენ დავაკვირდებით საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, თუ რამდენად დემოკრატიულად ჩაივლის და მხოლოდ მას შემდეგ გამოვიტანთ დასკვნას, არის თუ არა მზად საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრობისთვისო.

უეჭველია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად გადასწია უკან საქართველოს NATO-სთან დაახლოება. ბუქარესტის სამიტზე ნათქვამი და შემდგომში არაერთხელ გამეორებული სიტყვები, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ალიანსის წევრი, ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვებად რჩება.

საქართველოს პენიტენციარულ სისტემაში პატიმრების მასობრივად წამების დამამტკიცებელი ფაქტების გამოვლენა 2008 წლის აგვისტოს ომზე არანაკლებ დამბრკოლებელი ფაქტორია NATO-სკენ მიმავალ გზაზე.

ავღანეთში ქართველი სამხედროების რაოდენობის მუდმივი ზრდა (მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნები ISAF-ის ოპერაციაში თავიანთი სამხედროების რიცხვს ნელ-ნელა ამცირებენ, მათ შორის აშშ-ც) ვერ გახდება საქართველოს NATO-ში გაწევრების საშუალება, რაშიც საქართველოს მოსახლეობის დაჯერებას ხელისუფლება ჯიუტად ცდილობს.

უფრო მეტიც, არსებობს დიდი ეჭვი, რომ შეურაცხყოფა, როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური, არც ქართული არმიის ყაზარმებშია იშვიათობა, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში შეიარაღებულ ძალებზე აღარ არის სამოქალაქო კონტროლი, ეს ფაქტები იჩქმალება.

სანამ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არ აღდგება სამოქალაქო კონტროლი და ნაწილობრივ მაინც არ გაიღება ქართული არმიის ყაზარმები მასმედიის წარმომადგენლებისთვის, საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებისთვის მზად არ იქნება.

**ძნელად დასაჯერებელია, რომ NATO-ს წევრმა რომელიმე სახელმწიფომ გვერდით ისეთი ქვეყანა დაიყენოს, რომლის ციხეებშიც პატიმრებს არაადამიანურად აწამებენ, სადაც ხელისუფლება მასმედიას ავიწროებს და სადაც არმია და პოლიცია უკიდურესად პოლიტიზებულია**

***ირაკლი ალადაშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რამდენად ეფექტური იქნება ამერიკული სამხედრო დახმარება?

საქართველოში უკვე იმყოფება ამერიკელ სამხედრო ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობებს ეცნობა.

ექსპერტთა ჯგუფის სტუმრობა იმ ექვსპუნქტიანი გეგმის განხორციელების დაწყების შემდეგ შედგა, რომელიც წლის დასაწყისში ვაშინგტონში აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის გაფორმდა.

აშშ-საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ექვსპუნქტიანი გეგმა შემდეგ სფეროებს მოიცავს:

— ოპერატიული საჰაერო კონტროლისა და საჰაერო თავდაცვის სფეროში წვრთნა და განათლება;

— საბრძოლო თავდაცვითი საინჟინრო წვრთნა და განათლება;

— მხარდამჭერი შვეულმფრენების მიმართულებით წვრთნა და განათლება;

— სანაპირო დაცვის კონტროლის სფეროში წვრთნა და განათლება;

— სერჟანტებისა და უმცროსი ოფიცრების ინსტრუქტორების მომზადება ტაქტიკურ დონეზე;

— ბრიგადის მმართველობისა და შტაბის წვრთნა და განათლება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ექვსპუნქტიანი გეგმის თითოეული ნაწილი სამ ეტაპად დაიყოფა. პირველ ეტაპზე ამერიკელი ექსპერტები კონკრეტული მიმართულების პოტენციალს შეისწავლიან, დაათვალიერებენ შესაბამის სამხედრო ინფრასტრუქტურას. მეორე ეტაპზე დაიწყებენ დოქტრინების შემუშავებას, თუ რა არის გასაკეთებელი ამა თუ იმ მიმართულებით საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. მესამე ეტაპზე კი ამერიკული მხარე შემუშავებული დოქტრინის მიხედვით სამოქმედო გეგმის განხორციელებას შეუდგება.

ჩამოთვლილი ექვსივე პუნქტის შესრულება მართლაც რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვისუნარიანობის აღსადგენად, თუნდაც იმიტომ, რომ საჰაერო თავდაცვის სისტემის გაძლიერებით სავარაუდო მოწინააღმდეგის საჰაერო შემოტევების უკეთ მოგერიება შეიძლება. საინჟინრო თავდაცვის ზღუდეების აგება მნიშვნელოვნად შეანელებს ან საერთოდ შეაჩერებს მტრის ჯავშანკოლონებს. სანაპირო დაცვის უფრო მაღალ დონეზე აყვანა კი შესაძლებელს გახდის მოწინააღმდეგის ხომალდების დროულ აღმოჩენასა და სანაპირო დესანტსაშიში მონაკვეთების უკეთ გაკონტროლებას. მხარდამჭერი „იროკეზების" პარკის მნიშვნელოვნად გაზრდა (ან სულაც უფრო თანამედროვე შვეულმფრენების გადმოცემა) მნიშვნელოვნად გაზრდიდა ქართული სპეცდანიშნულების რაზმების აერომობილურობას.

ერთი შეხედვით კარგი პერსპექტივა ჩანს, თუმცაა საზოგადოების ნაწილში მაინც გაჩნდა არცთუ უსაფუძვლო კითხვა — ამდენი წელია აშშ საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად აღიქმება და მხოლოდ 2012 წლის ბოლოს, აგვისტოს ომიდან ოთხი წლის შემდეგღა იწყებს სტრატეგიული პარტნიორი შენს პრობლემაში გარკვევას? ექვსპუნქტიან გეგმაში ყურადღება ძირითადად წვრთნასა და განათლებაზეა გამახვილებული, რაც, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ითვალისწინებს თუ არა ეს გეგმა ქართული არმიის მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას? რა დონით და როდის?

კითხვა მართლაც რომ ბევრია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ერთ დღეში ეს მნიშვნელოვანი საქმე არ გაკეთდება. როგორც იტყვიან, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

**ირაკლი ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ურთიერთქმედება 2012“-ის მიზნები და შედეგები



ცოტა ხნის წინ სომხეთში „მარშალ ბაგრამიანის“ სახელობის პოლიგონზე დამთავრდა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების სწავლება „ურთიერთქმედება 2012“.

სწავლების თემა იყო „კავკასიის რეგიონში ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების გამოყენება“. ლეგენდის მიხედვით, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი ქვეყანა „სევანია“ აგრესიის მსხვერპლი გახდა და დახმარება ითხოვა.




თხოვნა დაკმაყოფილდა და ჩამოყალიბდა ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების დაჯგუფება, რომელმაც მოწინააღმდეგის თავდასხმა ჯერ მოიგერია და შემდგომ კონტრშეტევაზე გადავიდა.

15-19 სექტემბერი სწავლების აქტიურ ფაზას დაეთმო, სადაც დამუშავდა პირობითი მოწინააღმდეგის ბლოკირების ამოცანა — შვეულმფრენებით ყაზახეთისა და ბელორუსის აერომობილური ქვედანაყოფების დესანტირება მოახდინეს, ხოლო ჰაერიდან პარაშუტებით ივანოველი მედესანტეები დაეშვნენ.

მომდევნო ეტაპზე პირობითი მოწინააღმდეგე სომხეთის არმიის Су-25-ებმა და საარტილერიო ქვედანაყოფებმა „გრადებით“ ცეცხლქვეშ მოაქციეს. შეტევა ტანკებმა და მოტომსროლელებმა დაასრულეს.

სწავლების პროცესში დამუშავდა სხვადასხვა ამოცანა — საბრძოლო ტექნიკის გამოყენება სამთო პირობებში დღისით და ღამით კოლონაში მაქსიმალური სიჩქარით მოძრაობისას და წინააღმდეგობათა დაძლევის დროს, სამიზნეების შერჩევა და მათი მწყობრიდან გამოყვანა ადგილიდან, მოკლე შეჩერებებითა და მოძრაობის დროს სროლებით და ა.შ.

დასკვნითი ეტაპი შინაგანი ჯარის სპეცქვედანაყოფების, საგანგებო სიტუაციების სამინისტროს რაზმების, მაშველი სამსახურებისა და უშიშროების ორგანოების ერთობლივ მოქმედებებს დაეთმო.

ლეგენდით, ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში ტერორისტებმა მძევლები აიყვანეს, ხოლო ტერორისტთა ბლო-

**ივანოველი მედესანტეები სომხეთში საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით „აეროფლოტის“ სატრანსპორტო თვითმფრინავებმა ჩაიყვანეს**



კირებისა და მძევალთა გათავისუფლების „ოპერაცია“ რუსი, სომეხი, ყაზახი და ყირგიზი სპეცრაზმელების მონაწილეობით ჩატარდა.

„ოპერაციის“ დროს გაჩენილი ხანძრის ლიკვიდაციაში სომხეთის, რუსეთისა და ყაზახეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროთა დანაყოფები მონაწილეობდნენ.

სწავლების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ დაგეგმილია კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალი სამშვიდობო ძალების, ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების, ორმხრივი დაჯგუფებებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სწრაფი გაშლის ძალების ერთ კომპონენტად გაერთიანება.

ასევე განზრახულია კოლექტიური საავიაციო ძალების შექმნა, რომელმაც უნდა შეძლოს საერთო ძალების ტრანსპორტირება და საბრძოლო ოპერაციათა უზრუნველყოფა.

ერთი შეხედვით სწავლება „ურთიერთქმედება 2012“ „უწყინარ“ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის.

- **სწავლებისას აპრობირება გაიარა კოლექტიური ძალების ტრანსპორტირების, ადგილზე ტექნიკითა და შეიარაღებით უზრუნველყოფის, შემდგომ დაჯგუფების ჩამოყალიბებისა და დამრტყმელ ძალად გამოყენების მექანიზმმა;**
- **დადგინდა ამისთვის აუცილებელ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, ფრენის მარშრუტები, დროის ნორმატივები და სხვ.;**
- **სომხეთის პირობებში შემოწმდა დაჯგუფების მიღების, განთავსების, უზრუნველყოფისა და მართვის სისტემები;**
- **გამოვლინდა ტექნიკური სახის პრობლემები, რომელიც შეეხებოდა საზღვრების გადაკვეთისას სამხედრო ტვირთების განბაჟებასა და იარაღის გადატანას;**
- **აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ქვეყნის ჯარისკაცები რუსულს ცუდად ფლობენ, რაც საბრძოლო მოქმედებებში სირთულეებს ქმნის;**

„ურთიერთქმედება 2012“ დასრულდა, მაგრამ მისთვის მოგონილ ლეგენდას რეალური საფუძველი აქვს და მსგავსი მოვლენები შეიძლება აზერბაიჯან-სომხეთის ომის განახლების შემთხვევაში მივიღოთ.

*სწავლებაში მონაწილეობდნენ:*

*რუსეთიდან — ივანოვოს 98-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის ორი ოპერატიული ჯგუფი (სწავლების მართვის ორგანოებში), საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი (ერთი ასეულის გარეშე) და სპეციალური დანიშნულების სადაზვერვო ოცეული. სულ დაახლოებით 200 კაცი და 3 ავტომობილი.*

*გიუმრის 102-ე ბაზის 100 სამხედრო მოსამსახურე და ჯავშანტექნიკის 30 ერთეული — БМП-2, БРМ-1, Р-142 და სხვ.*

*შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი „რისი“ და საგანგებო სიტუაციების სამინისტროს რაზმი „ლიდერი“ (25 კაცი).*

*ბელორუსიდან — გენშტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს ოფიცრები, სპეციალური ოპერაციების ძალების სარდლობა, 103-ე გვარდიული ცალკეული აერომობილური ბრიგადის მმართველობა, ამავე ბრიგადის 357-ე ცალკეული გვარდიული აერომობილური ბატალიონის მე-3 ასეული. სულ დაახლოებით 60-70 კაცი.*

*ყაზახეთიდან — შეიარაღებული ძალების მართვის ორგანოების ოპერატიული ჯგუფი და 40-ზე მეტი მედესანტე, შინაგანი ჯარის, საგანგებო სიტუაციების სამინისტროსა და უშიშროების ეროვნული კომიტეტის წარმომადგენლები. დაახლოებით 50 კაცი.*

*ტაჯიკეთიდან — შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოპერატიული ჯგუფის ოფიცრები.*

*ყირგიზეთიდან — თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მთავარი შტაბის ოფიცრების ოპერატიული ჯგუფი.*

*სომხეთიდან — სპეცდანიშნულების ბრიგადა, სატანკო და საავიაციო ქვედანაყოფები, საგანგებო სიტუაციების სამინისტროს დანაყოფები და სხვ. სულ სომხეთიდან დაახლოებით 1500-1600 კაცი მონაწილეობდა.*

*სულ სწავლებაში 2000 სამხედრო მოსამსახურე, ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, 50 საარტილერიო სისტემა, თვითმფრინავები (Су-25), შვეულმფრენები (Ми-8 და Ми-24), 200 ავტომობილი და სხვა ტექნიკა მონაწილეობდა.*

*სწავლების მონაწილეთა შორის იყო საერთაშორისო წითელი ჯვრის კონვოი, ხოლო დამკვირვებლის სტატუსით გაერო, ეუთო და დსთ იყო წარმოდგენილი.*

*ივანოვოს 98-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის ქვედანაყოფებისა და ტექნიკის ტრანსპორტირება „აეროფლოტის“ სატვირთო Ил-76-ებმა განახორციელეს. თვითმფრინავებმა შუალედური დასხდომა სოჭში შეასრულეს, სადაც საბაჟო შემოწმება გაიარეს და საქართველოს საჰაერო სივრცის გადაკვეთის (არადა საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალურად შეწყვეტილი აქვს რუსული სამხედრო ტრანზიტი) შემდეგ ერევნის სამხრეთით მდებარე აეროპორტ „ერებუნში“ დაეშვნენ. მგზავრობას ივანოვოდან ერევნამდე დაახლოებით 10 სთ დასჭირდა.*

თემურ ჩაჩანიძე

სწავლებაში სომხი ტანკებიც მონაწილეობდნენ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზურ ჯარგამოვლილი ჯარისკაცის მიზანი — „მინდა რუსულ სპეცრაზმში მოვხვდე“



„ვისაც საშუალება აქვს, მზად არის ყველაფერი გაყიდოს, ოღონდ კი შვილი აფხაზურ ჯარში არ გაუშვას. ამას წინათ 21 წლის სოხუმელი ბიჭი წვრთნების დროს გარდაცვლილი იპოვეს. არავინ იცის, მოკლეს თუ თავი მოიკლა“, — მიყვება აფხაზეთში სამუშაოდ გადასული ქართველი, რომელიც უკვე წლებია ამ საქმით არჩენს ოჯახს. სწორედ მისი მონაყოლი გახდა საფუძველი, რომ აფხაზური ჯარის ანატომიით დავინტერესებულიყავი. მისივე თქმით, ყოველ შემოდგომაზე, როცა გაწვევა იწყება, აფხაზები ყველაფერს აკეთებენ, რათა შვილებს სავალდებულო სამხედრო სამსახური აარიდონ. სხვა შემთხვევაში, პროტექცია „ზემოდან“ უნდა გაუწიოს და შედარებით ნორმალურ სამხედრო ნაწილში ჩასვამენ. „შედარებით ნორმალური ნაწილი“ კი ნიშნავს, რომ ახალწვეულს არ აშიმშილებენ, ტყუილუბრალოდ არ სცემენ და არ დაჩაგრავენ. რაც იმის წინა პირობაა, რომ ორი წლის შემდეგ ახალგაზრდა სახლში ჯანმრთელობაშერყეული არ დაბრუნდება. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასე ყველას არ უმართლებს. რა ხდება მათთან, ვინც აფხაზურ ჯარში რეკომენდაციის გარეშე იმსახურა, ამის შესახებ ჩვენი რესპონდენტი გვიამბობს, რომელსაც სოციალურ ქსელში მისი ოჯახის ქართველი ახლობლის სახელით დავუკავშირდი.

**ლეონ აუხათი:**

— წარმოშობით დრანდელი ვარ, ბაბუშერის აეროპორტთან ახლოს ვცხოვრობ. ბავშვობიდან მინდოდა სამხედრო პირი ვყოფილიყავი, მაგრამ აუცილებლად სხვა ქვეყნის ჯარში უნდა მემსახურა, რადგან ადგილობრივ ჯარისკაცებს რომ ვუყურებდი, მეცოდებოდნენ, ჭუჭყიანი კამუფლაჟი, მაისურები და ორი ზომით დიდი ფეხსაცმელები ეცვათ... როგორც კი ჯარის ასაკის გავხდი, ჩემმა მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს, 500 დოლარამდე გადაიხადეს და სამხედრო სამსახურიდან ორი წლით გამათავისუფლეს. მესამე წელს, ჩემი თავისუფლების სანაცვლოდ, ვალის აღებამ მოგვიწია, რადგან ოჯახს ფინანსურად ძალიან გაუჭირდა. ჩემს ძმას თანდაყოლილი, მძიმე დაავადება აქვს და მუდმივი მკურნალობა სჭირდება. მეოთხე წელს სინდისმა შემაწუხა და მშობლების კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, კომისარიატში ჩემი ფეხით მივედი. მესამე დღეს დამიბარეს, ერთი ხელი გამოსაცვლელი ტანსაცმელიც წამომეღო.

**— ვიცი, რომ დღევანდელი აფხაზეთის ახალგაზრდების დიდი ნაწილი კრიმინალურ სამყაროს პატივს სცემს და ჯარს თავს არიდებს...**

— დიახ, მივხვდი, რასაც მეკითხებით, მაგრამ მე ამ კატეგორიას არ მივეკუთვნები. ზოგს იმდენჯერ აქვს ვენები გადაჭრილი, რომ ჯარისთვის ფიზიკურად გამოუსადეგარია. **სიმართლე გითხრათ, არც სახლში დარჩენა მინდოდა, რადგან ამდენი „მწევლის“, ნარკომანისა და გაუბედურებულები ახალგაზრდის ცქერა ყელში მქონდა ამოსული.** იქ ჯანსაღი ცხოვრობის წესს მისდევდნენ. ძირითადად, ისინი, ვინც აფხაზეთის საზღვრებს მიღმა წასულა და უნახავს, თუ როგორ ცხოვრობს ნორმალური საზოგადოება. სკოლის ასაკში სპორტითაც ვიყავი დაინტერესებული, მაგრამ არც დარბაზში მქონდა ნორმალურად ვარჯიშის საშუალება და არც სახლში.

**— სპორტის რომელ სახეობაზე დადიოდით?**

— კარატეზე და შავი ქამარიც მოვიპოვე, მესამე დანის მფლობელიც ვარ. მოკლედ, როცა ჯარში წასვლა გადავწყვიტე, ჩემი თავის იმედიც მქონდა, ასე ადვილად არ გავილახები-მეთქი... ბიჭებმა მითხრეს, რომ მისვლისთანავე „ძველები“ სცემდნენ ახალს. ეს გამოცდა იყო, გაუძლებდა თუ არა ახალბედა. თუ ვერ გაუძლებდა და „ძველების“ ბრძანებას შეასრულებდა, „შნირი“ ხდებოდა და მთელი ორი წლის განმავლობაში ხელში ცოცხი და საწმენდი ჯოხი უნდა სჭეროდა. ნაწილში მისვლის შემდეგ, როგორც კი მოწყობა დასრულდა, ისე მცემეს, ორი დღე უგონოდ ვიყავი. სამი ნეკნი ჩამიტყდა, ცხვირი გამიტეხეს და მარცხენა ყურშიც არ მესმოდა, მაგრამ არ დავნებდი. შედეგად, ერთი კვირის შემდეგ დამასაჩუქრეს, — ერთმა ძველმა თავისი ჩექმები მაჩუქა.

— ყურთასმენა დაგიბრუნდათ?

— დიახ, გაეროს პროგრამის ფარგლებში უფასო სამედიცინო გამოკვლევა და მკურნალობა გვეკუთვნოდა და ჩავეწერე. საბედნიეროდ, აპკი გახეთქილი არ მქონდა და დაყრუებას გადავურჩი. როცა სამხედრო წვრთნები გვეწყებოდა, გუდაუთის მთებში მივყავდით, სადაც სამხედრო პოლიგონებისმაგვარი რამ იყო მოწყობილი. მაგვარს იმიტომ ვამბობ, რომ საბჭოთა კავშირის დროს იყო აშენებული და ყველაფერი მოძველებული იყო.

**— როგორ გამოიყურება ახლა გუდაუთის სამხედრო ბაზა?**

— ჩემინ იქ ყოფნის პერიოდში რუსეთის მეშვიდე სამხედრო ბაზა იყო განლაგებული, მრავალრიცხოვანი საბრძოლო ტექნიკით, რომლის დიდი ნაწილი მოშლილი იყო. წვრთნების დროს, საჩვენებლად ვიყენებდით БТР-80-ს, დაჯავშნულ სამხედრო ავტომობილებს „ტიგრს“, Т-90 ტანკებს. მათი დიდი ნაწილი მწყობრიდან იყო გამოსული, მაგრამ სწავლებისთვის გამოდგებოდა. სამსართულიან ყაზარმებში ელექტროგაყვანილობიდან დაწყებული, ყველაფერი გაფუჭებული იყო. წყალი ვედროებით აგვქონდა...

**— თუმცა, აფხაზური და რუსული პრესა გუდაუთის სამხედრო ბაზაზე მიმდინარე ახალ მშენებლობებზე აქტიურად წერს...**

— დიახ, მშენებლობები მიმდინარეობს, რაშიც ჩვენც ვმონაწილეობდით, მაგრამ ეს არის სამხედრო დასახლების მშენებლობა. იქ სამხედრო პირების ოჯახები ცხოვრობენ და ამას ჯარისკაცის პირობების გაუმჯობესებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. წვრთნების შემდგომ ადგილობრივებთან ურთიერთობის საშუალებაც გვქონდა. მათ ვეცოდებოდით და ხშირად საჭმელი მოჰქონდათ ჩვენთვის. ვისაც არ მოჰქონდა, ვპარავდით, ძირითადად, ხილსა და ბოსტნეულს, რაც ძალიან დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული.

**— რატომ?**

— იქ ხალხი ჯერ კიდევ საომარ რეჟიმში ცხოვრობდა. სახლებში რამდენიმე დასახელების იარაღს ინახავდნენ. მხოლოდ „კალაშნიკოვი“ კი არა, სნაიპერული შაშხანები, ყუმბარსატყორცნები, ვაზნები. როცა ვეკითხებოდით, რად უნდოდათ იარაღი, ყველას ერთნაირი პასუხი ჰქონდა, — შესაძლოა, მტერი მოულოდნელად თავს დაგვესხასო. **ხელმძღვანელობა ამას მობილიზებულ სარეზერვო ჯგუფებს უწოდებს. ცხადია, ასე არ არის, ადგილობრივები მას საყაჩაღოდ იყენებენ. ჩემმა ოჯახმა ორჯერ იწვნია ასეთი „რეზერვისტების“ ძალადობა.** თუმცა, შეიარაღებული ადამიანების არსებობას ქვეყნის ხელმძღვანელობა ასე ხსნის, — აფხაზეთის საზღვართან უცხო ქვეყნის ჯარისკაცები დგანან და ასეთ პირობებში ქვეყანას ყველაზე კარგად ადგილობრივები დაიცავენო. იარაღს შენახვისა და ტარების უფლებას იურიდიულად დარეგისტრირებაც კი არ უნდა, — მილიციაში ახლობელს იპოვიან, პატივს სცემენ ან პირდაპირ ფულს გადაუხდიან და პრობლემა მოგვარებულია.

**— ლეონ, დაახლოებით რამდენი ახალწვეული მსახურობს აფხაზურ არმიაში და როგორი პირობებია?**

— **ჩემი ინფორმაციით, 2500-მდე კაცი, მაგრამ აქედან ნახევარი ფულს იხდის და ნაწილში მხოლოდ წელიწადში რამდენიმე დღე რჩება.** ადგილობრივი თავდაცვის სამინისტრო სამხედრო სამსახურში რუსებსაც ეპატიჟება. მასშტაბური წვრთნების დროს ე.წ. ელიტური ნაწილიდან მართლაც მოიყვანეს რამდენიმე რუსი. გავიგე, რომ ადგილობრივ არმიაში 500 რუსს ჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული. როცა გამოველაპარაკე, მივხვდი, რომ ჩვენსავით უპატრონო ბიჭები იყვნენ. ანუ მათთვის პროტექცია არავის გაუწევია და ისინიც ჩვენსავით სიღატაკეში ცხოვრობდნენ.

**— რა ტიპის პრობლემები იყო ჯარში?**

— ყველანაირი. არაერთი შემთხვევა მახსოვს, როცა **რამდენიმე კვირის განმავლობაში ჯარისკაცები ქერის ფაფაზე გადავდიოდით, პურიც კი არ გვქონდა. ჩაისა და შაქარზე ლაპარაკიც ზედმეტია.** რუსეთი ყველას სისტემაში დებს ინვესტიციას, არმიისა და პოლიციის გარდა. ეს სფერო აფხაზეთის ბიუჯეტით ფინანსდება და ეტყობა კიდეც. **ჯარში იზოლენტაშემოხვეული ავტომატები გვქონდა, რაზეც რუსი სამხედროები ხშირად ქილიკობდნენ. ისიც იმათ, ვინც იძალა და გაუმართლა, თორემ „შნირებმა“, რომლებიც ყოველდღე მეღღევეებად იდგნენ, ჯარი ისე დაამთავრეს, მგონი, იარაღისთვის ხელიც არ შეუვლიათ.** ადგილობრივი თავდაცვის სამინისტრო აფხაზი კადრების სამხედრო მომზადების დონით უკმაყოფილო იყო, უფრო სწორად უნდობლობას უცხადებდა. **ხშირად მათ ბრძანებებს არც ჩვენ, ჯარისკაცები ვემორჩილებოდით. რუსი სამხედროს ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჰაუპტვახტი გარდაუვალი იყო, აფხაზები კი გვპატიობდნენ, ბიჭები ისედაც მშივრები არიანო. რუსი ჯარისკაცები ყველას ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდნენ.**

**— მათ შორის არ იყვნენ „ავტორიტეტული“ და „შნირი“ ჯარისკაცები?**

— არა, ჩვენს ნაწილში უფროსობის დავალებას ყველა მორჩილად ასრულებდა.

**— რა ბრძანებებს გაძლევდათ ნაწილის ხელმძღვანელობა?**

— მაგალითად, დილის მოწყობის შემდეგ რამდენიმე კილომეტრზე სირბილის ან სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების, ნაწილში წესრიგის დამყარების ბრძანებებს.

**— მითხარით, რუსი სამხედროების ბრძანებას ვასრულებდითო, რატომ?**

— ისინი მკაცრი და დაუნდობლები არიან. ჰაუპტვახტი, ერთი ჯარისკაცის გამო მთელი ნაწილის დასჯა, შუაღამეს წამოყრა და სირბილი — ასეთი იყო ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასჯის მეთოდი. ჩემი სამსახურის პერიოდში არმიის შეიარაღება რამდენჯერმე გადაახალისეს, მაგრამ ჩვენ ვერაფერი გავიგეთ. იმ ორი წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა, ისევ იზოლენტიანი „კალაშნიკოვი“ მეჭირა ხელში.

**— ლეონ, წვრთნების შესახებაც გკითხავთ...**

— ჩვენი ნაწილის უფროსი, მაიორი თენგიზ მრიმბა ხშირად გვეუბნებოდა, რომ დაზვერვის ინფორმაციით, ქართული უშიშროება მუდმივად მუშაობდა აფხაზეთის საზღვართან, ამიტომ ფხიზლად უნდა ვყოფილიყავით, რადგან აფხაზური არმია 92-93 წლების ბრძოლაში დაიბადა. ამიტომ რეგულარილად გვახსენებდნენ 90-იან წლების ომს. ცოტა ხნით ადრე იგივე მოხდა სამხრეთ ოსეთში და საჭიროების შემთხვევაში ჩვენ მათ მხარში უნდა დავდგომოდით.

**— როგორც მივხვდი, მოწინააღმდეგე მხარედ ქართული არმია იყო წარმოდგენილი?**

— დიახ. აგრესიის შემთხვევაში, ჩვენ არათუ ქართველების მოსაგერიებლად, არამედ დასამარცხებლადაც მზად უნდა ვყოფილიყავით. **რამდენჯერმე ჩატარდა სპეციალური სამხედრო სწავლება, რომლის ფარგლებშიც რუსეთის სამხედრო ნაწილებში გაგვგზავნეს, სადაც სამხედრო ავტომობილების მართვას, პოზიციურ და საარტილერიო ბრძოლებსაც გვასწავლიდნენ, რომელსაც კომბინირებულ სწავლებასაც უწოდებდნენ. იქ ბევრად ადამიანური პირობები და სამხედრო მომზადების მაღალი დონე იყო.** რუს სამხედროებთან ერთად ვცხოვრობდით. იმასთან შედარებით, რაც აფხაზეთში იყო, სულ სხვანაირი გრაფიკი გვქონდა, ზამბარასავით დაჭიმული ვიყავით. დილის 5 საათზე ვდგებოდით, მოწყობის შემდეგ საუზმე იყო. 9-ზე საველე წვრთნები გვეწყებოდა, სადაც მთიან ტერიტორიაზე ობიექტის განადგურებაში ვვარჯიშობდით. ერთი წამის დაგვიანებასაც კი არავინ გვაპატიებდა, მაშინვე 5-კილომეტრიან სარბენ ბილიკზე გვიშვებდნენ. **მიზანში სროლის გარდა, ყოველდღე გვიტარებდნენ თეორიულ გაკვეთილებს. ბრძოლის ტაქტიკის გარდა, იარაღთან ურთიერთობას გვასწავლიდნენ და ფსიქოლოგიურად გვამზადებდნენ.** მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს კვალიფიციური სამხედრო კადრი. აგრეთვე, როცა ხელში გამართული იარაღი გიჭირავს და ტყვიებს არ გითვლიან. მოკლედ, ბევრი საინტერესო და სამხედრო პირისთვის მნიშვნელოვანი დეტალი იყო, რასაც იქ რომ არ წავსულიყავი, ვერასდროს დავეუფლებოდი.

სოხუმში დაბრუნების შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმთან კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზეს, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო უარი ვთქვი, — როგორც გითხარით, ოჯახში ავადმყოფი ძმა მყავს და მაშინ მისი მდგომარეობა კრიტიკული იყო. ის ამჟამად მკურნალობის კურსს მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გადის.

**— ასე რომ არ ყოფილიყო, გააფორმებდით ხელშეკრულებას?**

— კი, რატომაც არა?.. იქ მაღალი ანაზღაურებაა და პირობებიც ნორმალურია. მანამდე სერჟანტთა გადასამზადებელი კურსი უნდა გამევლო, მაგრამ ბოლო წუთში უარი ვთქვი.

**— ლეონ, სავალდებულო სამხედრო სამსახურის დასრულების შემდგომ როგორ აპირებთ ცხოვრების გაგრძელებას?**

— საბუთები უკვე გაგზავნილი მაქვს ერთ-ერთ რუსულ სპეცრაზმში. უკვე შეტანილი მაქვს განაცხადი ოფიცერთა კურსებზე. მითხრეს, რომ ამ სასწავლებლის აფხაზეთში დამთავრების შემთხვევაშიც მაქვს შანსი რუსეთის სახელმწიფო დაცვის სპეციალურ დანაყოფში მოვხვდე. ამ ეტაპზე ეს არის ჩემი მიზანი და ვიცი, რომ ჯერჯერობით ყველა კრიტერიუმს ვაკმაყოფილებ.

*ლალი პაპასკირი*

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ILA 2012

11 სექტემბერს ბერლინში მორიგი საერთაშორისო ავიაკოსმოსური სალონი ILA 2012 გაიხსნა. მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს საავიაციო გამოფენას ბერლინის ავიასალონსაც უწოდებენ.

გამოფენას მსოფლიოს 47 ქვეყნიდან ავიაციის, აეროპორტებისა და კოსმოსის სფეროში მომუშავე 1000-ზე მეტი კომპანია და წარმომადგენლობა დაესწრო. წლევანდელ გამოფენაზე საავიაციო ტექნიკას თითქმის 270 სხვადასახვა სახის საფრენი აპარატი წარმოადგენდა და მათი ნაწილი ავიასალონის საფრენოსნო პროგრამაში რეგულარულად მონაწილეობდა.

გამოფენა დასაბამს 1909 წლიდან იღებს. პირველი ექსპოზიცია მაშინ ქალაქ მაინის ფრანკფურტში მოეწყო და სამი თვე გაგრძელდა. ამ პერიოდში ორგანიზატორები მაყურებლების მოხიბვლას სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატებით, მათ შორის ფირმა „ცეპელინის“ დირიჟაბლებითაც ცდი-

**Boeing-747 მსოფლიოში ყველაზე დიდ და ტევად ავიალაინერად ითვლებოდა. ამ ტიტულს ის 37 წელი — A380-ის შექმნამდე ინარჩუნებდა. ფიუზელაჟის დამახასიათებელი ფორმის წყალობით ის მსოფლიოში ყველაზე ცნობადი თვითმფრინავია. ბერლინში წარმოდგენილი ახალი მოდელი Boeing-747-8 დაფრინავს 15000 კმ-ზე და 467 მგზავრი გადაჰყავს. პირველი სერიული ლაინერი გერმანულმა ავიაკომპანია „ლუფთჰანზამ“ მიმდინარე წლის მაისში მიიღო. თვითმფრინავზე თანამედროვე ელექტრონული სისტემები და Boeing-787 Dreamliner-ის ძრავები დაყენებული**






ახალი პოლონური უპილოტო შვეულმფრენი ILX-27. მას სამნიჩბიანი მზიდი და ფინესტორნის ტიპის კუდის ხრახნები აქვს და სიგრძეში 7,7 მეტრია. მწარმოებელთა აზრით, აპარატი 215 კმ/სთ-ში სიჩქარის განვითარებას შეძლებს და ძირითადი ფუნქცია სახმელეთო ძალების საცეცხლე მხარდაჭერის უზრუნველყოფა იქნება

იტალიური წარმოების სამხედრო-სატრანსპორტო C-27J Spartan-ი. ის პირველად 1999 წელს აფრინდა და გამოშვებული 52 თვითმფრინავი ათი ქვეყნის შეიარაღებაშია. მწარმოებელ კომპანიას მყარი კონტრაქტი 83 თვითმფრინავზე აქვს. აქედან 38 ცალს აშშ ყიდულობს. თავის კლასში ის მსოფლიოში ერთადერთი თვითმფრინავია, რომელსაც უმაღლესი პილოტაჟის ფიგურის „კასრის“ შესრულება შეუძლია



ლობდნენ. სამი წლის შემდეგ გამოფენა ბერლინში გადაიტანეს და მას შემდეგ იქ იმართება.

1992 წლიდან გამოფენამ რეგულარული ხასიათი მიიღო და ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. ტრადიციისამებრ ექსპოზიცია ბერლინ-შენეფილდის აეროპორტში იმართება. თუმცა, წელს ტრადიცია დაირღვა და სალონი ახალ ბერლინ-ექსპოცენტრის აეროპორტში ჩატარდა.

გამოფენა 16 სექტემბერს დაიხურა და რიგითმა მაყურებელმა საფრენი აპარატების ხილვა მხოლოდ ბოლო ორ დღეს მოახერხა.

წლევანდელ ავიასალონზე ერთდროულად რამდენიმე გიგანტი ავიალაინერი იყო. მათ შორის ევროპული A380, რომლის დემონსტრირებისთვისაც მწარმოებლები მსოფლიოს არც ერთ მსხვილ გამოფენას არ ტოვებენ. მასთან ერთად ბერლინის ავიასალონზე წარმოდგენილი იყო სამგზავრო გადაზიდვებში ამერიკული Boeing-ის მორიგი ქმნილება — მსოფლიოში ყველაზე ცნობადი ლაინერის ახალი მოდიფიკაცია Boeing-747-8.

გამოფენაზე მრავლად იყო უპილოტო საფრენი აპარატები — ისრაელის IAI-ს, ამერიკული General Dynamics-ისა და Northrop Grumman-ის მოდელები.

**ალექსანდრე აფაქიძე**

უცნაური ფორმის გამო ამ თვითმფრინავს „ბელუგა“ შეარქვეს. კომპანია „აირბასმა“ ის 90-იანი წლების დასაწყისში ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან ფრანგულ ტულუზაში „აირბასის“ თვითმფრინავების მსხვილი აგრეგატების (ფიუზელაჟი, ფრთები) ჩასატანად შექმნა. მისი ტვირთამწეობა 47 ტონაა, ხოლო ფიუზელაჟის სიგანე კი 7,4 მეტრი. სულ 5 „ბელუგა“ აშენდა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# არქივარიუსი, რომელმაც კა-გე-ბეს საიდუმლო ოპერაციებს ახადა ფარდა

**წელს ოქტომბერში სრულდება ოცი წელი მას შემდეგ, რაც კა-გე-ბეს საგარეო დაზვერვის მთავარი სამმართველოს საარქივო განყოფილების ყოფილი ოფიცერი, 70 წლის პენსიონერი ვასილი მიტროხინი გორგოლაჭებიანი ჩანთით რიგაში დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიადგა. მაშინ არავინ იცოდა, თუ რა „სწრაფი მოქმედების ნაღმის" პატრონი იყო სათვალიანი ჩია მოხუცი.**

**1992 წლის შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს მოსკოვი-რიგის მატარებლიდან მოხუცი ჩამოვიდა, თან გორგოლაჭებიან ჩანთას მოაგორებდა. ალბათ, სახელგანთქმული ბულგარელი ნათელმხილველი ვანგაც ვერ მიხვდებოდა, თუ რა ტვირთი მიჰქონდა მოხუცს და როგორ შეცვლიდა ეს კაცი მსოფლიოს უახლეს ისტორიას.**

## ვინ იყო ვასილი მიტროხინი?

დღეს მკითხველს გავაცნობთ ახალ მასალებს ვასილი მიტროხინისა და კრისტოფერ ენდრიუს 1999 და 2005 წლებში ორ ტომად გამოცემული წიგნიდან The Mitrokhin Archive 1-2, The KGB and the World.

მცირე დოსიე: ვასილი მიტროხინი დაიბადა 1922 წელს რიაზანის ოლქში. დაამთავრა ალმა-ათის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1948 წლიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სისტემაში ჯერ კურიერად, შემდეგ საზღვარგარეთ მუშაობდა. 50-იანი წლების დასაწყისიდან კი საბჭოთა დაზვერვის არქივში. ის არეგისტრირებდა უცხოეთში მოქმედი საბჭოთა აგენტურის საარქივო დოკუმენტებს. ალბათ, ვეღარასოდეს გავიგებთ, რამ უბიძგა მიტროხინს, ფაქტობრივად, თავი გაეწირა, სასიკვდილო ნაბიჯი გადაედგა და არქივიდან ფარულად ამოეწერა სრულიად საიდუმლო ინფორმაცია მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ათასობით არალეგალურად მოქმედი საბჭოთა აგენტისა და საიდუმლო ოპერაციის შესახებ. ეს ფაქტი რომ გამჟღავნებულიყო, მიტროხინს უკეთს შემთხვევაში ციმბირის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში მოუწევდა სიცოცხლის გატარება. დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიტროხინი 1972 წლიდან შეუდგა არქივებიდან ამონაწერების გაკეთებას. ის 2004 წელს გარდაიცვალა, ლონდონში.

ყველაფერი კი ასე დაიწყო.

1972 წელს კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველო (იგივე საგარეო დაზვერვა) ლუბიანკიდან მოსკოვთან ახლოს მდებარე იასენოვოში, ახალ, თანამედროვე კომპლექსში უნდა გადასულიყო. საიდუმლო დოკუმენტებთან ერთად დაზვერვის არქივიც (დაახლოებით 300000-მდე საქაღალდე) უნდა გადაეტანათ. ამისთვის კი აუცილებელი იყო არქივის აღწერა, ინდექსაცია და სპეციალურ ყუთებში მოთავსება, რომლებიც შემდგომ უნდა დალუქულიყო.

იასენოვოში საქაღალდეები სპეციალურ სტელაჟებზე თავსდებოდა. უზარმაზარი არქივის გადატანა რამდენიმე წელს გაგრძელდა.

სწორედ ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა საგარეო დაზვერვის არქივის თანამშრომელი ვასილი მიტროხინი.

საბჭოთა სპეცსამსახურებში საიდუმლო დოკუმენტებთან მუშაობა განსაკუთრებით გამკაცრებული იყო. გამონაკლისი არც არქივი გახლდათ, სადაც დაშვების უფლების მიღება ურთულესი იყო.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული



საბჭოთა უშიშროების არქივარიუსი ვასილი მიტროხინი

მიტროხინი თავდაპირველად პოლიტბიუროს საიდუმლო სხდომების, საბჭოთა კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სრულიად საიდუმლო გადაწყვეტილებებისა და კა-გე-ბეს თავმჯდომარე იური ანდროპოვის ბრძანებების ტექსტს იმახსოვრებდა, ხოლო სახლში დაბრუნებულს ქაღალდზე გადაჰქონდა.

შემდეგ კი, როცა დარწმუნდა ლუბიანკის ცენტრალური კორპუსის საკონტროლო-გამშვებ პოსტზე მყოფი ჯარისკაცების გულარხეინობაში, საარქივო მასალებს კაბინეტშივე იწერდა და სახლში წინდებში დამალული მიჰქონდა. იქ კი საწოლის მატრასის ქვეშ მალავდა.

შაბათ-კვირას მიტროხინი აგარაკზე მიემგზავრებოდა და არქივიდან ამონაწერებს ჯერ რძის ბიდონში ათავსებდა, შემდეგ კი მიწაში ფლავდა. ასე გაგრძელდა 12 წელი.

1984 წელს მიტროხინი მაიორის ჩინით პენსიაზე გავიდა და უმეტესად მოსკოვის მახლობლად მდებარე პატარა საბაღე ნაკვეთში ფუსფუსებდა, პარალელურად საარქივო დოკუმენტებიდან ამონაწერებს ახარისხებდა და ისევ მიწაში ფლავდა.

არავინ ელოდა, რომ მიტროხინი კარტოფილისა და პამიდვრის მოსავალთან ერთად რამდენიმე წელში სხვა, გაცილებით ძვირფას „მოსავალსც“ აიღებდა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პოლიტიკურ კრიზისებს გამოიწვევდა.

მიხაილ გორბაჩოვის „პერესტროიკამ“ და 1991 წლის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში განვითარებულმა კრიზისულმა მოვლენებმა მიტროხინს მშვენიერი „ამინდი“ შეუქმნა.

უძვირფასესი „მოსავლის“ ასაღებად მან კა-გე-ბეს აგენტურის კარტოთეკის მეიდველთა ძებნა დაიწყო. წინდახედული არქივარიუსი ლატვიის დედაქალაქ რიგაში ჩავიდა და აშშ-ის საელჩოში ცსს-ს რეზიდენტთან შეხვედრა მოითხოვა.

ამერიკელმა მზვერავებმა ქედმაღლურად მიიღეს „ვიღაც პენსიონერი“ და „ბიბლიოთეკარი“, რომელიც ხელნაწერებით სავსე ჩანთით მიადგა მათ, ხოლო მიწაში ჩაფლული არქივების ამბავი სასაცილოდაც არ ეყოთ. ხელით გადაწერილი ფურცლები შეიძლებოდა არა დედნის ასლები, არამედ ყალბი ყოფილიყო.

ადგილობრივ ცსს-ს ოფიცრებს ისედაც თავზე საყრელად ჰქონდათ საქმე ასობით რუსის გამო, რომლებიც აშშ-ში პოლიტიკურ თავშესაფარს ეძებდნენ და დანგრეული საბჭოთა კავშირიდან გაქცევას გეგმავდნენ.

**დღეს ცსს-ში თვლიან, რომ ეს მათ ისტორიაში ერთ-ერთი დიდი შეცდომა იყო. ამერიკელებისაგან გაწბილებული მიტროხინი შორს აღარ წასულა და იქვე, რიგაში, ბრიტანელებს მიადგა.**

ჯეიმს ბონდის თანამემამულეებმა ყურადღებით მოუსმინეს მოხუცს, შოტლანდიური ვისკიც დაალევინეს და 1992 წელს ოჯახთან ერთად ინგლისში პოლიტიკური თავშესაფარიც გაუხერხეს. მაგრამ მთავარი — კა-გე-ბეს არქივის დიდი ნაწილი კვლავ მოსკოვთან ახლოს, მიწაში ღრმად ჩაფლული იყო. MI-6-მა ოპერაციაში მოსკოვის რეზიდენტურა ჩართო და მალე არქივი უკვე ლონდონში აღმოჩნდა. მისი „მოგზაურობის“ დეტალები დღესაც გასაიდუმლოებულია.

## საიდუმლო დოკუმენტები კა-გე-ბეს არქივიდან

დიდი ბრიტანეთის დაზვერვა 7 წელი გულდასმით სწავლობდა „მიტროხინის არქივს“ და პარალელურად კი ზოგიერთ მასალას იმ ქვეყნებს უწილადებდა, სადაც საბჭოთა აგენტურა მოქმედებდა.

ასე მიიღეს აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებმა საჭირო საარქივო ამონაწერები.

1995 წელს დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით „მიტროხინის არქივის“ გამოსაცემად მოსამზადებისთვის შეირჩა კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, სპეცსამსახურების ისტორიის ცნობილი ექსპერტი ქრისტოფერ ენდრიუ.

80-იანი წლების ბოლოს სწორედ ქრისტოფერ ენდრიუსა და საბჭოთა კავშირიდან გაქცეული საგარეო დაზვერვის პოლკოვნიკ ოლეგ გორდიევსკის ერთობლივად დაწერილმა წიგნმა მოახდინა მსოფლიოში სენსაცია.

მიტროხინისა და ენდრიუს პირველი წიგნი 1999 წელს გამოიცა და დაიწყო ხმაურიანი სკანდალები. ყველაზე შთამბეჭდავი მაინც კა-გე-ბეს ყოფილი აგენტის, 80 წლის მელიტა ნორვუდის გამოაშკარავება იყო.

ნორვუდი 1937 წლიდან 40 წლის განმავლობაში ბრიტანეთის ბირთვულ კვლევებზე საიდუმლო ინფორმაციას საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვას აწვდიდა.

მიტროხინის დოკუმენტებმა ამხილა აგენტი „რომეო“ — ლონდონის პოლიციის გამომძიებელი, სერჟანტი ჯონ საიმონდსი, რომელიც ქვეყნიდან კორუფციის ბრალდების წაყენების შემდეგ გაიქცა. კა-გე-ბემ ის მაროკოში გადაიბირა. მომზადების სპეციალური კურსის გავლის შემდეგ მას უნდა მოეხიბლა უცხოურ საელჩოებში მომუშავე ქალები და მათგან საიდუმლო ინფორმაცია მიეღო.

„მიტროხინის არქივიდან“ გაირკვა აგრეთვე 1969 წელს კა-გე-ბეს მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც **ითვალისწინებდა სპეცოპერაციას დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წინააღმდეგ და ამის MI-5-ის დაგეგმილ შეთქმულებად წარმოჩენას.** ეს მოდელირებული „შეთქმულება“ ვითომ უელსის ნაციონალისტური პარტია „ფლეიდ კამრის“ წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. **მიტროხინის დოკუმენტებიდან გაირკვა აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საიდუმლო ადგილების ამბავიც. ამ საიდუმლო თავშესაფრებში იყო დამალული იარაღი, რომლის გამოყენებასაც ომის შემთხვევაში აგენტები და მათი პროსაბჭოურად განწყობილი თანამოაზრეები შეძლებდნენ.**

„მიტროხინის არქივში“ ამერიკელ პოლიტიკოსთა სახელებიც უხვად იყო: **დაწყებული აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰენრი კისინჯერიდან, რომლის საუბარს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონთან თურმე კა-გე-ბე ისმენდა, დამთავრებული პრეზიდენტ ჯიმი კარტერის მრჩეველ ზბიგნევ ბჟეზინსკით, რომლის გადაბირებასაც კა-გე-ბე ცდილობდა.**

მიტროხინის არქივის შესწავლის შემდეგ ბევრი საბჭოთა ჯაშუში გამოაშკარავდა. მაგალითად, რობერტ

ეროვნული ბიბლიოთეკა



კა-გე-ბეს არქივებში უამრავი საიდუმლო ინფორმაცია ინახება, რომლის ერთი ნაწილი მიტროხინმა დასავლეთის სპეცსამსახურებს უწილადა

ლიპკა — აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს კლერკი 60-იან წლებში საბჭოთა კავშირისათვის ჯაშუშობდა და მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ფელიქს ბლოხი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანი, ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება ვერ მოხერხდა და მას ბრალდებაც ვერ წაუყენეს, ბლოხი სამსახურიდან დაითხოვეს და პენსიაც ჩამოართვეს.

კიდევ უფრო სენსაციური იყო 2005 წელს გამოცემული მეორე წიგნი, რომელშიც მოყვანილი იყო კა-გე-ბეს შეფის, იური ანდროპოვის სრულიად საიდუმლო მოხსენება, რომლის თანახმადაც, ჩილეში სოციალისტ სალვადორ ალიენდეს გაპრეზიდენტებაში საბჭოთა სპეცსამსახურმა გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ასევე საინტერესოა 1980 წლით დათარიღებული დოკუმენტი, სადაც **კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს კუბაზე საბჭოთა ბირთვული იარაღის კვლავ განთავსებას სთავაზობდა.**

„მიტროხინის არქივის“ გამოქვეყნებამ საბჭოთა საგარეო დაზვერვის მრავალ დეზინფორმაციულ სპეცოპერაციას ახადა ფარდა.

საბჭოთა კავშირის საზღვრებგარეთ ამას აკეთებდა პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვის) A სამსახური, რომელსაც ასამდე მაღალი დონის ანალიტიკოსი ჰყავდა შტატში. მათ კიდევ საინფორმაციო სააგენტო АПН-ისა და ТАСС-ის საფარქვეშ მოქმედი 50-ზე მეტი „ჟურნალისტი“ (სინამდვილეში კი დაზვერვის თანამშრომელი) ემატებოდა.

უცხოეთში საბჭოთა საელჩოების რეზიდენტურებში პოლიტიკური დაზვერვის მიმართულებით მომუშავე საბჭოთა სპეცსამსახურების „უხილავ რაინდებს“ ევალებოდათ დასავლეთის ქვეყნების ლიდერების (უპირველესად რონალდ რეიგანისა და მარგარეტ ტეთჩერის) ოფიციალური განცხადებებისა და არაოფიციალური გამონათქვამების ფალსიფიცირება-დისკრედიტირება. ამისათვის კი უცხოელ „გავლენის აგენტებსა“ და მოსყიდულ უცხოურ მასმედიას იყენებდნენ.

წიგნიდან ირკვევა, რომ 1972 წელს მხოლოდ ინდოეთში საბჭოთა დაზვერვის შეკვეთით 3789 პუბლიკაცია გამოქვეყნდა და ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდებოდა: 1974 წელს — 4486, ხოლო 1975 წელს კი — 5510 დეზინფორმაციული შინაარსის პუბლიკაცია დაიბეჭდა.

ვასილი მიტროხინი კი 2004 წლის იანვარში, 81 წლისა წყნარად გარდაიცვალა ლონდონში. ასე აწრიალა რიგითმა არქივარიუსმა მთელი მსოფლიო და სპეცსამსახურების ისტორიის მრავალ საიდუმლოს ახადა ფარდა.

მიტროხინისა და ენდრიუს ორივე წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და მრავალი საინტერესო ფაქტია აღწერილი. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ხელისუფლება ყველანაირად ზღუდავს ამ წიგნების რუსულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას, რათა მოსახლეობისთვის საბჭოთა სპეცსამსახურების „გმირობანი“ ხელმისაწვდომი არ გახდეს.

არ იქნებოდა ურიგო, თუ მიტროხინისა და ენდრიუს წიგნები ქართულად ითარგმნებოდა და სპეცსამსახურების ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა.

**ბესიკ ალადაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების





უკრაინის თავდაცვის მინისტრს დიმიტრი სალამატინს თავის აზერბაიჯანელ კოლეგასთან საფარ აბაევთან მძიმე საუბრის გადატანა მოუხდა

## აზერბაიჯანი

- 8 სექტემბერს გარდაიცვალა ჯარისკაცი, რომელიც 13 ივლისს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევისას ნახჭევანში დაიჭრა.
- 12 სექტემბერს დააპატიმრეს ნახჭევანის საარმიო კორპუსის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ასეულის მეთაური, მაიორი როვშან ატაშოვი. გამოძიების ინფორმაციით, მაიორმა ჯარისკაცს სახეში რამდენჯერმე სილა გააწნა, რასაც ჯარისკაცის თვითმკვლელობა მოჰყვა.
- წლის დასაწყისიდან აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში 72 სამხედრო მოსამსახურე გარდაიცვალა და 62 დაიჭრა. 14 სამხედრო მოწინააღმდეგის ტყვიების მსხვერპლია, 12-მა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, 9 არასაწესდებო ურთიერთობის გამო გარდაიცვალა, 9 ავტოსაგზაო შემთხვევისას დაიღუპა, 7 ავადმყოფობისგან გარდაიცვალა და ა.შ.
- 17 სექტემბერს ბაქოში ვიზიტით მყოფი უკრაინის თავდაცვის მინისტრი დიმიტრი სალამატინი თავის აზერბაიჯანელ კოლეგას, საფარ აბაევს შეხვდა. აზერბაიჯანელმა მინისტრმა შეშფოთება გამოთქვა სომხეთისთვის იარაღის საიდუმლო მიყიდვების გამო.
- თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრომ სამხრეთაფრიკული კომპანია Paramount Group-ის ლიცენზიით უკვე გამოუშვა 55 დაჯავშნული ავტომობილი Marauder-ი და ამდენივე Matador-ი.

## სომხეთი

- ოქტომბერში სომხეთის შეიარაღებული ძალები უპრეცედენტო სწავლებას ჩაატარებენ და მასში მონაწილეობას რეზერვისტებიც მიიღებენ. სწავლება ერთი კვირა გაგრძელდება. რეზერვიდან გამოძახებას მიიღებენ როგორც ახლახან დემობილიზებულები, ასევე 50 წელს გადაცილებული რეზერვისტებიც.
- 9 სექტემბერს კანაკერში (ერევნის გარეუბანი) სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ჯარისკაცის ცხედარი იპოვეს. წინასწარი მონაცემებით, ჯარისკაცმა თავი მოიკლა.
- თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო სამსახური განაგრძობს იმ საქმის გამოძიებას, რომელიც სამხედრო პროკურატურამ კვების პროდუქტების ერთ-ერთ ცენტრალურ საწყობში გამოვლენილი დარღვევების გამო აღძრა. სისხლის სამართლის საქმე უკავშირდება ძროხის ხორცის მაგივრად კამეჩის ხორცის შესყიდვებს, გადასახადებისგან თავის არიდებასა და სხვა დარღვევებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცოტა ხნის წინ მთავარი შტაბის უფროსის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ არშალუის პაიტიანის გათავისუფლება ამ საქმესთან არის დაკავშირებული. გენერალი შესყიდვებს კოორდინაციას უკეთებდა.

## ჩრდილო კავკასია

- ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში აგვისტოში 106 კაცი დაიღუპა, 76 დაიჭრა. დაღუპულთაგან 45 ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელია, 35 შეიარაღებული წინააღმდეგობის მებრძოლი, ხოლო სხვები კი მშვიდობიანი მოქალაქეა.
- საგაზაფხულო გაწვევაზე ჩრდილო ოსეთიდან გაწვეული 1689 წვევამდელისგან შინაგან ჯარში 1300, სახმელეთო ჯარებში — 187, საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ნაწილებში — 100, სარკინიგზო ჯარებში — 92 და საჰაერო-სადესანტო ჯარებში — 10 ახალგაზრდა წავიდა. ერთ-ერთმა წვევამდელმა რწმენით ბაპტისტმა კი სამხედრო ფიცის მიღებაზე უარი განაცხადა.



ოქტომბერში სომხეთში დიდი სამხედრო სწავლებების ჩატარება იგეგმება

# მიმოხილვა



ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტში აგვისტოში 106 ადამიანი დაიღუპა

● 11-12 სექტემბერს ჩრდილო ოსეთისა და ინგუშეთის საზღვარზე შეიარაღებული წინააღმდეგობის მებრძოლთა ჯგუფი რუსმა სამხედროებმა უპილოტო საფრენი აპარატებით მოძებნეს და შემდეგ ის რაიონი საცეცხლე საშუალებებით დაამუშავეს.

● 14 სექტემბერს საგამოძიებო კომიტეტის მთავარმა სამხედრო-საგამოძიებო სამმართველომ სამხრეთის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსზე, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ პერესლეგინზე მეორე საქმე აღძრა. არსებული ინფორმაციით, 2006-08 წლებში პერესლეგინმა კონტრაქტით მომსახურე სამხედროებს მოსკოვში ბინა გაარემონტებინა, ხოლო შემდეგ კი წელიწადნახევარი თავის აგარაკზე მეაბანოედ და მცველებად ამუშავებდა. მეორე საქმე დაკავშირებულია თავდაცვის სამინისტროში წარდგენილ დოკუმენტთან, რომლის თანახმადაც, ის მოსკოვში საცხოვრებელ ბინას ითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ჰქონდა.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● საოკუპაციო ჯარების საბატალიონო-ტაქტიკური სწავლება 6 სექტემბერს საბრძოლო სროლებით დასრულდა. სწავლების მიზანი იყო ოფიცერთა ჩვევების სრულყოფა სამთო პირობებში თავდაცვითი ბრძოლებისას ტანკების, არტილერიის, ცეცხლსატყორცნების, საინჟინრო მესანგრეთა და საჰაერო თავდაცვის საშუალებათა გამოყენების დროს. ნაგვალოუს პოლიგონზე საბრძოლო სროლა Т-90А-ით, БТР-80-ით, ნაღმსატყორცნი Сани-ითა და ცეცხლსატყორცნი Шмель-ით შესრულდა. სროლის დროს 700 სამიზნეზე 3 ათასზე მეტი ერთეული საბრძოლო მასალა გაიხარჯა. სწავლებაში 400 სამხედრო და შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის 50 ერთეული მონაწილეობდა.

● 2007 წელს, მას შემდეგ, რაც სეპარატისტულმა ხელისუფლებამ 1992-93 წლების ომის მონაწილეების საპენსიო უზრუნველყოფა გადაწყვიტა, ომის მონაწილეთა რაოდენობა ბოლო წლებში 50-60%-ით გაიზარდა და ამჟამად 27316 კაცი ამ სტატუსის მატარებელია. პენსიის ოდენობა 500-დან (16 დოლარი) 6.000-7.000 რუბლამდე (193-225 დოლარი) ადის.

● საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზის ქვედანაყოფმა ტანკსაწინააღმდეგო მართვადი კომპლექსი Штурм-С-ს სროლის საიმიტაციო კომპლექსზე ინტენსიური მომზადება გაიარა. სექტემბრის ბოლოს ქვედანაყოფი კრასნოდარის მხარის ერთ-ერთ პოლიგონზე ტაქტიკურ სპეციალურ სწავლებაზე Штурм-С-თი საბრძოლო სროლებს შეასრულებს სხვადასხვა სახის 30-ზე მეტ სამიზნეზე, რომლებიც პირობითი მოწინააღმდეგის ტანკებსა და სხვა ჯავშანტექნიკას განასახიერებენ.

● 19-21 სექტემბერს ჩატარდა სეპარატისტთა „აღმოსავლეთის“ მიმართულების სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების, სამხედრო კომისარიატების სამეთაურო-საშტაბო სამობილიზაციო სწავლება, რომელიც ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებს შეეხო.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 13 სექტემბერს ცხინვალის ერთ-ერთ სახლში ააფეთქეს იმ ბინის კარები, სადაც სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი იბრაჰიმ გასეევი ცხოვრობს. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

**თემურ ჩაჩანიძე**

მთელი ზაფხული რუსული საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზამ სწავლებებში გაატარა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უილიამ III ორანელი

**1650–1702**



## ქრონოლოგია

1650 — დაიბადა 14 ნოემბერს ჰააგაში.

1672 — გახდა სტატჰაუდერი (ნიდერლანდების გამგებელი; ჰოლანდ. — ადგილნაცვალი). ფრანგებსა და ინგლისელებს ზღვაზე შეებრძოლა.

1677 — ცოლად შეირთო მერი, ინგლისის მეფე ჯეიმზ II-ის ქალიშვილი.

1678 — დაამყარა მშვიდობა.

1686 — ჩამოაყალიბა აუგსბურგთა ანტიფრანგული ლიგა.

1688 — ბრიქსჰემში წინააღმდეგობის გარეშე ჩავიდა.

1689 — მერისთან ერთად ტახტზე ავიდა. საფრანგეთს ომი გამოუცხადა.

1690 — ბოინის ბრძოლაში გაიმარჯვა.

1692 — ხოცვა-ჟლეტა გლენ-კოში.

1702 — გარდაიცვალა 19 მარტს, ლონდონში.

## ნიდერლანდების სტატჰაუდერი

ანუ მეფისნაცვალი უილიამი თავის სამშობლოს იცავდა შემოსევების დროს. ის ინგლისის ტახტზე მიიწვიეს, ხოლო ირლანდიაში ოპოზიცია დაამარცხა ბოინის ბრძოლაში.

## მეფედ აღზრდილი

უილიამი 1650 წლის 14 ნოემბერს, მამის — უილიამ II ორანელის სიკვდილიდან რვა დღის შემდეგ დაიბადა ჰააგაში. უილიამ II ორანელი უფლისწული გახლდათ და ნიდერლანდების ხუთი გაერთიანებული პროვინციის სტატჰაუდერი იყო. დედამისი, ინგლისის მეფე ჩარლზ I-ის ასული მერი მაშინ გარდაიცვალა, როდესაც უილიამი 10 წლის იყო.

მართალია, მამამისის მოწინააღმდეგე იოჰან დე ვიტმა ტახტს ჩამოაცილა, მაგრამ მაინც მეფე-მმართველის აღზრდა მიიღო.

1672 წელს ფრანგები ნიდერლანდებში შეიჭრნენ და უილიამმა ომგამოუვლელ ჯართან ერთად იმდენი მოახერხა, რომ პოლდერები დატბორა და ფრანგთა წინსვლა შეაფერხა. ამან პანიკა გამოიწვია. იოჰან დე ვიტი მოკლეს და ხალხმა ერთხმად აღიარა უილიამი სტატჰაუდერად.

ჩარლზ II დაიმუქრა, რომ ფრანგებს დაეხმარებოდა ჰოლანდიაზე გალაშქრებაში. როდესაც მისი ფლოტი ინგლისის ნაპირებს გასცდა მესამე ინგლისურ-ჰოლანდიურ ომში ჩასაბმელად, უილიამმა ჯარი შეკრიბა და 1673 წლის სექტემბერში ნაარდენში გამაგრდა. მერე საღვთო რომის იმპერატორ ლეოპოლდ I-ის ძალებს შეუერთდა და ბონი აიღო.

ალყაში მოხვედრის შიშით ფრანგებმა გაერთიანებული პროვინციები დატოვეს. ინგლისმა მშვიდობა 1674 წელს ჩამოაგდო, საფრანგეთმა — 1678 წელს.

როგორც მერი სტიუარტის ვაჟი უილიამი რიგით მეოთხე მემკვიდრე იყო ინგლისის ტახტისა. 1677 წელს მან ჩარლზ II-ის ძმისშვილი მერი სტიუარტი შეირთო ცოლად. ჩარლზის ძმა 1685 წელს ტახტზე ჯეიმზ II-ის სახელით ავიდა. ჯეიმზი პირწავარდნილი კათოლიკე ფანატიკოსი იყო, იგი პროტესტანტ ქვეშევრდომებს ხშირად არისხებდა თავისი დიქტატურით, ამიტომ ისინი უილიამს მიმართავდნენ დახმარებისთვის. 1688 წელს ჯეიმზის ვაჟის დაბადებით კათოლიციზმის კიდევ უფრო განვრცობის საშიშროება გაჩნდა, ამიტომ უილიამს სთხოვეს საქმეში ჩარევა. უილიამმა იმავე წელს ბრიქსჰემში გადასხა ჯარი. ჯეიმზი გაიქცა, უილიამი და მერი კი მომდევნო წლის თებერვალში ტახტზე ავიდნენ.



1690 წელს მდინარე ბოინზე უილიამ III ორანელის სარდლობით პროტესტანტებმა კათოლიკეები დაამარცხეს

## ბოინის ბრძოლა

ინგლისი მოხარული იყო ტახტზე პროტესტანტი მეფის დაბრუნებისა, მაგრამ ირლანდიასა და შოტლანდიაში აზრთა სხვაობა იყო. ჯეიმზი ირლანდიაში ჩავიდა და 50000 კათოლიკე დარაზმა. პროტესტანტები გაიქცნენ და ჯეიმზმა ლონდონდერს ალყა შემოარტყა. როდესაც ამაოდ დაშვრა, დუბლინისკენ გასწია, სადაც კათოლიკური პარლამენტი შექმნა და პროტესტანტები გაძარცვა. უილიამი 1690 წელს ირლანდიაში ჩავიდა და უკვე პირველ ივლისს ბოინის ბრძოლაში ჯეიმზი დაამარცხა. ჯეიმზმა ისევ გაქცევით უშველა თავს, თუმცა მისმა მომხრეებმა მომდევნო წელსაც გააჩაღეს ბრძოლა.

შეიარაღებული წინააღმდეგობა შოტლანდიაში მარცხით დამთავრდა და რაკი მაკდონალდების გვარმა უილიამისთვის ერთგულების ფიცის დადება დააგვიანა, ისინი გლენ-კოში ამოწყვიტეს.

უილიამი კონტინენტს დაუბრუნდა, მაგრამ ბრიტანელებს ომის წადილი აღარ გამოუმჟღავნებიათ. მერი 1694 წელს ყვავილით გარდაიცვალა, უილიამი კი 1702 წელს რიჩმონდ-პარკში ცხენიდან გადმოვარდა, როდესაც პირუტყვი თხუნელას სოროზე წაბორძიკდა, და სასიკვდილოდ დაშავდა. იაკობინელთა ტრადიციული სადღეგრძელოა „გაუმარჯოს პატარა შავჟილეტიან ჯენტლმენს — თხუნელას".




## დიადი რევოლუცია

- 1688 წლის 3 ნოემბერს უილიამი დოვერს 600 ხომალდით მიადგა, რომელთა დროშებზეც შემდეგი დევიზი იყო: „მე პროტესტანტიზმსა და ინგლისის თავისუფლებას დავიცავ". 5 ნოემბერს უკვე ბრიქსჰემში იყო, დევონსა და ექსეტერში ოთხი დღის შემდეგ შევიდა. ჯეიმზის ჯარი სალისბერიში იდგა. უილიამის შეტევა და ჯეიმზის უკან დახევა ერთი იყო, ამ უკანასკნელმა მოლაპარაკება ითხოვა. როდესაც მისი პირობები არ დაკმაყოფილდა, ჯეიმზმა გაქცევა ამჯობინა. უილიამმა 1689 წლის იანვარში თავისუფალი არჩევნები ჩაატარა. ახალმა პარლამენტმა უფლებათა დეკლარაცია შეიმუშავა და უკვე 13 თებერვალს უილიამსა და მერის გვირგვინის დადგმა სთხოვა. რაკი ჯეიმზის გაძევება და უილიამის ტახტზე ასვლა მეტად მცირე სისხლის ღვრით მოხდა, ამ მოვლენას დიადი რევოლუცია უწოდეს.
- ირლანდიაში, კარიქფერგუსში ჩასული უილიამი 1690 წლის 14 ივნისს სამხრეთით გაეშურა იაკობინელთა არმიის დასაქირავებლად. 30 ივნისისთვის მან მდინარე ბოინის თავზე ოლბრიჯის მთას მიაღწია, საიდანაც ფონის მონახვა იოლად შეიძლებოდა. ადგილი, რომელიც უილიამმა აირჩია, მოკლე და გადამწყვეტი ბრძოლისთვის იყო შესაფერისი. ჯეიმზს 30000-იანი ჯარი ახლდა ფრანგული ქვეითებისა და ირლანდიური კავალერიის ჩათვლით, უილიამს კი სხვადასხვა ეროვნების 36000 მებრძოლი ჰყავდა. ირლანდიელი სნაიპერის ნასროლმა უილიამს მხარი გაუკაწრა. მხარეები 1-ლი ივლისის დილის ოთხზე დაიძრნენ. უილიამის მარჯვენა ფლანგმა მდინარე გადალახა და რამდენიმე მილზე გაფანტულ ირლანდიელთა მარცხენა ფლანგს ეკვეთა. ამის შემხედვარე ფრანგები პირდაპირ ეკვეთნენ უილიამის ჯარებს ისე, რომ ოლბრიჯის ფონი გამოუცდელი ირლანდიური ქვეითი ჯარის ხელში დატოვეს. როგორც კი ხელჩართული ბრძოლა დაიწყო, ისინი იოლად დამარცხდნენ. უილიამი გაგანია ბრძოლაში თავის ჯარს ამხნევებდა, ჯეიმზს კი გაქცევაზე ეჭირა თვალი. ალყაში მოქცევის შიშმა ჯეიმზს ბრძოლის ველიც დაატოვებინა და ქვეყანაც. მისმა ჯარმა კი მეორე დღემდე განაგრძო ბრძოლა. ბოინის ბრძოლას ჩრდილოეთ ირლანდიაში პროტესტანტები დღესაც აღნიშნავენ.

**მოამზადა**
**ლევან ინასარიძემ**




# აღმოსავლეთი თურქესტანი

## ჩინეთის უმნიშვნელოვანესი პრობლემა




ალმოსავლეთი თურქესტანი აზიის რუკაზე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სინძიანის უიღურთა ავტონომიური რაიონი, ანუ აღმოსავლეთ თურქესტანი, ერთ-ერთი პრობლემური რეგიონია. ექსპერტთა აზრით, სეპარატიზმი იქ უფრო სახიფათოა ჩინეთისთვის, ვიდრე ტიბეტში, რადგანაც აღმოსავლეთ თურქესტანში მცხოვრები უიღურები თურქული მოდგმის სუნიტი მუსლიმანები არიან და ცხოვრების წესითაც ჩინელებისაგან რადიკალურად განსხვავდებიან.

აღმოსავლეთ თურქესტანში ჩინელთა ექსპანსია XVII საუკუნიდან დაიწყო. იმ დროს ცინის მანჯურიულმა დინასტიამ კონტროლი დაამყარა არა მარტო მანჯურიის (მანჯოუ-გუო, დღევანდელი ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ანუ დუნბეი) და ეთნიკური ჩინელების (ხანიუ) მიწებზე, არამედ იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც XIII საუკუნეში იუანის მონღოლური დინასტიის ხელთ იყო. ასე აღმოჩნდა იმჟამინდელი ჩინეთის იმპერიის ფარგლებში დღევანდელი მონღოლეთი, ტუვა, ალთაი, მდ. ამურის სანაპიროები და აღმოსავლეთ თურქესტანი. ამ უკანასკნელს ჩინელებმა „სინძიანი“, ანუ „ახალი საზღვარი“ უწოდეს. მიუხედავად ამისა, უიღურები არასოდეს შერიგებიან ჩინელთა დამკვიდრებას მათ მიწებზე და 300 წლის განმავლობაში

250-ჯერ აჯანყდნენ. 1943-49 წლებში კი საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს, თუმცაღა მერე მაო ძედუნმა უიღურები ჩინელი მუსლიმანების (ხუეი ძუ) დახმარებით დაამარცხა და მათი მიწები სტალინის უსიტყვო დასტურით კომუნისტური ჩინეთის ნაწილად აქცია.


ჩინელ მუსლიმანთა მეჩეთი „სიან ციჯენ დასი“

## ისლამი და მისი მიმდევრები ჩინეთში

ჩინეთში ისლამმა VII საუკუნეში, ტანის დინასტიის (618-907 წწ.) დროს შუა აზიიდან ხმელეთით დიდი აბრეშუმის გზითა და არაბეთიდან ინდოეთ-ინდონეზიის გავლით ზღვით შეაღწია. 742 წელს იმპერატორმა სიუანძუნმა შენსის პროვინციის ქალაქ სიანში პირველი მეჩეთი ააგებინა, რომელსაც ამჟამად „სიან ციჯენ დასი“, ანუ „სიანის უბრწყინვალესი მეჩეთი“ ეწოდება. ჩინელ მუსლიმანთა პირველი შეიხი წარმოშობით ტაჯიკი სეიდ აჯალ მუჰამედი იყო.

ტანის დინასტიის ხანიდანვე მოდის ჩინელ მუსლიმანთა სახელიც — „ხუეი ძუ“, ანუ „ღვთის მორჩილი ხალხი“, რომელიც დღეს ეთნიკური დასახელებაც არის: ჩინურენოვანი მუსლიმანები ცალკე ერად ითვლებიან.

ჩინეთის ისტორიაში ჩინურენოვან მუსლიმანთა წვლილი დიდია — ისინი ჩინეთსა და აღმოსავლურ სამყაროს შორის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლის მოვალეობას ასრულებდნენ. ასევე, მუსლიმანთა სახელს უკავშირდება ჩინეთში მრავალი სიახლის (მაგალითად, პურის ცხობის) დანერგვა, ხოლო ცნობილი ჩინელი ზღვაოსნები ჯენ ხე და მა ფანი მუსლიმანები იყვნენ.

მაო ძედუნის შექმნილ კომუნისტურ არმიაში საუკეთესო და მამაცი მხედართმთავრები — მა ხუნ ქუი, მა ჯენ ინი, მა ლინი მუსლიმანები იყვნენ. იმავე არმიაში მუსლიმანთა მთელი ბატალიონები იყო ჩამოყალიბებული.


ჩინელი მუსლიმანები

ძველი დროის მსგავსად, ახლაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ბევრი საპასუხისმგებლო პოსტი ჩინურენოვან მუსლიმანებს უკავიათ. ჩინურენოვანი მუსლიმანები ჰანაფიტური მაზჰაბის მიმდევარი სუნიტები არიან და მათში გაბატონებულია ორი სუფიური სექტა: ალ-კუფია და აჯ-ჯაჰრია. როგორც აღინიშნა, ისინი ცალკე ერად ითვლებიან და მათი რაოდენობა დღეისათვის დიდად აჭარბებს 100 მილიონ კაცს.

მუსლიმანებს აქვთ თავიანთი ავტონომიური რაიონიც — ნინსია-ხუეი, თუმ-



უიღურების მეჩეთი

სახელწოდებაში ჩინურენოვან მუსლიმან დუნგანთა ეთნიკური ჯგუფიც იგულისხმება. ესენი ჰანბალიტური მაზჰაბის სუნიტები არიან, უარყოფენ სუფიზმს და ამიტომ სხვა ჩინურენოვანი მუსლიმანებისაგან განცალკევებით, უიღურებსა და ყაზახებთან ერთად ცხოვრობენ. ჩინური სიტყვა „თუნ ქენ“ სწორედ „განცალკევებულად მცხოვრებს“ ნიშნავს და აქედანვე მოდის ამ ხალხის უცხოურ ენებში დამკვიდრებული სახელი „დუნგანები“.

XIX საუკუნის 60-იან წლებში დუნგანები უიღურებთან ერთად რამდენიმე ანტიცინურ აჯანყებაშიც კი მონაწილეობდნენ, რომელთა ჩახშობის შემდეგაც ამ ხალხის ნაწილმა ჩინეთი დატოვა და თავი იმჟამინდელ რუსეთის იმპერიას შეაფარა. გამოქცეულთა შთამომავლები დღეს ყაზახეთსა და უზბეკეთში ცხოვრობენ. ამდენად, ისლამურ ფუნდამენტალიზმს დასაყრდენი უპირველესად სწორედ ამ, არაჩინური მოდგმის მუსლიმანთა შორის აქვს. არაჩინელ მუსლიმანებში კი ყველაზე მეტნი უიღურები არიან, მათი რაოდენობა 7 მილიონზე მეტია.

## უიღურული საკითხი თანამედროვე ჩინეთში

უიღურების ეროვნული თვითაღქმის მნიშვნელოვანი კომპონენტია ჰანბალიტური მაზჰაბის სუნიტური ისლამი, რომელიც მათთან არაბეთის ნახევარკუნძულიდან მოხვდა. ამასთან, თუკი ჩინურენოვან მუსლიმანთა კულტურა ჩინურს უფრო უახლოვდება, ვიდრე აღმოსავლურ-მუსლიმანურს, უიღურები ამ მხრივ ძალზე ორიენტალიზებული არიან. ამას ემატება ისიც, რომ ეს ხალხი ჩინელთაგან რასობრივადაც განცალა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი რაიონის საზღვრებს გარეთაც ცხოვრობს.

მუსლიმანები დამწერლობაში ჩინურ იეროგლიფებსაც (ხან ძი) იყენებენ და არაბულ ანბანსაც (სიაო ერ ძინ), აქვთ თავიანთი სკოლები, უნივერსიტეტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ჩინურენოვანი მუსლიმანების გარდა, ჩინეთში ცხოვრობენ არაჩინური მოდგმის მუსლიმანებიც: დუნსიანები და სალარები — შიდა მონღოლეთში, უცულები — კუნძულ ხაინანზე, გაოშანები — კუნძულ ტაივანზე და უიღურები (ყაზახებსა და უზბეკებთან ერთად) — სინძიანის უიღურთა ავტონომიურ რაიონში. სხვათა შორის, მათ სხვაგვარად უწოდებენ: „ისილან ძუს“ და არა „ხუეი ძუს“, როგორც ჩინურენოვანებს.

ამ მუსლიმან ხალხებს უფრო ნაკლები უფლებები აქვთ; უფლებათა შეზღუდვა გამოიხატება იმაში, რომ მეჩეთთა იმამებს ოფიციალური პეკინის თანხმობის გარეშე ვერ ირჩევენ, ასევე იმაშიც, რომ პეკინი მათ ასიმილირებას რელიგიის სფეროშიც ცდილობს: სუფიურ სექტებს ახალისებს, ორთოდოქსულ ისლამს კრძალავს.

საინტერესოა, რომ „ისილან ძუს“



ეროვნული ბიბლიოთეკა



უიღური ხელოსანი

სხვავდება: ისინი ევროპეიდები არიან და არა მონღოლოიდები.

დღეს სინძიანის უიღურთა ავტონომიურ რაიონში უიღურთა ხვედრითი წილი 21-მილიონიან მოსახლეობაში 45%-ია, როცა 1949 წელს რეგიონის 10 მილიონი მოსახლიდან 75% უიღური იყო.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ოფიციალური პეკინი ამ რეგიონში „დემოგრაფიული ექსპანსიის“ პოლიტიკას ატარებს, ახალისებს ჩინური წარმოშობის იმ პირებს, ვინც სინძიანში ნებაყოფლობით გადასახლდება. წახალისება გამოიხატება იმაში, რომ სინძიანში არ მოქმედებს ცნობილი პრინციპი: „ერთი ოჯახი — ერთი შვილი“; იქ ოჯახს (სულერთია, ჩინური იქნება თუ უიღურული) სამი შვილის ყოლის უფლება აქვს.

ამასთან, ყოველწლიურად სინძიანში ასობით ჩინური ოჯახი სახლდება და უიღურები ამ პროცესს ხელს ვერ უშლიან: ჩინეთში ნაციონალისტური ხასიათის პროპაგანდა დასჯადია და ესეც რომ არ იყოს, უიღურებს ჩინელებივით სწრაფად მზარდი გენოფონდი არ გააჩნიათ. ამიტომაცაა, რომ ამჟამინდელი უიღურული ეროვნული მოძრაობა უპირატესად ისლამური სამყაროს მხარდაჭერის იმედზეა და ასე ცდილობს ჩინეთზე ზეწოლას. აღმოსავლეთ თურქესტანში „ალ-ქაიდას“ ფილიალიც არსებობს, თანაც უდიდესი გავლენით სარგებლობს უიღურთა შორის, რამდენადაც რადიკალურ ისლამში ეს ხალხი ეთნიკური თვითგადარჩენის ერთადერთ გზას ხედავს.

სანამ ბინ ლადენი ცოცხალი იყო, აღმოსავლეთ თურქესტანს მისი ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევდა, რადგან 10 მილიონი უიღურის მხარდაჭერა სახუმარო საქმე არ იყო. ამასთან, სინძიანი ავღანეთს ესაზღვრება და მისი დიდი ნაწილი უდაბნოა, სადაც შესაძლებელი იყო სამალავების მოწყობა.

ამერიკელებმა ბინ ლადენს ამ გეგმის ხორცშესხმა აღარ დააცალეს, მაგრამ „ალ-ქაიდა“ მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს უიღურებში.

2007-09 წლებში, სინძიანის უიღურთა ავტონომიური რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრ ურუმჩიში, კულჯასა და სხვა დიდ ქალაქებში ადგილობრივ ისლამისტებსა და ჩინურ პოლიციას შორის რამდენჯერმე მოხდა დიდი შეტაკება, რომელთაგან ყველაზე მწვავე 2009 წლის 5-7 ივლისის მოვლენებია. მაშინ 129 კაცი დაიღუპა და 1600-ზე მეტი დაიჭრა. ჩინელმა ძალოვნებმა 600-ზე მეტი კაცი დააკავეს, ხოლო ერთ ამდენზე კიდევ ძებნა გამოცხადდა.

ოფიციალური პეკინი უიღურული საკითხის ეფექტური გადაწყვეტისთვის, დემოგრაფიული ექსპანსიის გარდა, ჩინურენოვან მუსლიმანებსაც იყენებს. სინძიანის უიღურთა ავტონომიური რაიონის იმ მაზრებში, სადაც უიღურები უმრავლესობას შეადგენენ და ბუდისტი ან ათეისტი ჩინელების ჩამოსახლებაზეც მწვავედ რეაგირებენ, უპირატესად ჩინურენოვან მუსლიმანებს ასახლებენ. ამას კი თავისი შედეგი მოაქვს: მაგალითად, კულჯაში, სადაც 1950 წლამდე 90% უიღურები იყვნენ, დღეს 50%-ს ჩინურენოვანი მუსლიმანები შეადგენენ. ქალაქი მუსლიმანურია, მაგრამ სანახევროდ — ჩინური.

ჩინურენოვანი მუსლიმანების ფაქტორი სინძიანის უიღურთა ავტონომიური რაიონის მსგავს არაჩინურ და მუსლიმურ რეგიონთა დასამორჩილებლად იმდენად ეფექტურია, რომ ოფიციალური პეკინი არც აპირებს გადახედოს მაოს მთავარ პრინციპს „ხუეი ჟუ ი!“, რაც ქართულად ასე ჟღერს: „მუსლიმანები ჩვენკენ არიან!“ მაომ ეს ფრაზა 1950 წელს სტალინსაც კი უთხრა, დიდმა ბელადმა რეაგირებაც ვერ მოასწრო, რომ ბერიას ეშმაკურად ჩაეცინა, რადგანაც ეგონა, მაომ რუსულად მხოლოდ უწმაწური სიტყვები იცისო.

## აღმოსავლეთი თურქესტანი და ისლამური სამყარო

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ისლამური სამყაროს ბევრ ქვეყანაში უიღურთა მრავალრიცხოვანი დიასპორა არსებობს. განსაკუთრებით კი საუდის არაბეთში, ყაზახეთში, უზბეკეთში, ავღანეთსა და თურქეთში, ასევე არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. დაუზუსტებელი მონაცემებით, ამ ქვეყნებში უიღურ ემიგრანტთა რაოდენობა 1 მილიონ კაცს აჭარბებს.

დღეს სინძიან-უიღურის საზღვრებს გარეთ ყველაზე მრავალრიცხოვანი უიღურული დიასპორა საუდის არაბეთსა და თურქეთშია. შესაბამისად, უიღურული ემიგრანტული მოძრაობა 2 ძირითად ნაკადად იყოფა — „ზომიერი ნაკადის“ ცენტრი თურქეთშია, „რადიკალურისა“ — საუდის არაბეთში.

უიღურული დიასპორა მრავალრიცხოვანია ასევე შუა აზიაშიც — აქ უწინ ისინი საბჭოთა ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდნენ, დღეს კი, რაღა თქმა უნდა, კა-გე-ბეს ფუნქციები ეფ-ეს-ბემ შეითვისა. ამას გარდა, ჩინელებს ეჭვი აქვთ, რომ ყაზახეთისა და უზბეკეთის მკვიდრ უიღურ ემიგრანტებთან ამერიკელებიც თანამშრომლობენ.

ავღანეთის უიღურებს რაც შეეხება: ეს ხალხი იქ „თალიბების“ დიდი მხარდამჭერი იყო და არის კიდეც. ამერიკული მასმედია 2010 წელს იმასაც წერდა, რომ თალიბთა საიდუმლო ბანაკები სინძიანის უიღურთა ავტონომიური რაიონის უდაბნოებში იყო, რაც ამერიკელთა მოწინააღმდეგეებისათვის ძალზე ხელსაყრელი იყო, რადგანაც ჩინეთის ტერიტორიამდე მოკავშირეთა ძალა ვერ სწვდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ჩინეთისთვის უიღურებს მართლაც დიდი პრობლემების შექმნა ძალუძთ და სეპარატიზმიც სინძიანის უიღურთა ავტონომიურ რაიონში უფრო სახიფათოა, ვიდრე ტიბეტში.

**მიხეილ ლაბაძე**

არსენალი

# Archer FH 77

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჟანა დ'არკი

**67** ფრანგი ჟანა დ'არკი (1412-1431) იმ დროს ცხოვრობდა, როდესაც საფრანგეთის უდიდეს ნაწილს ინგლისი აკონტროლებდა. გადმოცემით, 13 წლის ჟანას მთავარანგელოზი მიქაელი და საფრანგეთის მფარველი წმინდანები მოევლინენ და კაცად გადაცმა და საფრანგეთიდან ინგლისელების გასაძევებელი ბრძოლის წინამძღოლობა უბრძანეს.




▲ საფრანგეთი, ნაჩვენებია ინგლისის კონტროლირებადი ტერიტორია.



▼ ჟანა დ'არკის ცნობა ბრძოლის ველზე იოლი იყო, რადგან თეთრი აბჯარი ეცვა.

**68** ჟანა ინგლისსა და საფრანგეთს შორის ასწლიანი ომის პერიოდში (დაიწყო 1337 წ.-ს) ცხოვრობდა. ომის მიზეზი ინგლისის მეფე ედუარდ III-ის საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობაზე პრეტენზია იყო. ჟანა საფრანგეთის დოფინს (ტახტის მემკვიდრეს), მომავალ მეფე კარლ VII-ს ეახლა და თავისი გამოცხადების შესახებ უამბო.

**69** ჟანამ დოფინის ნდობა მოიპოვა და ქალაქ ორლეანის გასათავისუფლებლად ჯარი ჩააბარეს. ალყაშემორტყმულ ქალაქს ფრანგების ჯარი 1429 წელს მიადგა. ჟანას რაინდის სამოსი ეცვა და ხელში დროშა ეჭირა. ერთ კვირაში ინგლისელებმა უკან დაიხიეს. მას შემდეგ ჟანა დ'არკს „ორლეანელი ქალწული" ეწოდა.



**70** შემდეგი 12 თვე ჟანა ფრანგების ჯარს სარდლობდა ინგლისელებთან ბრძოლაში. მან არაერთი ფრანგული ტერიტორია დაუბრუნა საფრანგეთს. 1430 წლის მაისში ჟანა ბურგუნდიის ჰერცოგმა (ფრანგი დიდებული, რომლებიც ინგლისელების მხარეს იყო) ჩაიგდო ხელში. ტყვე ჟანა ინგლისელებს გადასცეს.

▶ წმინდა ჟანა დ'არკი რომის კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი პოპულარული წმინდანია.

**71** ინგლისელებმა ჟანა გაასამართლეს. მას ბრალად დასდეს ჯადოქრობა და ერეტიკოსობა (ადამიანი, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის სწავლებას ეწინააღმდეგება), დამნაშავედ ცნეს და სიკვდილი მიუსაჯეს. 1431 წლის მაისში ჟანა კოცონზე დაწვეს საფრანგეთის ქალაქ რუანში. სიკვდილიდან 25 წლის შემდეგ ორლეანელი ქალწული უდანაშაულოდ ცნეს, 1920 წელს კი რომის პაპმა წმინდანად აღიარა.

**დაუჯერებელია!**

დანახშირებული ნაწილები, რომლებიც ჟანა დ'არკის ძვლებად მიაჩნდათ, 2006 წელს გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ ეგვიპტური მუმიის ნაშთი იყო.

# მონტესუმა



▲ მონტესუმა აცტეკებს ღმერთად მიაჩნდათ.

**72** აცტეკები დღევანდელი მექსიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ისინი მრისხანე მეომრები იყვნენ, — თანდათან ყველა მოქიშპე ტომი დაიმორჩილეს და რეგიონში დიდი გავლენა მოიპოვეს. აცტეკთა ბოლო იმპერატორი მონტესუმა II (1480-1520) აცტეკების მმართველი 1502 წელს გახდა. ქვეშევრდომებს ძლიერი და შეუბრალებელი ბელადისა ეშინოდათ და აღმერთებდნენ.

**73** აცტეკები მეომარი ხალხი იყო. ყველა ჯანმრთელ მამაკაცს მონტესუმას არმიაში უნდა ებრძოლა. მათ ბავშვობაშივე ასწავლიდნენ იარაღის გამოყენებას და 15 წლის ასაკში საომრად უშვებდნენ. იმპერატორისთვის ბრძოლა პატივად ითვლებოდა. მეომრებს, რომლებიც თავს ისახელებდნენ, მიწითა და მონებით აჯილდოებდნენ.

## კითხვები

1. რომელი ქვეყნიდან იყვნენ აცტეკები წარმოშობით?
2. რა არის ობსიდიანი?
3. რომელ წელს გადასხდნენ ესპანელები მექსიკის სანაპიროზე?

პასუხები: 1. მექსიკა; 2. ვულკანური ქვა; 3. 1519.



# მეომრები

**74** ყველაზე დაუნდობელი მეომარი-არწივები და მეომარი-იაგუარები იყვნენ. მეომარ-არწივებს ბუმბულისგან გაკეთებული ტანსაცმელი ეცვათ, ხოლო მეომარი-იაგუარები ოცელოტის ტყავს იხვევდნენ. ისინი რეგულარული ჯარის მეომრები იყვნენ, სხვა ჯარისკაცები ომის დასრულების შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ.



► მეომრისთვის დიდი პატივი იყო სამსხვერპლო ტყვების ხელში ჩაგდება. რაც მეტ ტყვეს ჩაიგდებდა ხელთ, მით სახელოვანი გახდებოდა.

**75** აცტეკები იბრძოდნენ შურდულებით, მშვილდებითა და შუბებით, რომლებსაც შუბოსნები ისროდნენ. ყველაზე საშიში იარაღი კიდევებდაკბილული ბასრი ობსიდიანის (მინისებრი ვულკანური ქვა) ხმალი იყო. ობსიდიანის ხმლით მტერს ერთი მოქნევით ასხეპდნენ თავს.



► აცტეკები სჭარბობდნენ ესპანელებს, სამაგიეროდ, მათ უკეთესი იარაღი ჰქონდათ.

**76** 1519 წელს მექსიკის სანაპიროებს ესპანელთა არმია მიადგა. ესპანელები აქ ოქროს საძიებლად ჩამოვიდნენ. როდესაც ეს მონტესუმამ შეიტყო, იფიქრა, ღმერთები გვეწვივნენო და ძვირფასი საჩუქრები მიართვა. აცტეკთა დედაქალაქში ესპანელებს ზარ-ზეიმით შეხვდნენ. მაგრამ მონტესუმა მალე მიხვდა, რომ მწარედ მოტყუვდა. აცტეკებსა და მომხდურებს შორის ბრძოლა 1523 წლის მაისში დაიწყო. მონტესუმა მოკლეს, ხოლო აცტეკთა ქალაქი დაარბიეს.

## გასაღები

1. ბუმბულისსამოსიანი მეომარი-არწივი
2. ხმალი და ბუმბულით მორთული ფარი
3. ობსიდიანის ხმალი
4. მეომარი-იაგუარი
5. ობსიდიანისწვერიანი შუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კატარღები 1992-93 წლების აფხაზეთის ომში



სოხუმის სატვირთო პორტი და დივიზიონის შტაბის შენობა



## სასეირნო კატარღები

1992 წლის აგვისტოში აფხაზებმა სოხუმიდან გემები გაიყვანეს, მაგრამ დაბალი სიჩქარისა და სუსტი მანევრულობის გამო ამ მცურავი საშუალებების საბრძოლო დანიშნულებით გამოყენებას პერსპექტივა არ ჰქონდა.

ბევრად საინტერესო იყო მაღალსიჩქარიანი სასეირნო კატარღები, თუმცა, მათ წყალწყვა, საზღვაოსნო თვისებები, ცურვის სიშორე და საწვავის მარაგი შეზღუდული ჰქონდათ, მაგრამ სამოქმედო რაიონიც დიდი არ იყო და სიგრძეში დაახლოებით 30-50 მილს, სიგანეში კი 10 მილს არ აღემატებოდა.

სასეირნო კატარღები სხვადასხვა ორგანიზაციის კუთვნილება იყო და სამაშველო დანიშნულებას ან დამსვენებელთა ზღვაზე გასეირნებას ემსახურებოდა. გარდა ამისა, რამდენიმე კატარღა რიწის ტბაზეც დაცურავდა.

საბრძოლო დანიშნულებისთვის აფხაზებმა მობილიზაცია გაუკეთეს სანქტ-პეტერბურგში ჟდანოვის სახელობის გემსაშენი ქარხნის „ნევკა-2“-ს (პროექტი 1432), ბათუმის გემსაშენი ქარხნის „ვოლგისა“ (პროექტი 343ME) და ქალაქ სოსნოვსკის გემსაშენი ქარხანა „ჩიბისის“ (პრ:ოექტი 14100) ტიპის კატარღებს.

წყალქვეშა ფრთებით მოცურავე „ვოლგა“ და „ნევკა-2“ მაღალ სიჩქარეს ავითარებდნენ, მაგრამ ბათუმური კატარღა ალუმინის კორპუსის ხარჯზე გამძლეობით პლასტმასის კორპუსიან „ნევკა-2“-ს ბევრად სჯობდა.

მოგვიანებით აფხაზებმა რუსი მესაზღვრეებისგან „სტრიჟის“ (პროექტი 13901, აგებდა ბათუმის გემსაშენი ქარხანა) ტიპის კატარღებიც მიიღეს.

## დანიშნულება და შეიარაღება

აფხაზური კატარღების წინაშე შემდეგი ამოცანები დადგა: სანაპირო ზოლის საცეცხლე დამუშავება, სადესანტო პატარა ჯგუფების გადასხმა ან დესანტირების იმიტირება, სამოქალაქო გემების დაკავება, საძიებო-სამაშველო ოპერაციები და სხვ.

დამუშავდა შეიარაღების სქემა და პრაქტიკულად ყველა კატარღა 7,62 მმ-იანი ПКТ-ს ან РП-ს ტიპის ტყვიამფრქვევითა და РПГ-7 ტიპის ყუმბარსატყორცნებით აღიჭურვა.

ზოგიერთ კატარღას უმართავი რაკეტების გამშვები დანადგარი დაემატა. მაგალითად, „ვოლგებზე“ თვითნაკეთი გამშვები 1 მილი ან 7-მილიანი დოლი, ხოლო „ნევკებზე“ 20-რაკეტიანი საავიაციო კონტეინერი დააყენეს.

საინტერესო რამ მოხდა 1992 წლის 8 დეკემბერს გაგრის მახლობლად, როცა რუსმა საზღვაო მესაზღვრეებმა ჰაერში გასროლებით აფხაზური „ნევკა“ დააკავეს. კატარღაზე აღმოჩნდა კონტეინერი НУРС-ის ტიპის 20 რაკეტით, ხელით გადასატანი 2 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, РПГ-7 ტიპის ყუმბარსატყორცნი 12 გასროლით, 7,62 მმ-იანი РП-ს ტიპის ტყვიამფრქვევი, 4 ავტომატი АКМ, ვაზნები, ბინოკლი და რადიოსადგური.

სრული სქემით შეიარაღებულ „ნევკას“ კატარღასთან ან პატარა სამხედრო ხომალდთან შებრძოლება, საჰაერო იერიშის მოგერიება და სახმელეთო სამიზნეებზე მოქმედება თავისუფლად შეეძლო, ხოლო პატარა ზომების გამო კი მისი ზღვაში პოვნა-განადგურება საკმაოდ რთული იქნებოდა.

აფხაზებმა სამოქალაქო ორგანიზაციებიდან წამოყვანილ კატარღებს თეთრი ფერი შეუნარჩუნეს, ხოლო რუსული სასაზღვრო კატარღები კი ტრადიციულ თეთრ-მწვანე დარჩა.

## გაგრაზე შეტევა

ახალგამომცხვარმა აფხაზურმა ფლოტმა ძალის დემონსტრირება 1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრაზე შეტევისას დაიწყო, როცა ოპერაციის დასკვნით ეტაპზე ფოთის პორტის „კომეტა-50“, 3 „ნევკისა“ და 1 „ვოლგის“ ტიპის კატარღა გამოიყენა.

ხუთივე კატარღაზე დაახლოებით 40 კაცი იყო, მათ შორის ყაბარდოელი იბრაჰიმ იაგანოვის 20-კაციანი სადესანტო რაზმი.

5 ოქტომბერს დილის 8 სთ-ზე კატარღებიდან გაგრასა და განთიადს შორის დაბა ხოლოდნაია რეჩკასთან იბრაჰიმ იაგანოვის რაზმი გადაისხა. დესანტის ამოცანა გაგრისგან განთიადის მოწყვეტა იყო, სადაც იმ დროს ქართული ფორმირებები ისევ იყვნენ.

რამდენად დაეხმარა დესანტი სეპარატისტთა ძალებს გაგრის აღებაში, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ მოწინააღმდეგე ზღვაზე თავისი შეზღუდული შესაძლებლოებების მაქსიმალურად გამოყენებას შეეცადა.

## კატარღა-რეიდერები

აფხაზეთის ომის საზღვაო მოქმედებებში აფხაზთა სწრაფსვლიანი კატარღების ქართულ სამოქალაქო გემებზე თავდასხმამ დიდი ადგილი დაიკავა.

საზღვაო ყაჩაღობის პირველი მსხვერპლი 1992 წლის 5 სექტემბერს

სეინერი „ილორი“ გახდა, როცა სოხუმიდან სოჭში მშვიდობიანი მოსახლეობა გადაჰყავდა და ბიჭვინთის მახლობლად აფხაზურმა კატარღებმა ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს;

1992 წლის 15 სექტემბერს სოჭისკენ მიმავალი სოხუმის პორტის თბომავალი „ვლადიმერ ფაჩულია“ 150 მგზავრით გუდაუთასთან ორმა აფხაზურმა კატარღამ დააკავა. გემი გუდაუთაში შეიყვანეს, და მგზავრების მძევლებად აყვანაც დააპირეს, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა;

1992 წლის 29 ოქტომბერს სოხუმიდან სოჭისკენ მიმავალ ქართულ სეინერს ყუმბარსატყორცნითა და ტყვიამფრქვევებით ცეცხლი გაუხსნეს. ბორტზე მყოფებიდან 1 კაცი დაიღუპა, 20 დაიჭრა, დაჭრილთა შორის 2 ბავშვი იყო. სეინერი სოხუმში დაბრუნდა;

1992 წლის 27 ნოემბერს ბათუმის კოლმეურნეობა „გურიის“ კუთვნილი სეინერი „პალიასტომი“ ბიჭვინთასთან დააკავეს;

1992 წლის 5 დეკემბერს სოჭის მახლობლად „ნევკამ“ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მშრალტვირთმზიდ „სოვეტსკი ხუდოჟნიკს“ შეუტია;

1992 წლის 8 დეკემბერს სეპარატისტთა „ნევკა“ სოჭის პორტის „კომეტა 45“-ის დაკავებას შეეცადა, მაგრამ დახმარების სიგნალი დროულად გადასცა და რუსმა საზღვაო მესაზღვრეებმა მისი აყვანა შეძლეს;

1992 წლის 15 დეკემბერს ბიჭვინთის ტრავერსზე თავს დაესხნენ სოჭიდან ფოთისკენ მიმავალ სეინერ „გრიგოლეთს“ და სეინერი სოჭში დაბრუნდა;

1993 წლის 24 აპრილს სოხუმიდან გამოსული საზღვაო თვითმავალი ბარჟა МБС-24 აფხაზებმა დააკავეს და გუდაუთაში შეიყვანეს;

ამ არასრული ჩამონათვალითაც კარგად ჩანს საზღვაო მეკობრეობის მასშტაბი და დაუსჯელობის სინდრომი, რასაც რუსი საზღვაო მესაზღვრეებიც ხელს უწყობდნენ. აფხაზთა თავხედობაზე ისინი რეაგირებას დაგვიანებით ან არ ახდენდნენ, ხოლო „კომეტა 45“-ზე თავდასხმისთვის დაკავებული „ნევკის“ ეკიპაჟი სოჭში მიყვანის შემდეგ გაათავისუფლეს და იარაღიც უკან დაუბრუნეს.

## სოხუმის დივიზიონი

1992 წელს საქართველოს ფლოტი ზღვაზე მოწინააღმდეგის აქტიურობის შესაჩერებელ საშუალებებს არ ფლობდა და თანაც ზოგიერთი „სამხედრო მოღვაწე“ ომში ზღვის როლს ვერ ხედავდა. და მაინც, წლის ბოლოს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გაკეთდა და მე-2 საარმიო კორპუსის შემადგენლობაში სანაპირო დაცვის I საზღვაო დივიზიონის ჩამოყალიბება გადაწყდა.

**უფროსი ლეიტენანტი დავით გარგანჯია**: „ლაპარაკი საზღვაო დივიზიონის ფორმირებაზე 1992 წლის დეკემბრის ბოლოს დაიწყო და ბაზირების ადგილის შესარჩევად უფროსმა ლეიტენანტმა სოსო დევდარიანმა (მე-2 საარმიო კორპუსის მოადგილე — საზღვაო განყოფილების უფროსი) მომმართა.

შესაფერისი ადგილი სოხუმის სატვირთო პორტში მოვძებნეთ, სადაც იმ დროს სატვირთო რაიონთან ერთად „საქნაპირგამაგრება“ და იახტკლუბი იყო განთავსებული. თანაც, 10 ტ ტვირთამწეობის ორი კოშკურა ამწე სარემონტოდ კატარღების ნაპირზე ამოწევისთვის დიდი შეღავათი იყო.

იმავდროულად, დავიწყეთ სხვადასხვა ორგანიზაციიდან თუ პანსიონატიდან სასეირნო კატარღების მიღება. „საქნაპირგამაგრებიდან“ — „სტრიჟი“, სოხუმის პორტიდან — ორი „ვოლგა“ და „ნევკა“, ეშერაში რუსული სამხედრო პანსიონატიდან — „ვოლგა“, სამაშველო სადგურიდან „ჩიბისი“ წამოვიყვანეთ და ა.შ.

დივიზიონის ორგანიზებაში დიდი სამუშაო გასწია I რანგის კაპიტანმა ლეონიდე პაპუნაშვილმა (აფხაზეთში საზღვაო მიმართულების ხელმძღვანელი), ლეიტენანტმა რევაზ ფირცხალავამ (საზღვაო დივიზიონის მეთაური), უფროსმა ლეიტენანტმა რომან გრაბაკმა (დივიზიონის მეთაურის მოადგილე შეიარაღების დარგში), სერჟანტმა გრიგოლ ხურცილავამ (კავშირის სამსახურის უფროსი), სერჟანტმა რომან მიგინეიშვილმა (ზურგის სამსახურის უფროსი), მიჩმანმა გურამ დოლბაძემ (მეთაურის მოადგილე აღმზრდელობით დარგში), სერჟანტმა ვიტალი შატორენკომ (დივიზიონის მთავარი მექანიკოსი) და სხვებმა.

დივიზიონის პირველი მცურავი საშუალება იყო მყვინთავთა ბოტი „ციკლონი“ (პროექტი PB-1415), რომელსაც სოხუმის გემთშემკეთებელ სახელოსნოში

„სტრიჟის“ ტიპის აფხაზური კატარღა, რომელიც სახელად შეიძლება „კავკაზს“ ატარებდა



ეროვნული ბიბლიოთეკა



აფხაზური „ვოლგის" ტიპის კატარღა

ცხვირზე 23 მმ-იანი ავტომატური საზენიტო დანადგარი ЗУ-23-2 დაუყენეს.

გამოცდის დროს დანადგარის სიმძიმის გამო „ციკლონს" დაგვერდებიდან გამოსვლა უჭირდა, ხოლო დაგრძელებული ზედნაშენი კიჩოზე დაყენების საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომაც „ციკლონიდან" შეიარაღება მოიხსნა".

1993 წლის დასაწყისში დივიზიონი დაახლოებით 150 კაცს ითვლიდა და 9 კატარღა ჰყავდა — „სტრიჟი" (№01, 02, 03, 04), „ვოლგა" (№05, 06, 07, 08), „ჩიბისი" №09 და „ნევკა".

„ნევკას" წყალქვეშა ფრთა ჰქონდა მოტეხილი და ოპერაციებში თითქმის არც მონაწილეობდა. „ჩიბისსაც" სუსტი საზღვაოსნო თვისებები ჰქონდა.

კატარღების შეიარაღება სტანდარტული იყო — ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ПКТ და ერთი ტანკსაწინააღმდეგო ხელის ყუმბარსტყორცნი РПГ-7. ეკიპაჟი 4 კაცისგან შედგებოდა.

დივიზიონის „სტრიჟები" ნაცრისფერი იყო, ხოლო სხვა კატარღებს თეთრი ფერი შეუნარჩუნდათ და ბორტებზე ნომრებიც ჰქონდათ.

## მომზადება

ეკიპაჟებმა მომზადება გაიარეს ზღვაში იარაღის გამოყენებაზე, დამუშავდა კატარღების მართვის ტექნიკა, საზღვაო ბრძოლის ილეთები და ტაქტიკა.

**გოგი ზარქუა კატარღის მექანიკოსი:** „წვრთნები რეგულარულად ტარდებოდა და მას პირადად I რანგის კაპიტანი ლეონიდე პაპუნაშვილი ხელმძღვანელობდა. ერთ-ერთ კატარღაზე დამაგრებული იყო ფირფიცრის ფარი და ეკიპაჟები როგორც გაჩერებული, ასევე მოცურავე კატარღიდან ტყვიამფრქვევისა და РПГ-7-ის ზუსტ სროლაში ვარჯიშობდნენ. სროლის მანძილი 50 მეტრიდან იწყებოდა და რამდენიმე ასეულამდე ადიოდა".

1993 წლის 20 თებერვალს დივიზიონის კატარღების პირველი საბრძოლო გასვლა შედგა.

ოპერაციაში მონაწილეობდა: „სტრიჟი" №01 (მეთაური სერჟანტი ვლადიმერ გვაზავა), „სტრიჟი" №03 (მეთაური მიჩმანი ზურაბ საჯაია) და „ვოლგა" №06 (მეთაური მიჩმანი ჯემალ ოჩიგავა).

დაიგეგმა გუმისთა-ახალი ათონის მიმართულებით გასვლა და სანაპირო ზოლში მოწინააღმდეგის პოზიციების საცეცხლე საშუალებებით დამუშავება.

**კონტრადმირალი ალექსანდრე ჯავახიშვილი:** „იმ დღეს კარგი ამინდი იყო, არც ქარი ქროდა, მაგრამ სიცივე მაინც იგრძნობოდა და ყველა მეზღვაურს თბილი ბუშლატი ეცვა.

ოპერაციისთვის სპეციალურად დაიგეგმა სოხუმის შუქურის მუშაობა, რათა უკან მობრუნებულ კატარღებს პორტში ღამით შემოსვლა შესძლებოდათ.

კატარღები ერთმანეთისგან ახლოს ვიზუალური ხედვის მანძილზე მიცურავდნენ და მალე გუმისთის ტრავერსზე გავიდნენ, სადაც სანაპიროდან დაახლოებით 350-500 მეტრის დაშორებით პოზიციები დაიკავეს. მოწინააღმდეგის მიმართულებით ცეცხლი გაიხსნა და თითოეულმა კატარღამ ვაზნების ორ-ორი ლენტი თითქმის მთლიანად დაცალა.

აფხაზების საპასუხო ცეცხლი უშედეგო გამოდგა და ჩვენ ზიანი არ მოგვაყენა. მთელი ოპერაცია დაახლოებით 2 სთ გაგრძელდა".

22 თებერვალს სოხუმის რადიოტექნიკურმა პოსტმა ზღვაში მოწინააღმდეგის კატარღა შეამჩნია და ინფორმაციის მიღების შემდეგ ზღვაში „ვოლგა" №05 და „ვოლგა" №06 გავიდნენ.

ჩვენი კატარღები მზად იყვნენ საბრძოლველად, მაგრამ აფხაზმა მეზღვაურებმა გაცლა ამჯობინეს და გუდაუთისკენ წავიდნენ. სოხუმის სანაპირო ზოლის პატრულირებამ რეგულარული ხასიათი მიიღო, დავალების შესასრულებლად ორ-ორი კატარღა იგზავნებოდა. კატარღები ჯერ გუმისთისკენ მიცურავდნენ, შემდეგ რკალს აკეთებდნენ და ბაბუშერა-კოდორის რაიონში გადიოდნენ, საიდანაც უკან, ბაზაში — სოხუმში ბრუნდებოდნენ.

დივიზიონის კატარღების პატრულირება თებერვლის ბოლომდე გაგრძელდა და შემდეგ შეწყდა, რადგან ზღვაზე სიტუაცია შეიცვალა — შემცირდა აფხაზების აქტიურობა, გაჩნდა საწვავის პრობლემები და სხვ.

**თემურ ჩაჩანიძე**

(დასასრული შემდეგ ნომერში)



„ნევკა-2"-ის ტიპის სასეირნო კატარღა



# „ინოვაციების ომი“ აშშ-ის სრულმასშტაბიანი ჩარევა ვიეტნამის სამოქალაქო დაპირისპირებაში (1964-73წწ.)

**დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N119, 2012**

## ომის დეესკალაცია

ვიეტნამელმა კომუნისტებმა დროულად შეამჩნიეს ცვლილება აშშ-ის მოსახლეობის განწყობაში, შეცვალეს მოქმედების აქცენტები და პირველხარისხოვან ამოცანად დაისახეს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის დანაკარგის გაზრდა, რასაც ამერიკელი საზოგადოება მტკივნეულად განიცდიდა.

1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გაიმარჯვა რიჩარდ ნიქსონმა, რომელიც ამომრჩევლებს ომის მშვიდობიანი შეთანხმებით დასრულებას დაჰპირდა.

1969 წლიდან თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაცია ომის „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკაზე გადავიდა, რაც ვიეტნამიდან აშშ-ის ძალების გამოყვანის გზების ძიებას ნიშნავდა.

იმავე წლის ივნისიდან დაიწყო ამერიკელ სამხედროთა გეგმაზომიერი გამოყვანა, რაც სამ წელიწადში დასრულდა.

**ამ პოლიტიკას ერთ-ერთმა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა „დაღუპულების კანის ფერის შეცვლა“ უწოდა, რაც ამერიკული სამხედრო დანაკარგის სამხრეთვიეტნამურით ჩანაცვლებას გულისხმობდა.**

1970 წელს კამბოჯაში გადატრიალებით ხელისუფლებაში მოსული ანტიკომუნისტ ლონ ნოლის წინააღმდეგ ამ ქვეყნის ბაზებში მყოფმა ჩრდილოვიეტნამელთა დანაყოფებმა გაილაშქრეს.

საპასუხოდ ლონ ნოლის რეჟიმის დასახმარებლად აშშ-მა და სამხრეთ ვიეტნამმა კამბოჯაში ჯარები შეიყვანეს.

ამ მოქმედებას აშშ-სა და მსოფლიოში ანტისაომარი გამოსვლების ახალი ტალღა მოჰყვა, რის გამოც ნიქსონის განკარგულებით ამერიკელებმა კამბოჯა ორ თვეში დატოვეს.




ინდოჩინეთის ნახევარკუნძული და ვიეტნამი

1971 წლის 30 მარტს ჩრდილოვიეტნამელები სამხრეთში ისევ შეიჭრნენ და კომუნისტების 125-ათასიან არმიას პირველად ამ ომში მხარს რამდენიმე ასეული საბჭოთა წარმოების ტანკი უმაგრებდა.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის საჰაერო ძალების აქტიური მხარდაჭერით სამხრეთვიეტნამელთა სამთავრობო ჯარებმა მომხდურთა შეჩერება შეძლეს, კომუნისტებმა სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავება მაინც შეძლეს.

მოლაპარაკებათა მაგიდასთან კომუნისტების დასხდომის „წასახალისებლად“ აშშ-ის საჰაერო ძალები ჩრდილო ვიეტნამის სტრატეგიულ ობიექტებს ორი კვირა ომის მთელ პერიოდში ყველაზე ძლიერად ბომბავდნენ.

1973 წლის 27 იანვარს ხელი მოეწერა პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, აშშ-ის ჯარები ვიეტნამს (იმ დროისთვის მათი ძირითადი ნაწილი უკვე გაყვანილი იყო და ქვეყანაში მხოლოდ 100 ათასზე ნაკლები ამერიკელი რჩებოდა) ტოვებდნენ, ხოლო იმავე წლის 29 მარტს ამერიკელი სამხედროების ევაკუაცია სრულად დასრულდა.

## ომის დამთავრება

ამერიკელთა გასვლის შემდეგ სამხრეთში მყოფი ჩრდილოვიეტნამელთა ძალები მილიონზე მეტ სამხედროს ითვლიდა, რომელსაც სამხრეთვიეტნამელთა 200-ათასიანი ჯარი უპირისპირდებოდა.

ამ რეალობის გათვალისწინებით ჩრდილო ვიეტნამი აშშ-ის ძალების გასვლის პირობებში ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე თავის შეწუხებას არც აპირებდა და ტერიტორიათა დაკავებას განაგრძობდა.

1975 წლის მარტის დასაწყისში კომუნისტებმა ფართომასშტაბიანი შეტევა გაშალეს და მსოფლიო საზოგადოების წაყრუებით ორთვიანი ბრძოლებით 30 აპრილის 11-30 სთ-ზე სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქ საიგონის აღების ოპერაცია დაასრულეს. ამით ვიეტნამში საბრძოლო მოქმედებებს წერტილი დაესვა.



ამერიკული ქვედანაყოფი ვიეტნამის ჯუნგლებში გადაადგილდება

**მხარეთა დანაკარგი:**

**სამხრეთი ვიეტნამი — დაღუპულია 720000-მდე მშვიდობიანი მოსახლე, 316000-მდე სამხედრო, 1170000-მდე დაჭრილია;**

**აშშ — დაიღუპა 58220 და დაიჭრა 303644 სამხედრო; სამხრეთი კორეა — დაიღუპა 5099 და დაიჭრა 10962 სამხედრო; ავსტრალია — დაიღუპა 500 და დაიჭრა 3187 სამხედრო; ახალი ზელანდია — დაიღუპა 37 და დაიჭრა 187 სამხედრო; ტაილანდი — დაიღუპა 351 და დაიჭრა 1358 სამხედრო; ლაოსი — დაიღუპა 30 000-მდე კაცი;**

**ჩრდილო ვიეტნამი და ვიეტკონგი — დაღუპულ-დაკარგულია 182000 მშვიდობიანი მოსახლე და 1489000-მდე სამხედრო; ჩინეთი — დაღუპულია 1446 და დაჭრილია 4200 კაცი, სსრკ – დაიღუპა 16 კაცი.**

## ომის სამხედრო ასპექტები

ვიეტნამის ომი „ინოვაციების ომი“ იყო. დაპირისპირებულ მხარეთა აღჭურვილობა, შეიარაღება, ომის თეატრი, ბრძოლის წესები და სხვა ფაქტორები წინა ომებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კომუნისტების პარტიზანული მოქმედების ხელოვნების უმაღლეს დონეზე აყვანა და ამერიკელების კონტრპარტიზანულ ოპერაციათა დოქტრინის უქონლობა. აღჭურვილობის გაუმჯობესება და ადაპტირება ნაჩქარევად ბრძოლის ველიდან მოწოდებული იდეების შესაბამისად ხდებოდა.

სიახლეთა ნაწილი სპეციფიკური იყო, მხოლოდ ვიეტნამის ომს ახასიათებდა, მოკლევადიანი ეფექტი ჰქონდა და იმ დროზე იყო დამოკიდებული, რომელიც მოწინააღმდეგეს მათში გარკვევისა და კონტრზომათა შესამუშავებლად სჭირდებოდა. ამ პერიოდს შეიძლება რამდენიმე თვე ან დღე მოეცვა.

ხშირად მეთაურები მკაცრად ისჯებოდნენ, როცა ერთხელ უკვე წარმატებით გამოყენებული მეთოდების ერთგულნი რჩებოდნენ. გამარჯვებული გამოდიოდა მხოლოდ ის, ვინც შაბლონებს თავს არიდებდა და მეტ გამომგონებლობას იჩენდა.

იმავდროულად, ბევრი სიახლე დაინერგა და შესაძლებელი გახდა მათი შემდგომ კონფლიქტებში გამოყენება.

**მას შემდეგ, რაც 1967 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა უარი თქვა ნაწილობრივ მობილიზაციასა და რეზერვისტების გაწვევაზე, ჯარების შევსება მხოლოდ მოხალისეებისა და შეზღუდული გაწვევის ხარჯზე ხდებოდა.**

**ოფიცრები ვალდებული იყვნენ ვადის მხოლოდ ნახევარი ემსახურათ დანაყოფის მეთაურებად, რაც რიგითებსა და სერჟანტებთან შედარებით მეთაურთა შემადგენლობის გაუმართლებლად სწრაფ ცვლას იწვევდა.**

**ეს უარყოფითად მოქმედებდა დანაყოფების შეღწყმულობასა და საბრძოლო პოტენციალზე. თუმცა, ამავე დროს ვიეტნამში იგზავნებოდა ყველაზე მომზადებული ქვედანაყოფები და გამოცდილი მებრძოლები, რაც „ცივი ომის“ პერიოდში გერმანიასა და სამხრეთ კორეაში დისლოცირებულ აშშ-ის კონტინგენტს მნიშვნელოვნად ასუსტებდა.**

ვიეტნამის ომის დამახასიათებელ ფაქტორად შეიქმნა შვეულმფრენთა მასობრივი გამოყენება. საჰაერო იერიშების კონცეფციასთან ერთად, ამ ფაქტორმა დახვეწა აერომობილური დივიზიის საორგანიზაციო სტრუქტურა და ტაქტიკა.

ბლიცკრიგის შემდგომ საბრძოლო სივრცეში აერომობილურ რაზმების გამოჩენა რევოლუციურ ცვლილებად უნდა განვიხილოთ. თუმცა ვიეტნამის ომის აერომობილური ოპერაციების ტაქტიკა დროის მიმართ მგრძნობიარე აღმოჩნდა და მომდევნო წლებში ცვლილებები განიცადა.

საკომუნიკაციო საშუალებათა განვითარებამ ბევრად აამაღლა მობილურობა და შენაერთის მეთაურს პირველად გაუჩნდა შესაძლებლობა, უშუალოდ დაჰკავშირებოდა ოცმეთაურებს. მას ჰქონდა სატელეფონო და ღია რადიოკავშირი, დახურული რადიოკავშირი როგორც ზედა ეშელონებთან, ასევე ხელქვეითებსა და მოკავშირეებთან.

კორეის ომისდროინდელ EE-8-სა და SCR-300-ის ტიპის აპარატებთან შედარებით, ახალი საშუალებები ნამდვილი ტექნოლოგიური საოცრება იყო.

მობილურობისა და კომუნიკაციის განვითარებასთან ერთად პროგრესი შეეხო საცეცხლე მხარდაჭერასაც — წინა ომებთან შედარებით ქვეითთა განკარგულებაში გაცილებით ძლიერი საცეცხლე ძალა აღმოჩნდა, არტილერიამ და ჯავშანტექნიკამ უფრო მეტი მობილურობა და ეფექტურობა შეიძინა, საჰაერო საცეცხლე მხარდაჭერა გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა და შესაძლებელი გახდა მოეცვა როგორც შეტევის მომზადების, ასევე მოწინააღმდეგის განადგურების პერიოდები.

ვიეტნამის ომის შემდგომ მოწინავე ქვეყნების არმიებში მასობრივად დამკვიდრდა სადაზვერვო სენსორები, მიზნის აღმოსაჩენი სხვადასხვა საშუალება, ღამის თვალთვალის ხელსაწყოები, მონაცემთა ავტომატური ბაზები და ა.შ. დაზვერვისა და ოპერატიული განყოფილების ოფიცრებმა მართვის პუნქტებზე არა მარტო ერთად დაიკავეს ადგილები, არამედ მათ ერთი და იმავე კომპიუტერის მონაცემთა გამოყენებასაც ჩაუყარეს საფუძველი.

ომის პერიოდში ძალაში დარჩა საბრძოლო ტაქტიკის ძირეული პრინციპები და ამერიკელები ხუთი წელი უზარმაზარ ტერიტორიაზე მობილურ თავდაცვას ახორციელებდნენ. შესაბამისად, მოწინააღმდეგის ძალებს უპირისპირდებოდნენ სტაციონარული ბაზებიდან, რომელთა მზარდი ზომები მეთაურობისგან მათ მოვლა-დაცვაზე უფრო მეტ ყურადღებს მოითხოვდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყვედ აყვანილი კომუნისტი ვიეტკონგელები

ვიდრე უშუალოდ საბრძოლო ამოცანის შესრულებაზე.

მიუხედავად ამისა, სადაზვერვო საშუალებებისა და აერომობილურობის უპირატესობის ხარჯზე ამერიკელები ლოკალურ მასშტაბში გამარჯვებისათვის შეტევით ტაქტიკას მიმართავდნენ და მოწინააღმდეგისთვის პრევენციული დარტყმების მიყენებას ცდილობდნენ.

სამდინარო ოპერაციები, ჩასაფრებები, საჰაერო ლოგისტიკური მომარაგება, მიზნობრივი პატრულირება — ეს არის იმ მოქმედებათა მცირე ჩამონათვალი, სადაც მეთაურთა ინიციატივები და გამომგონებლობა გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

მეორე მსოფლიო და კორეის ომისგან განსხვავებით, ძირითადი ფორმირება, რომელიც მოწინააღმდეგესთან კონტაქტში შედიოდა, იყო ბატალიონი ან უფრო ქვედა რგოლი.

ამერიკელი ქვეითების ამოცანას წარმოადგენდა უწყვეტი სადაზვერვო პატრულირებისა და „წმენდის“ პროცესში მოწინააღმდეგის აღმოჩენა, რის შემდეგადაც მეთაური გაძლიერებასა და საცეცხლე მხარდაჭერას ითხოვდა.

ფართოდ გამოიყენებოდა დეფოლიანტები — ბუნებრივი საფრის (მცენარეთა ფოთლების) ფართობების შესამცირებლად და ნაპალმი — თავდაცვით ნაგებობებში შეფარებული მოწინააღმდეგის გასანადგურებლად.

ეფექტური აღმოჩნდა ჯუნგლებში, იქ, სადაც შესაძლებელი იყო, მსუბუქად შეიარაღებული პარტიზანული ჯგუფების წინააღმდეგ ჯავშანტექნიკისა და ტანკების გამოყენება.

ამერიკელები პირველად აღმოჩნდნენ საომარი მოქმედებების თეატრში, სადაც ოპერაციათა ზონებში ერთდროულად იმყოფებოდნენ მოწინააღმდეგე და მოკავშირე.

წარმატება ყოველთვის თვალნათელი არ იყო და მოსახლეობის ეფექტური კონტროლიც მიუღწეველ ამოცანად დარჩა. ეს ვერ გამოასწორა ომის „ვიეტნამიზაციამაც“, რომელიც ვიეტნამელების დახმარებით ადგილობრივი მოსახლეობის „გულებისა და გონების“ მოგებაზე იყო გათვლილი. ასევე ამერიკელებმა ვერ მონახეს მოწინააღმდეგის ნაღმების, „სიურპრიზებისა“ და მიწისქვეშა სამალავთა სისტემების საწინააღმდეგო ეფექტური ზომები. ეს პრობლემა ომის ბოლომდე გადაუჭრელი დარჩა.




ვიეტნამის ომს ამერიკაში ძლიერი ანტისაომარი გამოსვლები ახლდა

ვიეტნამის ომის სამხედრო შედეგზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ ვიეტნამის სახალხო არმია მესამე სამყაროს ქვეყნების ერთ-ერთი ძლიერი და ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალა გახდა.

ამერიკამ, თავის მხრივ, სწორად გააანალიზა ომის გამოცდილება და მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა შეიარაღებულ ძალებში: გაუმჯობესდა ჯარების კომპლექტაციის სისტემა, უფრო მოქნილი გახდა მათი საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა, მეტი დრო დაეთმო მებრძოლთა ინდივიდუალურ მომზადებას, დაიხვეწა მართვა-კონტროლის სისტემა, საბრძოლო კონცეფციები და ტაქტიკა. შედეგებმაც არ დააყოვნა და ვიეტნამის ომის შემდგომ ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა ყველა საომარ კონფლიქტში (აქ არ იგულისხმება პოლიტიკური გამარჯვება, რომელიც ყოველთვის საკამათოა და მოითხოვს დიდ დროს) სამხედრო გამარჯვება მოიპოვა.

დასასრულ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვიეტნამის ომის ამერიკელ ვეტერანთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათი 91% მოხარულია, რომ იმ ბრძოლების მონაწილეა, ხოლო 74% ამ ომის ფინალური შედეგის ცოდნის მიუხედავად, მზად არის თავისი ქვეყნისთვის კვლავ იბრძოლოს.

**ვახტანგ კაპანაძე**

*ბრიგადის გენერალი, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპეცსამსახურებიც იყენებენ. კრავ მაგა ქართულად „ხელჩართულ ბრძოლას“ ნიშნავს. საბრძოლო ხელოვნების ეს სახეობა ებრაელმა იმრიხ ლიხტენფელდმა შეიმუშავა. კრავ მაგას ილეთები აღებულია კარატეს, კრივის, ძიუდოს, ჯიუ-ჯიცუსა და სხვა საბრძოლო ხელოვნებების არსენალიდან.

ჯერ კიდევ შარშან, რეზერვში ყოფნისას, ჩვენს სერჟანტს მე შევასწავლე პისტოლეტის წართმევის ხერხები. სერჟანტი გაოცდა, ამის შესახებ მან არაფერი იცოდა. მოგვიანებით სხვა სერჟანტებსაც ვასწავლე დანისა და პისტოლეტის წართმევის ხერხები. სერჟანტების ერთი ნაწილი რეინჯერებიდან იყვნენ მოვლინებული, ნაწილი კი სერჟანტთა მომზადების სკოლიდან.

# ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა და ქუჩური ჩხუბის ელემენტები

ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა არის ილეთების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვიგერიოთ ერთი ან რამდენიმე თავდამსხმელი. ეს პრაქტიკული ბრძოლის ხელოვნებაა. რაც შეეხება ქუჩური ჩხუბის ელემენტებს, ეს იგივე ხელჩართული ბრძოლაა, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანით, ხელკეტით, პისტოლეტით ან სხვა რომელიმე სახის ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ ბოროტმოქმედთან. ჩვენი მიზანია გასწავლოთ, როგორ დაიცვათ თავი და უვნებლად გამოხვიდეთ ექსტრემალური სიტუაციებიდან. ეს არის ბრძოლა გადარჩენისთვის.

ამ ტექნიკის დაუფლება არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას, მისი შესწავლა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს ყოველგვარი ფიზიკური მომზადების გარეშე. ხელჩართული ბრძოლის ცოდნა საშუალებას გვაძლევს, დავამარცხოთ ფიზიკურად ჩვენზე ძლიერი მოწინააღმდეგე. ჩვენ შეგასწავლით ისეთ ილეთებს, რომლებიც დაგეხმარებათ პრაქტიკულ ბრძოლაში.

ხელჩართული ბრძოლის ტექნიკის გამოყენებით თქვენ ეფექტურად დაიცავთ თავს ქუჩაში. ამისთვის საჭიროა გააკონტროლოთ როგორც საკუთარი, ასევე მოწინააღმდეგის ყველა მოძრაობა. როგორც შოტოკან კარატე-დოს დამაარსებელი გიჩინ ფუნაკოში ამბობს: „ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მოწინააღმდეგის წონასწორობის შეცვლა შეამჩნიო“.

## ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა შეიარაღებულ ძალებში

ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა ფართოდ გამოიყენება ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, ჩინეთის, ისრაელის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში. ამ მხრივ განსაკუთრებით ისრაელი გამოირჩევა. ებრაელებმა სპეციალური თავდაცვითი სისტემაც კი შექმნეს — კრავ მაგა, რომელსაც სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურა იყენებს.

კრავ მაგას ისრაელის გარდა მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი ქვეყნის მათ ძალიან მოეწონათ ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა და სურვილი გამოთქვეს, ეს ტექნიკა მათი მომზადების პროგრამაში ჩართულიყო.

1999 წლის 7 იანვარს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და საქართველოს კარატე-დოს ფედერაციამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ. თავდაცვის მაშინდელი მინისტრის, დავით თევზაძისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, კახა ბასილიას ერთობლივი ძალისხმევით ეს პროექტი წარმატებით განხორციელდა. თავდაცვის სამინისტროში 200-მდე ინსტრუქტორი შევიდა. ისინი ქართულ ჯარს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად წვრთნიდნენ. ეს პროგრამა გაგრძელდა გელა ბეჟუაშვილისა და გიორგი ბარამიძის მინისტრობის დროსაც. მას შემდეგ კი, რაც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი გახდა, პროგრამა გაუქმდა.

**ალიკა მერებაშვილი**

*შოტოკან კარატე-დოს ტექნიკური ოსტატი, შავი ქამრისა და I დანის მფლობელი*

# როგორ მოვიგერიოთ ხელკეტიანი თავდამსხმელი



1. მოწინააღმდეგე ხელკეტით გიტევს



2. ვეცლებით მარჯვნივ და ვუკავებთ მაჯას



3. მოწინააღმდეგეს ხელს ვუწევთ უკან



4. მარჯვენა ხელს ვუყრით იდაყვის ქვემოთ



5. მარჯვენა ხელს ვადებთ მკერდზე



6. ვაგდებთ ძირს და ვართმევთ ხელკეტს

# საგემბანო ავიაცია




გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N17-19, 2012

## მეორე მსოფლიო ომი

1939 წლის 1-ელ სექტემბერს პოლონეთში გერმანიის არმიის შეჭრით ევროპაში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ორი დღის შემდეგ ომში საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ჩაებნენ. იმ მომენტში ყველაზე მრავალრიცხოვანი ავიამზიდი ფლოტი ბრიტანეთს ჰყავდა, 7 ხომალდი მწყობრში იდგა და კიდევ 6 მშენებლობის სხვადასხვა სტადიაზე იყო.

ბრიტანული ავიამზიდი ფლოტის მთავარი ძალა Ark Royal-ი იყო. მისი აგება 1935 წელს დაიწყო. 22000 ტ წყალწყვის ხომალდს ორიარუსიანი ანგარი და კორპუსის ფარგლებში მოქცეული გემბანი ჰქონდა. შემდგომში აგებული პრაქტიკულად ყველა ავიამზიდი ამ კონცეფციას იმეორებდა.

Ark Royal-ის ანგარები 72 თვითმფრინავს იტევდა და აპარატების გემბანზე ამოსაყვანად სამი ლიფტით იყო აღჭურვილი.

**ავიამზიდებისგან განსხვავებით, ბრიტანული საგემბანო ავიაცია სავალალო მდგომარეობაში იყო. მოძველებული თვითმფრინავები ახალ მოთხოვნებს ველარ პასუხობდნენ. პირველი საგემბანო მონოპლან Skua-ს ფრენის სიჩქარე სთ-ში 362 კმ-ს არ აღემატებოდა. ფლოტი მას გამანადგურებლად და მოპიკირე ბომბდამშენად იყენებდა. ამ უკანასკნელის სასარგებლო დატვირთვა ერთი 227 კგ-იანი ბომბით შემოიფარგლებოდა და არასაკმარისი იყო. სამხედრო-საჰაერო ძალების Hurricane-სთან შედარებით გამანადგურებელი „სკუა“ ნელი, მოუქნელი და სუსტად შეიარაღებული იყო.**



1937 წელს აგებული ავიამზიდი, ბრიტანეთის ფლოტში მესამე ხომალდი იყო, რომელიც Ark Royal-ის სახელს ატარებდა

## პირველი ავიამზიდის ჩაძირვა

პირველი დარტყმა ბრიტანელებმა 3 სექტემბერს იგემეს, — გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ლაინერი „ათენია“ ჩაძირა.

გერმანული სუბმარინების საძებნად და გასანადგურებლად ექვსი დღის შემდეგ ზღვაში სამი ავიამზიდისა („არკ როიალი“, „კორეიჯისი“, „ჰერმესი“) და 15-მდე საესკადრო ნაღმოსნისგან შემდგარი ფლოტილია გავიდა.

14 სექტემბერს ბრიტანელებს ბედმა გაუღიმა და სიღრმული ბომბებით გერმანულ წყალქვეშა ნავს ზედაპირზე ამოსვლა აიძულეს, როცა ის „არკ როიალზე“ შეტევას შეეცადა.

სამი დღის შემდეგ „კორეიჯესი“ გერმანულ სუბმარინებზე სალაშქროდ ზღვაში ისევ გავიდა მცირე ესკორტით — მხოლოდ 2 საესკადრო ნაღმოსნით, რაც საბედისწერო შეცდომის მიზეზი გახდა. შეუმჩნევლად მიახლოებულმა წყალქვეშა ნავმა ხომალდს სამი ტორპედო ესროლა და ორი მიზანში მოახვედრა. ხომალდი 15 წთ-ში ჩაიძირა და 1260-კაციანი ეკიპაჟისგან 519 თან გაიყოლა. „კორეიჯისი“ მეორე მსოფლიო ომში ჩაძირული პირველი ავიამზიდი იყო.

## შურისძიება

„კორეიჯისის“ დაკარგვა ბრიტანელებისთვის დიდი დარტყმა იყო. შურისძიების საშუალება სამეფო ფლოტს მხოლოდ 1940 წლის გაზაფხულზე მიეცა. ნორვეგიის კამპანიის დროს გერმანელებმა ქალაქ ბერგენში დესანტი გადასხეს და ფიორდებში შესვლა სცადეს.

ოპერაციისას სანაპირო ბატარეამ მსუბუქ კრეისერ „კენიგსბერგს“ სამი

ეროვნული ბიბლიოთეკა




სამხედროთა ნაწილი, ომის დაწყებისთვის Swordfish-ს უკვე მოძველებულად თვლიდა, თუმცა რამდენიმე ოპერაციაში მან გადამწყვეტი როლი ითამაშა

210 მმ-იანი ჭურვი მოარტყა. ბერგენის პორტში სარემონტოდ დამდგარი კრეისერი იდეალური სამიზნე იყო.

ოპერაცია უმალ დაიგეგმა. 10 აპრილის დილას სკაფა-ფლოუს სახმელეთო აეროდრომიდან თითო 500 კგ-იანი ბომბით შეიარაღებული 16 მოძველებული Skua აფრინდა. გერმანელები გონს მაშინ მოვიდნენ, როცა პირველი ჩამოგდებული ბომბი კრეისერის მახლობლად წყალში აფეთქდა. მიზანს 3 ბომბი მოხვდა. კიდევ ორი მის ბორტთან წყალში აფეთქდა. რამდენიმე წუთში ალმოდებული „კენიგსბერგი" (წყალწყვა 8100 ტ) ამოყირავდა და ჩაიძირა. 16 თვითმფრინავისგან გერმანელებმა მხოლოდ ერთი ჩამოაგდეს.

## ტარანტოს ტრიუმფი

ხმელთაშუა ზღვაში მოქმედებისას ბრიტანულ ფლოტს იტალიური სახაზო ხომალდები დიდ საფრთხეს უქმნიდნენ.

1940 წლის ივნისში 6 იტალიური ხომალდი ტარანტოს ყურეში ბაზირებდა და ბრიტანელებს მათი განადგურების შანსი მიეცათ.

ოპერაციის ჩატარება 12 ნოემბერს დაიგეგმა. ტორპედოებითა და ბომბებით შეიარაღებული Swordfish-ები ავიამზიდ „ილასტრიესიდან" უნდა აფრენილიყვნენ. ორ ჯგუფად განაწილებული თვითმფრინავებისგან პირველში — 12, მეორეში კი 8 „სვორდფიში" იყო.

ტარანტოს ყურესა და იქ მდგარ ფლოტს რამდენიმე ათეული საზენიტო ბატარეა და გადამღობი აეროსტატი იცავდა.

ხომალდების სადგომთან ტორპედსაწინააღმდეგო ბადეები წყალში ყველგან არ იყო დაყენებული. თანაც იტალიელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ყურის პატარა სიღრმის გამო მოწინააღმდეგე ტორპედოების გამოყენებას ვერ შეძლებდა.

ინგლისელებმა ტორპედოების ლითონის სტაბილიზატორებს ხის სტაბილიზატორები დაუმატეს და ამით ჩამოგდების შემდეგ ტორპედოს წყალში ჩასვლის სიღრმე შეამცირეს.

**Swordfish-ი ბრიტანულმა ფირმა Fairey-მ შექმნა. ბრიტანეთის საადმირალომ თვითმფრინავი მოიწონა და 1936 წელს Swordfish-ის სახელით შეიარაღებაში მიიღეს. თუმცა, იმ დროისთვის მისი კონსტრუქცია უტოპიურად ითვლებოდა. ხისტად დამაგრებული შასი, ღია კაბინა, ნაჭრის შემონაკერი და არანაირი დაცვა. კონსტრუქციით „სვორდფიში" 10-15 წლით ადრე შექმნილი თვითმფრინავებისგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა. ომის დაწყებისას მწყობრში 692 „სვორდფიში" იყო.**

ტარანტოს თავზე ბრიტანული თვითმფრინავები მოულოდნელად გამოჩნდნენ და იტალიის ფლოტს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს.

სამი ტორპედო უახლეს სახაზო ხომალდ „ლიტორიოს", თითო-თითო კი „კავურსა" და „დულიოს" მოხვდა. სამივე ხომალდი მძიმედ დაზიანდა და ჩაიძირა. იტალიური ფლოტის შესაძლებლობები განახევრდა, ხოლო მეზენიტეებმა მხოლოდ 2 „სვორდფიშის" ჩამოგდება შეძლეს.

„ლიტორიოსა" და „დულიოს" გარემონტებას რამდენიმე თვე დასჭირდა, ხოლო „კავურის" აღდგენა არ მოხერხდა.

მინიმალური დანაკარგით ბრიტანელებმა შესანიშნავ შედეგს მიაღწიეს. ტორპედმზიდმა თვითმფრინავებმა გაამართლა და ტარანტოს გაკვეთილი ია-

მოძველებულ Skua-ებს ბრიტანელები პრაქტიკულად ომის ბოლომდე იყენებდნენ





Ark Royal-ის გემბანზე Swordfish-ებს მორიგი საბრძოლო გაფრენისთვის ამზადებენ

პონელებმა შემდგომ არანაკლები წარმატებით გამოიყენეს.

## ნადირობა „ბისმარკზე“

1939 წლის 14 თებერვალს გერმანიამ წყალში ჩაუშვა ახალი სახაზო ხომალდი „ბისმარკი“. რვა 381 მმ-იანი ქვემეხით შეიარაღებული და სქელი ჯავშნით დაცული ხომალდი გერმანიის ფლოტის მრისხანეს ძალა იყო.

„ბისმარკი“ მოკავშირეთა სავაჭრო გემებზე სანადიროდ აიგო და ბრიტანელებმა მისი განადგურება გადაწყვიტეს.

1940 წლის 18 მაისს „ბისმარკი“ მძიმე კრეისერ „პრინც იოგენთან“ ერთად ზღვაში გავიდა. მათ შეჩერებას ბრიტანული სახაზო ხომალდი „პრინც ოფ უელსი“ და სახაზო კრეისერი „ჰუდი“ შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ — 4 წთიანი ბრძოლის შემდეგ „ბისმარკის“ მორიგი ზალპისგან „ჰუდი“ აფეთქდა, შუაზე გადატყდა და ჩაიძირა. ეკიპაჟის 1419 წევრიდან მხოლოდ 3 კაცი გადარჩა. თავად გერმანულ ხომალდს ორი ჭურვი მოხვდა და სარემონტოდ კურსი საფრანგეთისკენ აიღო.

გზის გადასაჭრელად სამეფო საადმირალომ ატლანტის ამ ზონაში მყოფ ყველა ხომალდს მოუყარა თავი, მაგრამ გერმანული გიგანტის წინააღმდეგ ბრიტანული კრეისერები უძლურნი აღმოჩნდნენ. მთავარი იმედი ავიამზიდი Ark Royal-ი და მისი Swordfish-ები იყო.

26 მაისს გემბანიდან აფრენილმა 15-მა ტორპედმზიდმა „ბისმარკს“ შეუტია, მაგრამ მიზანს მხოლოდ ორმა ტორპედომ მიაღწია. აქედან ერთ-ერთი საბედისწერო აღმოჩნდა, — დაზიანდა წამყვანი ხრახნები და საჭე და ეკიპაჟმა კურსის შეცვლის საშუალება დაკარგა.

განწირული ხომალდი მეორე დღეს ჯერ სახაზო ხომალდებმა „როდნეიმ“ და „კინგ ჯორჯ V“-მა დაცხრილეს და შემდეგ საესკადრო ნაღმოსნებმა ტორპედოებით ბოლო მოუღეს.

ასე დასრულდა „ბისმარკის“ პირველი და უკანასკნელი საბრძოლო დავალება, სადაც გადამწყვეტი როლი საგემბანო ავიაციამ ითამაშა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ავიამზიდმა ღია ზღვაში სახაზო ხომალდის შეჩერება შეძლო.

## ბრიტანული სიამაყის დაღუპვა

„ბისმარკის“ განადგურებიდან რამდენიმე თვის თავზე გერმანელებმა შური იძიეს. 1941 წლის 13 ნოემბერს გერმანული წყალქვეშა ნავი U-81 საესკადრო ნაღმოსნების თანხლებით მიმავალ Ark Royal-ს მიეპარა და სამი ტორპედო ესროლა. ორმა მათგანმა მიზანს მიაღწია.

ბადრაგის ხომალდებმა წყალქვეშა ნავს 130 სიღრმული ბომბი დააყარეს, მაგრამ U-81-მა თავის დაღწევა შეძლო. ეკიპაჟის მცდელობის მიუხედავად, ბრიტანული ავიამზიდი მეორე დღეს, გიბრალტარიდან 25 მილის მოშორებით ჩაიძირა.

**ალექსანდრე აფაქიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**წამყვანი საზღვაო ქვეყნების ავიამზიდთა რაოდენობა მეორე მსოფლიო ომის წინ**

| სახელმწიფო | მწყობრში | მშენებარე |
|---|---|---|
| დიდი ბრიტანეთი | 7 | 6 |
| იაპონია | 6 | 2 |
| აშშ | 5 | 2 |
| საფრანგეთი | 1 | 1 |


„ბისმარკის“ ჩაძირვა პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საგემბანო ავიაციამ ზღვაში სახაზო ხომალდის შეჩერება შეძლო

ეროვნული ბიბლიოთეკა




# 795-ე ბატალიონი ნორმანდიისთვის ბრძოლებში



ბატალიონმა ბოლო ბრძოლები კოტენტინის ნახევარკუნძულის ფორტებში გადაიტანა

1941 წელს 22 ივნისს, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, მესამე რაიხის ხელმძღვანელობაში მომწიფდა აზრი ეროვნული ნიშნით სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბებისა.

აღმოსავლური ნაწილები, ანუ აღმოსავლური ლეგიონები, ეწოდებოდა ყველა იმ ფორმირებას, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა მხარეს იბრძოდნენ. მათი ჩამოყალიბება მოხალისე-ემიგრანტებისა და სამხედრო ტყვეების ხარჯზე მიმდინარეობდა.

ასე გაჩნდა გერმანიის არმიის შემადგენლობაში ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქმენული და ჩრდილოკავკასიური ლეგიონები, ხოლო მათ გასაკონტროლებლად შეიქმნა მოხალისეთა ნაწილების შტაბი გენერალ-ლეიტენანტ ფონ ვარტენბერგის ხელმძღვანელობით. მოგვიანებით ის გენერალ-მაიორმა ფონ ნიდერმაიერმა შეცვალა, რომელმაც ეს თანამდებობა ნორმანდიაში მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმამდე რამდენიმე დღით ადრე ჩაიბარა და უშუალოდ გენერალ-ფელდმარშალ ჰერდ ფონ რუნშტედს ემორჩილებოდა. იმ დროისთვის მოხალისეთა შტაბი უფრო საკონსულტაციო დანიშნულებას ასრულებდა, რეკომენდაციებს აძლევდა იმ გერმანული ნაწილების მეთაურებს, რომელთა განკარგულებაშიც აღმოსავლური ნაწილები იყვნენ. რეკომენდაციები კი ნაწილების გამოყენებასა და მათი მომარაგების გაუმჯობესებას შეეხებოდა.

ქართულ ლეგიონში სამეთაურო თანამდებობებზე შეარჩიეს ემიგრანტები, რომლებსაც სამშობლოს კომუნისტური რეჟიმისგან გათავისუფლება უნდოდათ.

ლეგიონს საფუძველი 1942 წლის 8 დეკემბერს ჩაეყარა და მის ქართულ ნაწილს შალვა მაღლაკელიძე მეთაურობდა, ხოლო გერმანიისას პოდპოლკოვნიკი ოტო მახტსი.

ლეგიონში შემავალი ბატალიონების ფორმირება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და მას მრავალი ქართველი სამხედრო ტყვე შეუერთდა. ომის დასრულებამდე, 1942-44 წლებში, სულ 12 ბატალიონისა და რამდენიმე ასეულის ჩამოყალიბება მოესწრო. ზოგიერთს საქართველოს თვალსაჩინო პირთა და მოღვაწეთა სახელი მიენიჭა. მაგალითად, 795-ს ბატალიონს „შალვა მაღლაკელიძე“, 797-ს — „შოთა რუსთაველი“, 798-ს — „დავით აღმაშენებელი“, 799-ს — „გიორგი სააკაძე“, 822-ს — „თამარ მეფე“, 823-ს — „ერეკლე II“ და 824-ს — „ილია ჭავჭავაძე“.

ბატალიონების შტატები გერმანიის არმიის ქვეითი ბატალიონის იდენტური იყო და 3 მსროლელი და მეტყვიამფრქვევეთა ასეულებისგან, ტანკსაწინააღმდეგო ოცეულისა და სხვა წვრილი დანაყოფებისგან შედგებოდა.

შეიარაღებაში შედიოდა 9 მსუბუქი (50 მმ-იანი s.G.W.36) და 6 მძიმე (81,4 მმ-იანი s.G.W.34) ნაღმსატყორცნი, 52 ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევი (MG-34 და MG-42), 7,92 მმ-იანი შაშხანები Mauser 98k, 9 მმ-იანი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები MP-38/MP-40 და სხვ. გარდა ამისა, აღმოსავლეთის ფრონტზე ქართული ბატალიონების შეიარაღებაში მრავლად იყო ნაალაფარი საბჭოთა წარმოების იარაღი.

ზოგიერთმა ბატალიონმა დიდი სამხედრო გზა გაიარა, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტზე ჩრდილო კავკასიიდან

შალვა მაღლაკელიძე დაიბადა 1893 წელს. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია; უმაღლესი განათლება ბერლინის უნივერსიტეტში მიიღო. 1918-21 წლებში საქართველოს მთავრობის წევრი იყო. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. 1942-43 წლებში არჩეული იყო „ქართული ეროვნული კომიტეტისა“ და „ქართული სამოკავშირეო შტაბის“ (ბერლინი) წევრად. იყო ვერმახტის ქართული ლეგიონის მეთაური და მისი შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1944 წელს ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 1976 წელს.





ქართველი ლეგიონერები ფიცის მიღების დროს



სიმონ ლომთათიძე ჩრ. კავკასიაში ბრძოლების დროს დაიჭრა, მაგრამ პოზიცია მაინც არ მიატოვა

დაიწყო და შემდეგ დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ბრძოლებში დასრულდა.

სახელოვანი საბრძოლო ბიოგრაფია დაგვიტოვა 795-ე შალვა მაღლაკელიძის სახელობის ქვეითმა ბატალიონმა. მას ობერ-ლეიტენანტი შირი მეთაურობდა, შტაბს კი ობერ-ლეიტენანტი კნაბე.

წითელი არმიის ყოფილმა ოფიცრებმა, კაპიტანმა გიორგი ჭილაშვილმა, უფროსმა ლეიტენანტმა კონსტანტინე ტყეშელაშვილმა, კაპიტანმა ნიკოლოზ წერეთელმა მსროლელთა 1-ლი, მე-2 და მე-3 ასეულები ჩაიბარეს.

მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაური, მაიორი სიმონ ლომთათიძე და საშტაბოს კი — გერმანელი ლეიტენანტი კამი იყო.

გერმანული ქვეითი ასეულის შეიარაღება



ბატალიონი 1942 წლის შემოდგომიდან ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთში მდინარე ბაქსანთან ბრძოლებში მონაწილეობდა და დანაკარგიც განიცადა.

პირველი ბრძოლების მონაწილე რამდენიმე ლეგიონერმა ჯილდო „ნიშანი აღმოსავლური ხალხებისთვის“ დაიმსახურა, რომელიც სპეციალურად აღმოსავლურ ლეგიონებში მებრძოლი ჯარისკაცისთვის შეიქმნა.

1942 წლის 23 ნოემბრიდან ბატალიონმა პოზიციები სოფელ სტარი-ლესკენში (ყაბარდო-ბალყარეთისა და ოსეთის საზღვარი) დაიკავა.

აქ ბატალიონი ქართული საზღვრის რაჭის მონაკვეთის მოსაზღვრე მდინარე ურუხის ხეობაში თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობასა და შემდგომ 1942 წლის 31 დეკემბრამდე იქ დაწყებულ ბრძოლებში მონაწილეობდა.

ამ ბრძოლებში ქართველმა ლეგიონერებმა არაერთი გმირობა ჩაიდინეს. ბრძოლაში მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაური სიმონ ლომთათიძე დაიჭრა და ზურგში გაგზავნაზე კატეგორიულ უარს ამბობდა. მხოლოდ მეორედ დაჭრის შემდეგ გადაიყვანეს ჰოსპიტალში.

ჩრდილო კავკასიაში უშედეგო ბრძოლების შემდეგ გერმანიის არმიამ უკან დახევა დაიწყო და 795-ე ბატალიონი ქალაქ დონის როსტოვისკენ გადაისროლეს, მაგრამ ტამანის ნახევარკუნძულთან ყოფნისას საჰაერო გზით ყირიმში გადაიყვანეს.

ბატალიონის დისლოკაციის მომდევნო ადგილი საფრანგეთის ნორმანდიის სანაპირო იყო, სადაც გერმანელებმა საველე სიმაგრეების მთელი სისტემა, ე. წ. „ატლანტიკური ზვირთი“ ააგეს ინგლისურ-ამერიკული დესანტის ევროპაში შეჭრის მოსაგერიებლად.

მაშინ ბატალიონის პირადი შემადგენლობა 933 ქართველსა და 90 გერმანელს ითვლიდა და კაპიტანი ცილერი მეთაურობდა.

იმ დროს დასავლეთ ევროპაში ქართული ლეგიონის სხვა ბატალიონებიც იყო განთავსებული.

კოტენტანის ნახევარკუნძულზე პოზიციები ეკავა 797-ე ბატალიონს; ბრეტანში, ქალაქ სან-ნაზერთან, 798-ე ბატალიონს; 822-ე ბატალიონი ჯერ ლიონის რაიონში და შემდგომ ზან-

დფორტში (ჰოლანდია) აღმოჩნდა; 823-ე ბატალიონის დისლოკაციის ადგილად ლა-მანშის სრუტეში კუნძული გერნსი შეირჩა;

1943 წელს 28 ნოემბერს თეირანში მოკავშირეების — აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ის პირველ პირთა შეხვედრაზე ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა გადაწყდა. დესანტირების ადგილად საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ნორმანდიის სანაპირო შეირჩა.

1944 წლის 6 ივნისს ამერიკული 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის პარაშუტისტები გადმოსხდნენ და ქართული ბატალიონი მოწინააღმდეგეს მთელი ღამე ებრძოდა.

ამ დროს 795-ე ბატალიონი ტიურკვილში, ქალაქ სენტ-მერ-ეგლიზის სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო და ნორმანდიაში მოკავშირეთა დესანტირების დროს პლაჟ იუტაზე გადასხმული ქვედანაყოფების პირისპირ დარჩა.



ნორმანდიაში მოკავშირეთა დესანტირება

მძიმე ბრძოლების შემდეგ, მომდევნო დღეს, ბატალიონმა კოტენტანის ნახევარკუნძულზე ბეზვილ-ო-პლენის ციხედარბაზში გადაინაცვლა.

7 ივნისს ამერიკელებმა 174 ქართველი ტყვედ აიყვანეს. ბატალიონის ნარჩენები ვერმახტის ერთ-ერთ ელიტურ ნაწილს – მე-6 საჰაერო-სადესანტო პოლკს შეუერთდა. პოლკის მეთაურის მაიორ ფონ დერ ჰეიდტეს თქმით, ბატალიონი 18 ივნისის ჩათვლით ქალაქ კარანტანთან იბრძოდა და ამერიკელებს გერმანიის თავდაცვითი ხაზების შესასვლელთან აკავებდა.

ნორმანდიაში 795-ე ბატალიონის ბრძოლებში მონაწილეობას დასავლეთის ფრონტზე გერმანიის ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-ფელდმარშალმა ჰერდ ფონ რუნშტედმა და ვერმახტის უმაღლესმა სარდლობამ მაღალი შეფასება მისცეს.

**გიორგი ცომაია**



# კოპიტნარიდან NATO-ს ბაზები უნდა დაებომბათ



## ქუთაისთან, კოპიტნარის აეროდრომზე განთავსებული საბჭოთა საფრონტო ბომბდამშენების სამიზნე თურქეთში დისლოცირებული ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო-საჰაერო ბაზები და სარაკეტო პოზიციები იყო

კოპიტნარის აეროპორტის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით „არსენალის“ მკითხველთა ერთი ნაწილს გაუჩნდა სურვილი, უფრო მეტი გაიგოს ამ აეროდრომის ისტორიის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 50-იანი წლების დასაწყისში, ქუთაისთან, კოპიტნარის აეროდრომზე პირველი რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავები გამოჩნდნენ. ეს იყო 167-ე გვარდიული საავიაციო პოლკის МиГ-15 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავები.

ამ გამანადგურებელი პოლკის საქართველოს ტერიტორიაზე ქუთაისთან გადმოყვანა იმითაც იყო განპირობებული, რომ მეზობელი თურქეთის (რომლის საზღვრამდე კოპიტნარიდან პირდაპირი ხაზით მხოლოდ 65 კმ იყო) ტერიტორიაზე NATO-ს სამხედრო-საჰაერო ბაზების გახსნა დაიწყო და კოპიტნარიდან აფრენილ МиГ-ებს,



კოპიტნარის აეროდრომი რუსული ავიაციის მიერ დაბომბვის შემდეგ

თუ მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა, ამერიკული ბომბდამშენების ჩამოგდება ევალებოდათ.

მოგვიანებით МиГ-15-ები გამანადგურებელ-გზაგადამჭრელმა МиГ-17П-ებმა ჩაანაცვლეს, ხოლო 60-იანი წლების დასაწყისში კოპიტნარის აეროდრომზე იმ დროისათვის ერთ-ერთი საიდუმლო საბჭოთა გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი Су-9-ები გამოჩნდნენ.

1954 წლიდან კოპიტნარში აზერბაიჯანის დალიარის აეროდრომიდან, 167-ე გამანადგურებელი პოლკის გვერდით, 367-ე ბომბდამშენთა პოლკის 4 ესკადრილია გადმოვიდა. კოპიტნარში ამ პოლკის ბაზაზე 192-ე ბომბდამშენთა საავიაციო დივიზიის ჩამოყალიბება დაიწყო, რომლის სამი პოლკი Ил-28 ტიპის ბომბდამშენებით იყო აღჭურვილი.

მაშინდელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ნიკიტა ხრუშჩოვის გადაწყვეტილებით დაიწყო საბჭოთა არმიის რიცხოვნობის მნიშვნელოვნად შემცირება. ამას ვერც კოპიტნარის 192-ე ბომბდამშენთა დივიზია გადაურჩა და მის ადგილზე სამიდან მხოლოდ ერთი პოლკი დარჩა. მომავალ 1962 წელს ეს პოლკიც დაშალეს და კოპიტნარიდან მხოლოდ Су-9 ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელები თუ აფრინდებოდნენ.

ცოტა ხანში კოპიტნარში მოსკოვიდან გენერლების კომისია ჩავიდა საინსპექციოდ და ჩათვალა, რომ ბომბდამშენთა პოლკის დაშლა შეცდომა იყო და ახალი პოლკის ჩამოყალიბება გადაწყდა.



კოპიტნარში 50-იან წლებში МиГ-17П ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელები ბაზირებდნენ. მათ თურქეთიდან ამერიკული ბომბდამშენები საბჭოთა კავშირის სამხრეთ ფლანგზე არ უნდა დაეშვათ. ამ გამანადგურებლის სიგრძე 11 მ, ხოლო ფრთაგაშლილობა 9,6 მ იყო. მისი ასაფრენი მასა 6 ტონას აღწევდა და მაქსიმალური 1100 კმ/სთ სიჩქარე შეეძლო განევითარებინა

ახალი, 143-ე ცალკეული ბომბდამშენთა საავიაციო პოლკის ისტორია 1961 წლის ოქტომბრიდან იწყება. პოლკი მთლიანად Ил-28 ტიპის ბომბდამშენებით იყო შეიარაღებული და იმ მომენტში სამხრეთ კავკასიაში დისლოცირებული 34-ე საჰაერო არმიის ერთადერთ ბომბდამშენთა პოლკს წარმოადგენდა.

1966 წლიდან პოლკის მფრინავებმა Як-28 ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენებზე დაიწყეს ფრენა და შემ-

60-იან წლების დასაწყისში კოპიტნარში იმ დროისთვის გასაიდუმლოებული Су-9 ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელები გამოჩნდნენ. ისინი გამოირჩეოდნენ დიდი სიჩქარით (2230 კმ/სთ-ში 12 კმ სიმაღლეზე), დიდი პრაქტიკული „ჭერით“ (შეეძლოთ 20 კმ-მდე აფრენა) და სიმაღლეზე სწრაფაჭრის მაღალი მაჩვენებლით — წამში 200 მ-ს იღებდნენ






მრავალდანიშნულებიანი რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავი Як-28 კოპიტნარის 143-ე ბომბდამშენთა პოლკის შეიარაღებაში 1967 წლიდან შევიდა. სხვადასხვა დროს კოპიტნარში ბაზირებდნენ Як-28-ს შემდეგი მოდიფიკაციები — Як-28И და Як-28Л (მათ დამიზნების განსხვავებული სისტემები ჰქონდათ), ასევე Як-28ПП (რადიოელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავი) და ორადგილიანი სასწავლო-საბრძოლო Як-28У-ები. კოპიტნარის ბომბდამშენთა პოლკის ერთი ესკადრილია განკუთვნილი იყო საჰაერო სამიზნეების ბუქსირებისათვის, რომლებზეც ოჩამჩირის პოლიგონის თავზე საზენიტო-სარაკეტო გათვლები ვარჯიშობდნენ. ამ ესკადრილიამ კოპიტნარში 1987 წლამდე იარსება

დგომი ათი წლის განმავლობაში კოპიტნარიდან ამ საინტერესო, მაგრამ ამასთან, უცნაური თვითმფრინავის სხვადასხვა მოდიფიკაცია (Як-28Н, Як-28А, Як-ПП და Як-28У) დაფრინავდა.

1976 წლამდე კოპიტნარში ერთმანეთის გვერდით ორი საავიაციო პოლკი ბაზირებდა — 143-ე ბომბდამშენთა და 167-ე გამანადგურებელ-გზაგადამჭრელების, სანამ ეს უკანასკნელი არ გაიყვანეს კოპიტნარიდან უკვე მორალურად მოძველებულ Су-9-ებთან ერთად.

1977 წლიდან კოპიტნარში დაიწყო ეულად დარჩენილი 143-ე პოლკის მომზადება იმ დროისთვის საბჭოთა კავშირში და შეიძლება მსოფლიოშიც ერთ-ერთ თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავზე — საფრონტო ბომბდამშენ Су-24-ზე საფრენად.

ორძრავიანი, ზებგერითი ბომბდამშენის, რომელსაც ფრთების ისრისებურობა ჰაერში ფრენისას ეცვლებოდა, საჯარისო გამოცდის მინდობა კოპიტნარის პოლკისთვის დიდ პატივად ითვლებოდა.

1981 წელს კოპიტნარელმა პილოტებმა რუსეთის ერთ-ერთ პოლიგონზე გამოცადეს „ჰაერი-რადიოლოკატორის“ ტიპის მართვადი რაკეტები.

1986 წლის შემოდგომაზე კოპიტნა-

1961-დან 1967 წლამდე მეზობელ თურქეთში NATO-ს სამხედრო ბაზებს კოპიტნარიდან აფრენილი Ил-28 ტიპის ბომბდამშენები ემუქრებოდნენ. Ил-28 პირველი საბჭოთა რეაქტიული ბომბდამშენი იყო, რომელიც შეიარაღებაში 1950 წელს მიიღეს და ათი წლის თავზე უკვე მოძველებულად ითვლებოდა, რადგან მაშინ რეაქტიული ავიაცია გასაოცარი ტემპით ვითარდებოდა. საფრონტო ბომბდამშენ Ил-28-ის ეკიპაჟი 3 კაცისაგან შედგებოდა. თვითმფრინავის სიგრძე 17,6 მ-ს, ხოლო ფრთაგაშლილობა 21,5 მ-ს შეადგენდა. 23-ტონიანი Ил-28 მაქსიმალურ 906 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა და მისი ფრენის სიშორე 2370 კმ-ს აღწევდა. მას მაქსიმალური, 3 ტ საერთო მასის ბომბების წაღება შეეძლო





Су-24 ტიპის საფრონტო ბომბდამშენი შეიარაღებაში 1975 წელს მიიღეს და ორ წელიწადში უკვე კოპიტნარში გამოჩნდა. 1986 წელს მისი ჩანაცვლება დაიწყო მოდერნიზებული Су-24M-ებით, რომლებსაც ჰაერში საწვავით გაწყობის სისტემა და დაბალ სიმაღლეზე რელიეფის მიყოლებით ავტომატურად ფრენის რადიოელექტრონული აპარატურა ჰქონდა. Су-24M-ის ეკიპაჟი ერთმანეთის გვერდით მჯდომი პილოტისა და შტურმან-ოპერატორისგან შედგება. 24,5 მ სიგრძისა და 6 მ სიმაღლის ბომბდამშენის მაქსიმალური ასაფრენი მასა 39,7 ტონას შეადგენს. თვითმფრინავის ფრთების ისრისებურობა 16-დან 69 გრადუსამდე იცვლება. ბომბდამშენის მაქსიმალური სიჩქარე დიდ სიმაღლეზე 1700 კმ/სთ-მდეა, 200 მ სიმაღლეზე კი 1400 კმ/სთ. Су-24M-ს ასაფრენად არანაკლებ 1200 მ-ის გარბენა სჭირდება და კოპიტნარის აეროდრომი (რომლის სიგრძე 2500 მ-მდეა) ამის საშუალებას იძლეოდა. თვითმფრინავის მაქსიმალური საბრძოლო დატვირთვა 7,5 ტ საერთო მასის მართვად და უმართავ რაკეტებსა და ბომბებს შეადგენს

რის აეროდრომზე ჩერნიახოვსკის დივიზიიდან (კალინინგრადის ოლქი) ჩამოიყვანეს პირველი მოდერნიზებული Су-24M ტიპის საფრონტო ბომბდამშენები. სწორედ კოპიტნარის Су-24M-ებზე მიმდინარეობდა ქართულ ცაში საფრენოსნო გამოცდები მთაგორიანი რელიეფის პირობებში დაბალ სიმაღლეზე საბრძოლო გამოყენების მეთოდების დასახვეწად. ერთ-ერთი ასეთი გაფრენა 1990 წელს კატასტროფითაც დასრულდა.

1989 წელს კოპიტნარში 143-ე ბომბდამშენთა პოლკი სამი ესკადრილიისგან შედგებოდა და 28 ცალ Су-24M ტიპის საფრონტო ბომბდამშენს ითვლიდა. ერთ-ერთი ინფორმაციით, 1991 წლისთვის აზერბაიჯანის ეროვნული ხელისუფლების მიერ სიტალ-ჩაის აეროდრომის დაკავების გამო 16 Су-24 კოპიტნარში გადმოისროლეს.

1992 წლის დასაწყისში, როდესაც დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომი იყო, ზვიადისტებისა და შევარდნაძის ხელისუფლების შეიარაღებული ჯგუფები კოპიტნარის ახლოს იყვნენ განთავსებული. ოფიციალურად რუსი სამხედროები არ ერეოდნენ ამ შიდაქართულ დაპირისპირებაში, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, ისინი ორივე მხარეზე ყიდდნენ იარაღს.

ცნობილია ერთი ინციდენტი, როდესაც ქართული შეიარაღებული რაზმი „იკარუსებით“ მიადგა კოპიტნარის სამხედრო ნაწილს და აეროდრომის დაკავება სცადა. ნაწილის მეთაურობამ ბომბდამშენები ააფრინა, რომლებმაც დაბალ სიმაღლეზე რამდენჯერმე გადაუფრინეს „იკარუსებს“ და უკან დაახევინეს მათ.

1992 წლის აგვისტოდან დაიწყო კოპიტნარის პოლკის რუსეთში, კერძოდ კი ქ. მოროზოვსკში გადაყვანა. რუსებმა მოახერხეს ყველა ბომბდამშენის გაყვანა, ასევე ძვირად ღირებული მართვადი რაკეტებისა და ბომბების გატანა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით (მათ შორის უზარმაზარი Ан-124 „რუსლანებით“).



საბჭოთა პილოტები
კოპიტნარის აეროდრომზე



1992 წლის ოქტომბრისთვის კოპიტნარის აეროდრომზე უკვე შესული იყო ახალჩამოყალიბებული საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების პირველი დანაყოფი.

აფხაზეთის ომი დაწყებული იყო და ქართულ მხარეს სჭირდებოდა აეროდრომი, საიდანაც ქართული მოიერიშეები საბრძოლო გაფრენებს შეასრულებდნენ. ამისთვის სოხუმის აეროპორტი აღარ გამოდგებოდა, რადგან ის ახლოს იყო ფრონტის ხაზთან — გუმისთასთან და ერთხელ დაიბომბა კიდეც.

1993 წელს ამ სტატიის ავტორს მოუწია რამდენიმე დღის გატარებამ კოპიტნარის აეროდრომზე და თავად ნახა, თუ როგორ ამზადებდნენ ქართულ მოიერიშეებს აფხაზეთში საბრძოლო გაფრენებისთვის.

სხვათა შორის, 1993 წლის შემოდგომაზე ერთმა ქართველმა პილოტმა, რომლის Су-25-ს საზენიტო რაკეტა მოარტყეს და ცეცხლი მოეკიდა, მოახერხა ამ თვითმფრინავის კოპიტნარის აეროდრომზე დასმა და გადარჩენა. მიუხედავად იმისა, რომ კატაპულტირების სრული უფლება ჰქონდა. ეს მოიერიშე დღესაც ქართული სამხედრო ავიაციის შემადგენლობაშია.

კოპიტნარის აეროდრომის სახელმა უახლეს ისტორიაში კიდევ ერთხელ გაიჟღერა, როდესაც 2008 წლის 8 აგვისტოს დილით ამ აეროდრომიდან აფრენილმა ოთხმა ქართულმა მოიერიშემ ცხინვალისკენ მომავალი რუსული ჯავშანკოლონა დაბომბა.

მოგვიანებით კოპიტნარის აეროდრომი რუსულმა ავიაციამ (მათ შორის შორი მოქმედების ბომბდამშენ-რაკეტმზიდმა Ту-22М3-ებმა) არაერთხელ დაბომბა. თუმცა, საბედნიეროდ, ვერაფერი დააკლო იქ გადამალულ ქართულ მოიერიშეებს.

კოპიტნარის აეროპორტის მოდერნიზება და ასაფრენ-დასაფრენი ზოლის გარემონტება არა მარტო სამოქალაქო ავიაციას გამოადგება. ეს აეროდრომი დასავლეთ საქართველოში ქართული სამხედრო ავიაციის ძირითადი ბაზა იყო და, ალბათ, ასევე დარჩება.

***ირაკლი ალადაშვილი***

**კოპიტნარში დისლოცირებული 143-ე ბომბდამშენთა პოლკი ორჯერ მონაწილეობდა ავღანეთის ომში. კოპიტნარის პოლკის გაგზავნა ავღანეთში იმით იყო განპირობებული, რომ პოლკის მფრინავები საქართველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში ვარჯიშობდნენ და საბჭოთა გენერლების აზრით, არ გაუჭირდებოდათ ავღანური მთიანი ყიშლაყების დაბომბვა. კოპიტნარიდან ბომბდამშენები ეკიპაჟებმა გადაიყვანეს შუა აზიაში, საიდანაც 1984 წლის 19 აპრილს დაიწყეს ავღანეთის ფანჯერის ველზე ცნობილი საველე მეთაურის, აჰმად შაჰ-მასუდის რაზმების სავარაუდო ადგილსამყოფლების დაბომბვა. ეს იყო Су-24М ტიპის საფრონტო ბომბდამშენების პირველი საბრძოლო ნათლობა, თუმცა, ის არ გამოირჩეოდა მაღალი შედეგებით, რადგან მთაგორიან რელიეფზე ბომბდამშენის დამიზნების სისტემას დიდი ცდომილება ჰქონდა ბომბების ზუსტად ჩამოყრის დროს. ამასთან, აჰმად შაჰ-მასუდს ინფორმატორებისგან ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელ მასირებულ დაბომბვაზე და თავისი მებრძოლები ადრევე გაარიდა საშიშ რაიონს.**

**მეორედ კოპიტნარის ბომბდამშენები ავღანეთის თავზე ხუთი წლის შესვენების შემდეგ, 1989 წლის 20 იანვარს გამოჩნდნენ და შუა აზიის აეროდრომიდან 14 თებერვლამდე ბომბავდნენ ავღანეთის გზებს, რათა საბჭოთა არმიის უსაფრთხო გამოსვლა უზრუნველეყოთ.**

**2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთი აქტიურად იყენებდა Су-24М ტიპის საფრონტო ბომბდამშენებს, მათ შორის მოროზოვსკის ბაზიდანაც, სადაც 1992 წელს კოპიტნარიდან გაიყვანეს Су-24М ტიპის ბომბდამშენები. შესაძლებელია, საქართველოს ტერიტორიას და მათ შორის „მშობლიური“ კოპიტნარის აეროდრომს იგივე ბომბდამშენები ბომბავდნენ, რომლებიც იქ 16 წლის წინ იდგნენ. აგვისტოს ომში რუსეთმა ორი Су-24М დაკარგა, მათგან ერთ-ერთი ქართველმა მეზენიტეებმა სოფელ ძევერასთან რაკეტით ჩამოაგდეს. მისი ეკიპაჟის ერთი წევრი კატაპულტირებისას დაიღუპა, მეორე კი ტყვედ აიყვანეს**



სოფელ ძევერასთან ჩამოგდებული რუსული Су-24М ტიპის ბომდამშენის ძრავის ჰაერმიმღების ფრაგმენტი



# ყველაზე მოხერხებული „ბულპაპი“

## შვედმა მეიარაღემ ამერიკაში „ბულპაპის“ სქემის ისეთი იარაღი შექმნა, რომ მსროლელს ექსტრაქტირებული მასრა პრობლემას აღარ უქმნის



Kel-tec RFB

„ბულპაპის“ (Bull-pup) სქემის ავტომატებს ერთი უპირატესობა აქვს, — იმის გამო, რომ ამ სქემის იარაღში მჭიდი და დამრტყმელი მექანიზმი სახელ-ტის უკან არის განთავსებული, კონ-სტრუქტორები უპრობლემოდ ზრდიან ლულის სიგრძესა და შესაბამისად, სროლის ეფექტურ მანძილს.

თუმცა, ყველა მედალს ორი მხარე აქვს — „ბულპაპის“ სქემის ერთ-ერ-თი ნაკლი ის არის, რომ გასროლისას მასრების ექსტრაქციის დროს, მსრო-ლელს შეიძლება ისინი თავში მოხ-ვდეს, რადგან სასროლი მექანიზმი ია-რაღის კონდახშია ჩამონტაჟებული.

ამ სიტუაციიდან გამოსავალია, თუ-კი მასრების საექსტრაქციო ფანჯრის გადაყენება იქნება შესაძლებელი. მა-გალითად, როდესაც ცაცია ისვრის, მა-შინ საექსტრაქციო ფანჯარა მარცხნივ უნდა დაყენდეს. თუმცა, ფანჯრის გა-დაადგილება კონსტრუქციულ სირ-თულეებთან არის დაკავშირებული.

საუკეთესო გამოსავალია, თუკი გასროლის შემდეგ მასრები გვერდებზე კი არა, არა-მედ ქვე-მოთ იყრება, მაგა-ლითად, FN P90-ში.

თუმცა, ცნობილი ამერიკული საიარაღო ფირმა Kel-tec-ის შვედი წარმოშობის კონსტრუქ-ტორი ჯორჯ კელგრენი უფრო შორს წავიდა და საიარაღო გამოფენა ShotSow-2007-ზე მასრების ექსტრაქციის ორი-გინალური სქემა წარმოადგინა.

მისი თვითდამტენი შაშხანა RFB გასროლის შემდეგ მასრებს არც გვერ-დით და არც ქვემოთ არ ყრიდა, — მასრები წინ, ტყვიის მოძრაობის მი-მართულებით იყრებოდა. ამისთვის შაშხანის ლულის თავზე, თითქმის მთელ სიგრძეზე დამონტაჟდა სპეცია-ლური არხი, რომელშიც მასრები გა-დაადგილდებოდა. წინა მასრა შემდეგს აწვებოდა და არხიდან აგდებდა, ბოლო მასრის გადმოგდება კი მიზიდულობის ძალით ხდებოდა იარაღის დაბ-ლა დახრის შემდეგ. სპეცია-ლური ზამბარა საშუალებას არ ძლევდა მასრას უკან, ლულის კოლოფში დაბრუნებულიყო.

მიუხედავად საინტერესო მიგნებისა, RFB-ს შემქმნე-ლი ორიგინალობას მაინც ვერ და-

ნ 40/35

ეროვნული ბიბლიოთეკა



RFB-ს ავტომატიკის მოქმედების სქემა, რომელზეც კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება მასრების ექსტრაქცია ლულის ზემოთ დატანებული სპეციალური არხის გავლით



RFB ტიპის თვითდამტენი შაშხანის არასრული დაშლა



ამ გოგონას RFB-ით დასაცავი ნამდვილად აქვს...

იბრალებდა, რადგან მასრების წინა მხარეს ექსტრაქციის მექანიზმია დაყენებული ბელგიური წარმოების **FN F2000** ტიპის ავტომატზე, ასევე ექსპერიმენტულ რუსულ ავტომატ **A-91M**-ზე.

**Kel-tec RFB**-ის პროტოტიპი ჯერ M4-ის სტანდარტულ 5,56X45 მმ კალიბრიან ვაზნაზე გათვლით კონსტრუირდებოდა. თუმცა, ბოლოს მისმა შემქმნელებმა მაინც უფრო ძლიერი 7,62X51 მმ **NATO**-ს კალიბრის ვაზნაზე შეაჩერეს არჩევანი.

შაშხანა სამ ვარიანტად იწარმოება: **RFB Target**-ი (მიზნობრივი მოდელი) ყველაზე გრძელი, ერთ მეტრზე მეტია, სპორტული **RFB Sporter**-ი და მით უმეტეს **RFB Carbine**-ი, მას მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან როგორც საერთო, ისე ლულების სიგრძით.

**RFB**-ს უპირატესობა ის არის, რომ შედარებით კომპაქტურ იარაღში გრძელი ლულის განთავსება შეიძლება. ტრადიციული სქემის საბჭოთა თვითდამტენი სნაიპერული შაშხანა **СВД**-ს საერთო სიგრძე 1225 მმ-ია, ხოლო ლულისა კი 620 მმ, მაშინ როდესაც თითქმის იმავე სიგრძის (610 მმ) ლულის მქონე თვითდამტენი **RFB Sportet** — ის სიგრძე 813 მმ-ს არ აღემატება, ანუ „ბულპაპის“ სქემის გამოყენებამ იგი **СВД**-ზე მთელი 412 მმ-ით დაამოკლა.



კომპაქტურობის წყალობით RFB-ის სროლა ერთი ხელითაც შეიძლება

**ჩვენი დოსიე:** Kel-tec-ის ფირმის RFB ტიპის თვითდამტენი შაშხანა 7,62X51 მმ NATO (.308 Winchester)-ის კალიბრის ვაზნებზეა გათვლილი. მჭიდში (რომელიც ბელგიური FN FAL-ისგან არის გადმოტანილი) 10 ან 20 ვაზნა ეტევა.

ყველაზე გრძელი მოდელის — RFB Target-ის საერთო სიგრძე 1016 მმ-ს აღწევს, ლულის სიგრძე 813 მმ-ს შეადგენს, მასა კი (ვაზნების გარეშე) 5,1 კგ-ს უტოლდება.

RFB Sporter-ის საერთო სიგრძეა 813 მმ, ლულის სიგრძე 610 მმ, ხოლო მასა კი 3,95 კგ.

ყველაზე კომპაქტური მოდელის, RFB Carbine-ს სიგრძე 661 მმ-ს არ აღემატება, ლულისა კი 457 მმ-ს. შაშხანა 3,67 კგ-ს იწონის.

RFB ტიპის შაშხანების სერიული წარმოება 2008 წლიდან დაიწყო და შესანიშნავმა რეკლამამ (რაც Kel-tec-ის ფირმას ნამდვილად არ შეეშლება, რაზეც თუგინდ ინტერნეტში მისი წარმოებული იარაღის ეფექტური ფოტოსურათებიც მეტყველებს) მისი პოპულარობა გაზარდა. აშშ-ში იარაღის მაღაზიებში ამ „ბულპაპის“ სქემის ლამაზი დიზაინის შაშხანას მყიდველი არ აკლია.

***ირაკლი ალადაშვილი***






ISSN 1987 - 5061